

ყოველთვიური ჟურნალი მენარმეზისა და ფინანსისტებისათვის

№4 (304) 2025

ISSN 1512-083X

გამოდის 2000 წლის იანვრიდან

ა	უდიტი
ა	ღრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

კლუს

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – ფრიდონ კერვალიშვილი:
არასახარბიელო მემკვიდრეობა
რომის ახალი პაპისთვის

ჟურნალის პარტნიორი -



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: აპრილი-2025 3

თემურ იობაშვილი

სადაზღვევო კომპანიების შედეგები 2024 წელს 10

მაკა ხარაზიშვილი

ინტერვიუ სს „მიკრობანკი კრისტალის“ გენერალურ დირექტორთან, ილია რევიასთან 18

მაკა ხარაზიშვილი

„გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები დაჩქარებული წესით შეიტანეს 23

ლევან ნატროშვილი

„გაყინული“ ჰესები – რატომ ეწინააღმდეგება მოსახლეობა ჰიდროსადგურების მშენებლობას და როგორ უნდა ესაუბროს მათ სახელმწიფო? 26

კითხვა-პასუხი

33

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

42

ფრიდონ კერვალიშვილი

არასახარბიელო მემკვიდრეობა რომის ახალი პაპისთვის 44

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), მაკა ხარაზიშვილი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და

„ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)

ღირებულებაა 120 ლარი.

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);

(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსები: აპრილი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 30.04.2025-ში მიღებული №105 ბრძანების საფუძველზე ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში, რომელიც ამოქმედდა 2025 წლის 1 მაისიდან.

ინსტრუქციის 112-ე მუხლს (გარდამავალი დებულებები) დაემატა 75-ე და 76-ე პუნქტები. 75-ე პუნქტის თანახმად ინსტრუქციის 56¹ და 56² მუხლების მოქმედება შეჩერდა 2030 წლის 1 იანვრამდე.

76-ე პუნქტის თანახმად კი, 2030 წლის 1 იანვრამდე კი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მომსახურების გაწევისას იმ პირის მიერ, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისთვის საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა შესაძლებელი იქნება ცვლილების ამოქმედებამდე (2025 წლის 1 მაისამდე) გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტის კორექტირების ან ავანსის საგადასახადო დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, საბოლოო მიწოდების დოკუმენტის გამოწერის მიზნით.

დღგ-ის გადამხდელის მიერ საგადასახადო დოკუმენტი გამოიწერება:

– მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის გადახდის შემთხვევაში და კორექტირების შემთხვევაში ცალ-ცალკე.

– საქონლის/მომსახურების მიწოდების პირველადი და კორექტირების ოპერაციებზე ცალ-ცალკე.

საგადასახადო დოკუმენტი ივსება შემდეგი წესით:

– პირველ სტრიქონში იწერება საგადასახადო დოკუმენტის სერია და სარეგისტრაციო ნომერი;

– მე-2 სტრიქონი ივსება მხოლოდ საგადასახადო დოკუმენტის კორექტირებისას;

– მე-3 სტრიქონში იწერება ოპერაციის შინაარსი, კერძოდ, მიეთითება (საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა), კორექტირება, როდესაც ადგილი აქვს ამ ინსტრუქციის 73³ მუხლის მე-3 პუნქტით

გათვალისწინებული დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების გარემოებიდან ერთ-ერთს (გაუქმდა დასაბეგრი ოპერაცია, შეიცვალა დასაბეგრი ოპერაციის სახე, შეთანხმებით, შეიცვალა დაბეგვრის მომენტში განსაზღვრული ანაზღაურების თანხა, საქონელი/ მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ უბრუნდება დღგ-ის გადამხდელს).

მე-4 სტრიქონში მიეთითება ოპერაციის ტიპი (მიწოდება ტრანსპორტირებით, მიწოდება ტრანსპორტირების გარეშე, მომსახურების გაწევა).

მე-5 სტრიქონში მიეთითება ოპერაციის განხორციელების თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი). ამასთან, მომსახურების კალენდარული თვის მანძილზე უწყვეტად, რეგულარულად გაწევისას ან თვის განმავლობაში გაწეული მომსახურებების ჯამური მაჩვენებლის არსებობისას – მიეთითება თვის ბოლო რიცხვი.

მე-6 სტრიქონში მიეთითება საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/შექმნის თარიღი (რიცხვი, თვე (სიტყვიერად), წელი).

მე-7 სტრიქონში მიეთითება ჩათვლის უფლებით დღგ-ისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მე-8 და მე-9 სტრიქონებში იწერება გამყიდველის და მყიდველის დასახელება/სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი.

მე-10 და მე-11 სტრიქონებში იწერება ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების ადგილი (მისამართი), ეს სტრიქონები არ ივსება მომსახურების გაწევისას.

მე-12 და მე-13 სტრიქონები არ ივსება.

ფინანსთა მინისტრის ბრძანება №994

– ფინანსთა მინისტრის მიერ 16.04.2025-ში მიღებული №96 ბრძანებით ცვლილება შევიდა „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდვების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესში“.

შედეგად დაკორექტირდა წესის 69-ე მუხლის

(საგადასახადო სამართალდარღვევა) მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, როდესაც საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნება ცნობილი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირს საგადასახადო სანქციის სახით შეეფარდა სამართალდარღვევის საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა, ან საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გადასახადის გადამხდელი გათავისუფლდა შესაბამისი საგადასახადო სანქციისაგან და დაარეგისტრირებს განაცხადს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დაბრუნების თაობაზე, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, საგადასახადო ორგანო დაადგენს საქონელზე თუ სატრანსპორტო საშუალებაზე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დასრულებულია თუ არა განკარგვის პროცედურები და იმ შემთხვევაში, თუ საქონელზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე დასრულებულია განკარგვის პროცედურები, თუ არ არსებობს ამ პროცედურების შეჩერების ან შედეგების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საგადასახადო ორგანოს წერილობითი მიმართვით წარდგენილი საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე:

- პირს/გადასახადის გადამხდელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უბრუნდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.
- უსასყიდლოდ განკარგვის შემთხვევაში, პირს/გადასახადის გადამხდელს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ღირებულება უნაზღაურდება სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ ჩამორთმევის მომენტისთვის დადგენილი საბაზრო/საბაჟო, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ღირებულების ოდენობით.

ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში,

- 16.04.2025-ში მიღებული №496-III-XI მპ კანონით ცვლილება განხორციელდა „გრანტების შესახებ“ კანონში, რომლის მიხედვით გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემისა (დონორის) და საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის თუ ორგანოს თანხმობით.

კანონის მიერ ახლდაწესებული მოთხოვნები არ გავრცელდება აქამდე გაცემულ თუ მიღებულ გრანტებზე,

თუ გრანტის ხელშეკრულება არ შეიცვლება.

ამ ცვლილების თანახმად, გრანტის გამცემმა (დონორმა) გრანტის გაცემაზე თანხმობის მისაღებად მთავრობას ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირს უნდა წარუდგინოს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი ხელშეკრულების პროექტი. მთავრობას უფლება აქვს გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გრანტის გამცემს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

დადგენილი წესი არ ვრცელდება საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციისა და კომიტეტის მიერ გაცემულ გრანტებზე, ასევე საქართველოს ფარგლების გარეთ ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღებისა და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ დახმარებაზე.

გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგს განახორციელებს ანტიკორუფციული ბიურო, რომელიც თავის მხრივ უფლება აქვს:

- პირისგან გამოითხოვოს ფინანსური ანგარიში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ამ კანონის 5¹ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (დარღვევის) თაობაზე.
- გამოჰკითხოს ფიზიკური პირი ამ კანონით დადგენილი წესით.
- დაჰკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
- საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემისა და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია.
- განახორციელოს კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

ფიზიკური პირი, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღების მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია, შეიძლება ნებაყოფლობით გამოჰკითხოს ანტიკორუფციულმა ბიურომ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება, წარადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, თავისი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან/და თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ. ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოსაკითხ პირს ეს უფლებები გამოკითხვის დაწყებამდე უნდა განუმარტოს. ამ პუნქტის მიზნებისთვის გამოსაკითხი პირის ახლო ნათესავად მიიჩნევა მისი მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი,

პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

რაც შეეხება გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაკისრების წესს, სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დადასტურების საკითხს და ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქმის მასალების მიღებიდან 15 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გრანტის მიძღვრის მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღება გამოიწვევს გრანტის მიძღვრის დაჯარიმებას ამ გრანტის ორმაგი ოდენობით.

ფიზიკური პირის ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოკითხვისას ან ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე ფიზიკური პირის მაგისტრალი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება კი გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით.

სამართალდამრღვევს გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ქმედების ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

– პარლამენტის მიერ 01.04.2025-ში მიღებული №399-III-XIმპ კანონით დამტკიცდა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, რომელიც ამოქმედდება 31.05.2025-დან.

ამ კანონის მიხედვით პირმა არ უნდა იმოქმედოს, როგორც უცხოური პრინციპალის აგენტმა, თუ მან ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგინა ავთენტური და სრულად შევსებული რეგისტრაციის განცხადება და დამატებითი დოკუმენტები ან თუ იგი ამ კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებული არ არის რეგისტრაციის ვალდებულებისგან.

უცხოური პრინციპალის აგენტი ნიშნავს პირს, რომელიც მოქმედებს როგორც უცხოური პრინციპალის წარმომადგენელი, მის მიერ დასაქმებული პირი ან მის სამსახურში მყოფი პირი, ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით, რომლის საქმიანობას მთლიანად ან უმეტესწილად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზედამხედველობს, მართავს, აკონტროლებს, აფინანსებს ან რომლის საქმიანობის სუბსიდირებას ახორციელებს უცხოური პრინციპალი, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

– იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობს.

– იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოქმედებს, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მრჩეველი, სარეკლამო აგენტი, საინფორმაციო სამსახურის თანამშრომელი ან პოლიტიკური მრჩეველი.

– იგი უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით, უცხოური პრინციპალის სასარგებლოდ ან მისი ინტერესის გამო საქართველოში მოიძიებს, აგროვებს, გამოყოფს ან ვასცემს შემოწირულებას, სესხს, ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობას;

– იგი საქართველოში წარმოადგენს უცხოური პრინციპალის ინტერესებს ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის წინაშე.

– პირი, რომელიც თანხმდება, ნებას ავლენს ან უშვებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ან სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე იმოქმედოს, როგორც ამ მუხლის „გა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა უცხოური პრინციპალის აგენტმა, ან რომელიც თავს უცხოური პრინციპალის აგენტად მოქმედად აჩვენებს ან წარმოაჩენს.

ამავე კანონის მიხედვით, ტერმინი „უცხოური პრინციპალის აგენტი“ არ მოიცავს ახალი ამბების მასობრივი გავრცელების იმ საშუალებას, ახალი ამბების მასობრივად გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, მასობრივი ინფორმაციის იმ ბეჭდურ საშუალებას, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებით გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა/შეიქმნა. ეს ტერმინი არ მოიცავს აგრეთვე იმ გაზეთს, იმ ჟურნალს, იმ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემას, იმ პუბლიკაციას, რომელიც საქართველოში გამოიცემა ახალი ამბების კეთილსინდისიერი გავრცელებით ან ჟურნალისტური საქმიანობის კეთილსინდისიერი განხორციელებით, მათ შორის, რეკლამის შეთავაზების ან მოზიდვის, პროდუქტის ან მომსახურების გამოწერის შეთავაზების ან სხვა სახის საზღაურის მეშვეობით. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ახალი ამბების მასობრივი გავრცელების იმ საშუალებაზე, ახალი ამბების მასობრივად გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებაზე, მასობრივი ინფორმაციის იმ ბეჭდურ საშუალებაზე, მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური საშუალებით გამავრცელებელ პირთა იმ გაერთიანებაზე, ასევე იმ გაზეთზე, იმ ჟურნალზე, იმ პერიოდულ ბეჭდურ გამოცემაზე, იმ პუბლიკაციაზე, რომლის არანაკლებ 80%-ის ბენეფიციარი მესაკუთრეები და რომლის მმართველები და ხელმძღვანელები, საქართველოს მოქალაქეები არიან, რომელსაც არ ფლობს, არ ზედამხედველობს, არ მართავს, არ აკონტროლებს, არ აფინანსებს, რომლის სუბსიდირებას არ ახორციელებს და რომელსაც არანაირ პოლიტიკას არ განუსაზღვრავს უცხოური პრინციპალი ან უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად უნდა დარეგისტრირდეს.

ამ კანონის თანახმად, საქართველოში მყოფმა ყველა იმ პირმა, რომელიც უცხოური პრინციპალის აგენტია და ვალდებულია დარეგისტრირდეს ამ კანონის თანახმად, უცხოური პრინციპალის ინტერესების შესაბამისად რაიმე საინფორმაციო მასალის ფოსტით ან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ან საგარეო ვაჭრობის საშუალებების ან სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, ნაბეჭდი მასალის ან ისეთი ფორმით გავრცელებისას, რომელიც გულისხმობს, რომ ის გავრცელდება ან გონივრულ ფარგლებში ივარაუდება, რომ გავრცელდება ორ ან ორზე მეტ პირს შორის, ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა წარუდგინოს ამ საინფორმაციო მასალის გავრცელებიდან არაუგვიანეს 48 საათისა მისი 2 ეგზემპლარი.

უცხოური პრინციპალის აგენტი, რომელმაც შეავსო რეგისტრაციის განცხადება, ვალდებულია ყოველი 6 თვის გასვლის შემდეგ, 30 დღის ვადაში, ფიცის ქვეშ, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ დადგენილი ფორმით წარუდგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს ის ინფორმაცია, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს, რათა ინფორმაცია იყოს ზუსტი, სრულყოფილი და უახლესი იმ პერიოდისთვის, რომელსაც ის აღწერს.

სსპა ცვლილებები

– პარლამენტის მიერ 02.04.2025-ში მიღებული №435-III-XI მპ კანონის საფუძველზე ცვლილება განხორციელდა „მეწარმეთა შესახებ“ კანონში.

დაკორექტირდა კანონის მე-16 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, მეწარმის საფირმო სახელწოდებაში დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი სიტყვა ან სიტყვათწყობა, რომელიც აღვივებს შუღლს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, პროფესიის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა საფუძველით, ასევე ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

– 01.04.2025-ში მიღებული №392-III-XI მპ კანონის საფუძველზე ცვლილება შევიდა „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონში.

კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტს დაემატა „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთებს, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის და ამოწურვადი რესურსით სარგებლობის პუნქტში, დაემატა კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობის ლიცენზია – 2000 ლარის ოდენობით.

საზინანსო სფეროში შმტანილი ცვლილებები

– 30.04.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №105/04 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესში“.

ცვლილების შედეგად, წესის მე-2 მუხლს დამატებული 8¹³-8¹⁵ პუნქტების თანახმად, „საგადახლო სისტემისა და საგადახლო მომსახურების შესახებ“ კანონით, ღია ბანკინგის მიმართულებით დადგენილი მოთხოვნების ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 მაისის №80/04 ბრძანებით დამტკიცებული „ღია ბანკინგში ჩართვის წესით“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება 5000 ლარის ოდენობით დარღვევის თითოეულ ფაქტზე.

ეროვნული ბანკის წერილობითი მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება 10000 ლარის ოდენობით, წერილობითი მითითების განმეორებით ან მრავალჯერადი შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება 20000 ლარის ოდენობით.

– 08.04.2025-ის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №90/04 ბრძანებით, ცვლილება განხორციელდა „რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებისა და ფლობის წესში“, რომლის მიხედვითაც მე-9 მუხლის მე-4 პუნქტს დამატებული „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ფასიანი ქაღალდებზე უფლებების გადაცემის საფუძველია რეორგანიზაციით გამოწვეული უფლებამონაცვლეობა, რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს რეორგანიზაციის დასრულების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.

– 01.04.2025-ის №85/04 ბრძანებით დაკორექტირდა „საგადახლო მომსახურების შესახებ ანგარიშგების ფორმებისა და მისი შევსების ინსტრუქცია“.

კერძოდ კი ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ყოველი თვის 5 და 15 რიცხვამდე წარსადგენი ანგარიშგების შევსებისას ახალი ვალუტის გამოყენების შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია 5 კალენდარული დღით ადრე დაუკავშირდეს ეროვნული ბანკის საგადახლო მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობის და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგისტრაციის დეპარტამენტის პასუხისმგებელ ზედამხედველს და გაგზავნოს შეტყობინება შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე – psps@nbg.gov.ge.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 29.04.2025-ში მიღებული №104/04 ბრძანებით დამტკიცდა ანგარიშგაღებელი პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესი.

წესისმიხანიახელი შეუწყოს ანგარიშვალდებულებების, ფულის გათვორებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, შეიმუშაონ კლიენტების მიმართ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებისთვის საჭირო შიდა ინსტრუქცია.

ამ წესის მოთხოვნები არ ვრცელდება გადახდის თვითმომსახურების კიოსკებზე, ასევე, ვირტუალური აქტივების თვითმომსახურების კიოსკებზე, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება ეროვნულ ბანკთან წინასწარ შეთანხმებული, ამ წესისგან განსხვავებული პროცესის შესაბამისად.

წესის მიხედვით ძირითადი მოთხოვნები პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებისას შემდეგია:

1. ანგარიშვალდებულებების პირი, კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებისას, ვალდებულია გაატაროს იგივე ღონისძიებები, რასაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებდა კლიენტთან უშუალო კონტაქტის (კლიენტის ადგილზე ვიზიტის) შემთხვევაში, მათ შორის:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა მოიპოვოს საიდენტიფიკაციო მონაცემები და განხორციელოს პირის ვერიფიკაცია იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ფიზიკური პირის ვერიფიკაციის მიზნით, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე, მოიპოვოს იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესით განსაზღვრული საიდენტიფიკაციო მონაცემები. ამ შემთხვევაში სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მოპოვებულ მონაცემებს უნდა ახლდეს ფიზიკური პირის ფოტოსურათი;

გ) უნდა დაადგინოს ბენეფიციარი მესაკუთრე (მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის გზით) განხორციელოს მისი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

დ) მიიღოს კლიენტისგან საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე, შიდა ინსტრუქციით განსაზღვრული „იციანბდე შენს კლიენტს“ ინფორმაცია (შემდგომში – KYC ინფორმაცია). KYC ინფორმაციის მიღება დასაშვებია როგორც უშუალოდ კლიენტის მიერ კითხვარის შევსების გზით, ასევე ანგარიშვალდებულებების მიერ დანერგილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმოცვლის სახლო არხით. კითხვარი და კლიენტისგან

მიღებული სრული KYC ინფორმაცია უნდა იყოს ჩაწერილი/შენახული და ხელმისაწვდომი ეროვნული ბანკისთვის. კლიენტი უნდა ადასტურებდეს მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს;

ე) კლიენტის რისკის დონის შესაბამისად უნდა განხორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებითა და შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებები;

ვ) განხორციელოს პირთა გადამოწმება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებულებების პირების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №208/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ სანქციადაკისრებულ პირთა სიებში, პოლიტიკურად აქტიურ პირთა სიებში და ეროვნული ბანკის მიერ მითითებულ სიებში, ხოლო დამთხვევის აღმოჩენის შემთხვევაში, იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების მოთხოვნებისა და შიდა ინსტრუქციის შესაბამისად.

2. ფიზიკური პირების მიმართ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებისას ანგარიშვალდებულებების პირი უფლებამოსილია, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის დროს, საიდენტიფიკაციო მონაცემები მიიღოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

3. პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელებამდე ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი და საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება და ახორციელებს ვირტუალური აქტივის მომსახურებას (შემდგომში ორივე ერთად – „ვირტუალური აქტივის მომსახურების განმხორციელებელი პირი“) ვალდებულია დაადგინოს კლიენტის ადგილმდებარეობა (სულ მცირე ქვეყანა), „IP“ მისამართის საფუძველზე „IP“ მისამართის ამომცნობი ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით ან გეოლოკაციის დადგენის სხვა საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, „საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული ანგარიშვალდებულებების მიერ სანქციათა რეჟიმების შესრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 აგვისტოს №208/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტებითა და სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის მიზნით.

4. პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად

განხორციელებამდე ვირტუალური აქტივის მომსახურების განმახორციელებელი პირი ვალდებულია დაადგინოს, ხომ არ იყენებს კლიენტი ისეთ მეთოდებს (მათ შორის, როგორცაა ვირტუალური კერძო ქსელი („VPN“), TOR ქსელი (The Onion Routing), პროქსი (Proxy)), რომლებიც ხელს უშლის კლიენტის ადგილმდებარეობის დადგენას მათი გამოყენების ამომცნობი ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით და მათი გამოყენების იდენტიფიცირების შემთხვევაში, გაატაროს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები შიდა ინსტრუქციით დადგენილი პროცესის შესაბამისად.

5. თუ ფიზიკური პირი (გარდა საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისა) არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, ანგარიშვალდებულმა პირმა ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელსაც აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ვალიდურობის დადგენის შესაძლებლობა ან ვერიფიკაციის მიზნით უფლებამოსილია გამოიყენოს, სულ მცირე, 1 (ერთი) თეთრის (ეკვივალენტი) ჩარიცხვა კლიენტის სახელზე არსებული სხვა ანგარიშიდან ან/და სხვა სანდო მეთოდი. 1 (ერთი) თეთრის ჩარიცხვა დაუშვებელია განხორციელდეს მაღალი რისკის იურისდიქციაში/ოფშორულ ზონაში არსებული ანგარიშიდან (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავედროულად ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრია). ამ წესის მიზნებისთვის ოფშორული ზონა არის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის თაობაზე ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ქვეყნები/ტერიტორიები.

6. თუ იურიდიული პირი არის ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებულ ქვეყანაში რეგისტრირებული პირი, ვერიფიკაციის მიზნებისთვის, აუცილებელია, პირველი ჩარიცხვის ოპერაცია განხორციელდეს იმ ქვეყნიდან, სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული იურიდიული პირი.

დაუშვებელია კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელება, თუ:

ა) ფიზიკური პირი არის მაღალი რისკის იურისდიქციის/ოფშორული ზონის მოქალაქე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავედროულად არის ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრი, აგრეთვე, თუ მას აქვს საქართველოს მოქალაქეობა ან საქართველოში ბინადრობის უფლება);

ბ) ფიზიკური პირი არის მაღალი რისკის იურისდიქციაში/ოფშორულ ზონაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფშორული ზონა ამავედროულად არის ევროკავშირის/შენგენის ზონის წევრი) რეგისტრაციის ადგილის ან/და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მქონე (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას აქვს საქართველოს

მოქალაქეობა ან საქართველოში ბინადრობის უფლება).

თუ კლიენტის მიმართ პრევენციული ღონისძიებები ელექტრონულად განხორციელდება ამ წესის მოთხოვნების დარღვევით, ყველა ასეთი ფორმით იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული კლიენტი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისთვის ჩაითვლება არაიდენტიფიცირებულად/ არავერიფიცირებულად.

**თამბაქოს წარმოების ლიცენზირების
წესი და პირობები**

– 15.04.2025-ის მთავრობის №115 დადგენილებით დამტკიცდა თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესი და პირობები, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 1 ივნისიდან.

თამბაქოს წარმოების ლიცენზია განმარტებულია, როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, თამბაქოს (მოსაწევი თამბაქოსა და სიგარეტის) მწარმოებლისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული თამბაქოს წარმოების განხორციელების უფლება.

თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონითა და ამ წესით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

ლიცენზიის მისაღებად წარსადგენ განცხადებას თან უნდა დაერთოს ლიცენზიის მადიებლის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული:

– მონაცემები საწარმოო ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ;

– საწარმოო ობიექტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;

– ინფორმაცია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

– ინფორმაცია ლაბორატორიის მოწყობისა და მისი აღჭურვილობის შესახებ;

– ინფორმაცია ლაბორატორიაში ამ წესის დანართ №2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროცესებზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ ლაბორატორიას გააჩნია საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი;

– ინფორმაცია საწარმოში ამ წესის დანართ №1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საწარმოო პროცესებზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ საწარმოს გააჩნია საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი;

– „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 29-ე პუნქტით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებლის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის №1 დანართის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირობებს, ამასთან ლიცენზიის მაძიებლის სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის დასადგენად ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს ადგილზე შეამოწმოს ლიცენზიის მაძიებლის სალიცენზიო პირობები.

ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები შეიძლება იყოს შემდეგი:

– ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;

– ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

– ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით

ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

იხილეთ ასევე:

– 17.04.2025-ის მთავრობის №121 დადგენილება, „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და საწვართუო პირობების შესახებ“ ამავე პირის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

– 08.04.2025-ის მთავრობის №107 დადგენილება, ენერგოაუდიტორების, ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების გამცემი დამოუკიდებელი ექსპერტებისა და შენობების გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტების სერტიფიკაციის წესის დამტკიცების თაობაზე.

– 04.04.2025-ის №450-III-XI კანონი, „სალიცენზიო და საწვართუო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მარიამ აფრასიძე

სამსახური (SARAS) „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესის შესახებ“ ბრძანების პროექტს აქვეყნებს

როგორც ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებს განეკუთვნება, მათ შორის, ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების მიერ სამსახურში წარდგენილი ანგარიშგებების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა (SARAS) შეიმუშავა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს იმ მიდგომების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება, რაც რეფორმის განხორციელების პროცესში გასაჯაროებული ანგარიშგებების კანონით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დეტალური მიმოხილვის კუთხით ჩამოყალიბდა და მიმდინარეობს. შესაბამისად, პროექტი წარმოადგენს სამსახურის არსებობის განმავლობაში აპრობირებული პროცესების განზოგადებას და ნორმატიულ დონეზე იმპლემენტაციას.

მოცემული წესი შეეხება სდპ, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ შედგენილ ინდივიდუალურ/კონსოლიდირებულ აუდიტირებული ანგარიშგებების მიმოხილვის ადმინისტრირების პროცესს. აღსანიშნავია, რომ განსახილველი წესი არ გავრცელდება მესამე კატეგორიის საწარმოს/ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ სამსახურისთვის წარდგენილი არააუდიტირებული ინდივიდუალური/კონსოლიდირებული ანგარიშგებების კანონით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვის პროცესზე.

პროექტით დეტალურად განერილია გასაჯაროებული ანგარიშგებების კანონით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიც არის: ანგარიშგების მიმოხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველები, მიმოხილვის ფარგლები და პროცედურული საკითხები, დაინტერესებული პირის/სუბიექტის ჩართულობის აუცილებლობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, მიმოხილველთა ჯგუფთან დაკავშირებული დეტალები, სუბიექტისა და სამსახურის ვალდებულებები, მიმოხილვის შედეგები და ა.შ.

პროექტის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, შესაბამისად სამსახური ასაჯაროებს „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან ანგარიშგების ვებგვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშგების შესაბამისობის მიმოხილვის განხორციელების წესის შესახებ“ სამსახურის უფროსის ბრძანების პროექტს (დანართთან და განმარტებით ბარათთან ერთად) უკუკავშირის მიღების მიზნით.

წინადადებების ან/და რეკომენდაციების მოწოდებას შეძლებთ ელექტრონულად, სამსახურისათვის ელ.წერილის გაგზავნის ფუნქციონალის მეშვეობით: <https://saras.gov.ge/ms/>, 30 მაისის ჩათვლით.

სადაზღვევო საქმიანობა დღეს

სადაზღვევო საქმიანობა დღეს - ამ რუბრიკის მეშვეობით ჟურნალში განხილულია როგორც საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა, ასევე ზოგადად ბიზნესის ამ მნიშვნელოვან სფეროში არსებული პრობლემატიკა.

რუბრიკის რედაქტორია „ააფის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე თემურ იობაშვილი.

სადაზღვევო კომპანიების შედეგები 2024 წელს

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ნელა, მაგრამ მაინც იზრდება

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა აპრილის დასაწყისში ტრადიციულად გამოაქვეყნა საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების წლიური შედეგები. სააგენტოს ინფორმაციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქვეყანაში 19 სადაზღვევო კომპანიაა რეგისტრირებული, რომლებიც ფლობენ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

გასულ წელს მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ (შემოსავალმა) პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან 1,259,396,138 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 18,41%-ით აღემატება.

მზღვეველების სადაზღვევო მოგება შეადგინა 307 მილიონი ლარი, წმინდა მოგება კი 127 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2023 წელთან შედარებით წმინდა მოგება 53,5 მლნ ლარით, ანუ 72,78%-ით გაიზარდა. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა 1.446 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 11,15%-ით მეტია. სადაზღვევო კომპანიების კაპიტალი 459 მლნ ლარია, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 22,62%-ით აჭარბებს.

გასულ წელს სადაზღვევო ბაზარმა ჯამურად 759,689,607 ლარის ზარალი დაფარა, რაც 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით 23,77%-ით მეტია.

სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემია 2024 წელს

სადაზღვევო ბაზარს 2024 წელს ერთი კომპანია დაემატა და ჯამში 19 კომპანია საქმიანობდა. სიახლეს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია „ავტოგრაფი“, რომელიც სადაზღვევი კომპანია „არდის“ გაყოფით შეიქმნა. ჯერ კიდევ გასული წლის იანვარში კომპანია „არდის“ დამფუძნებელმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არმაზ თავაძემ გამოცემა Entrepreneur-თან საუბრისას განაცხადა, რომ „არდი“ ორ კომპანიად გაიყო და ცალ-ცალკე გააგრძელებდნენ საქმიანობას.

„ახალი სადაზღვევო კომპანია კვლავ „არდის“ სახელით იფუნქციონირებს. მისი მთავარი მიმართულება, სხვა დანარჩენთან ერთად, სამედიცინო დაზღვევა იქნება, ხოლო დამფუძნებელი – „საქართველოს კაპიტალი“. მეორე, ანუ არსებული სადაზღვევო კომპანია, სახელს

შეიცვლის და პირველ ეტაპზე, ძირითადად, სავალდებულო სახეობების ბაზარზე გააგრძელებს საქმიანობას და შემდგომში, მცირე, თუმცა ნიშური, მონო სახეობის კომპანიად ჩამოყალიბდება. მისი დამფუძნებელი 100%-ით მე გახლავართ. ქართულ სადაზღვევო ბაზარზე ასეთი შეთანხმება პირველად შედგა. მუშაობა შეთანხმებაზე 2023 წლის მარტში დაიწყო და წელს დავასრულეთ“, – განაცხადა თავაძემ. მოგვიანებით ცნობილი გახდა რომ „არდის“ საქმიანობას კომპანია „ავტოგრაფი“ გააგრძელებდა. ახალი კომპანია კი ძველი სახელით, „არდის“ სახელწოდებით შეეცდება განვითარებას.

რაც შეეხება მოზიდული პრემიის მიხედვით შედგენილ რეიტინგს, ლიდერი კომპანიების ადგილი უცვლელია 2023 წელთან შედარებით. ლიდერები კვლავ „ჯიპიაი“, „თიბისი“ და „ალდაგა“. არც რეიტინგის ბოლო პოზიციებზე მდგომი კომპანიების ადგილია შეცვლილი. მე-16 პოზიციაზეა ბაზრის ახალი ბრენდი „ავტოგრაფი“, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელშეცვლილი „არდია“. მომდევნო სამი ადგილი კი კვლავ „ქართუმ“, „ტაომ“ და „გრინ დაზღვევამ“ დაიკავეს.

რეიტინგში მდგომარეობა გაიუმჯობესეს: „იმელი ელმა“ მე-5-დან მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლებით, „გლობალ ბენეფიტს ჯორჯიამ“ მე-9-დან მე-7 პოზიციაზე გადაინაცვლებით, „ბბ დაზღვევამ“ მე-11-დან მე-10 ადგილზე დაწინაურებით, „ევროინს ჯორჯიამ“ მე-13-დან მე-12-ე ადგილზე გადასვლით. „ნიუ ვიჟენ დაზღვევამ“ კი მე-14-დან მე-12 ადგილზე გადაინაცვლა.

ძველი სახელით მოქმედი ახალი კომპანია „არდი“ მე-5 პოზიციაზეა. რეიტინგში პოზიცია გაიუმჯობესა კომპანია „უნისონმა“ და მე-7-დან მე-9-ზე ადგილზე ჩამოქვეითდა, „ალფა“ მე-10 პოზიციიდან მე-11-ზე ჩამოვიდა და „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“ მე-12-დან მე-13 პოზიციაზე ჩამოინაცვლა.

ადგილები არ შეუცვლიათ „ირაოს“. „პსპ დაზღვევას“, „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფს“ და „პრაიმს“.

თითოეული კომპანიის მოზიდული ჯამური პრემია და წინა წელთან ზრდის/კლების მაჩვენებელი მოცემულია ცხრილი 1-ში.


ზარალის ანაზღაურების მაჩვენებლები

როგორც სტატიის დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ,

ცხრილი 1. 2024 წლის საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განაწილება კომპანიების მიხედვით

№	კომპანიის დასახელება	მოზიდული ჯამური პრემია 2024 წელს	ხვედრითი წილი ბაზარზე %	პრემიის ზრდა/კლება 2023 წელთან შედარებით	ბაზარზე წილის ზრდა/კლება 2023 წელთან შედარებით
1	სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი	218,684,075	17.36%	18,69%	0.04%
2	სს თიბისი დაზღვევა	212,027,414	16.84%	20,04%	0.23%
3	სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი	192,516,844	15.29%	13,18%	-0.70%
4	სს სადაზღვევო კომპანია იმედი L	117,774,073	9.35%	23,99%	0.42%
5	სს არდი დაზღვევა	109,085,776	8.66%	---	---
6	სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო	83,298,153	6.61%	19,79%	0.07%
7	სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია	58,180,395	4.62%	44,75%	0.84%
8	სს პსპ დაზღვევა	54,035,135	4.29%	31,63%	0.33%
9	სს სადაზღვევო კომპანია უნისონი	51,235,707	4.07%	-9.90%	1.22%
10	სს ბბ დაზღვევა	36,063,981	2.86%	70,65%	0.87%
11	სს სადაზღვევო კომპანია ალფა	28,433,201	2.26%	19,84%	0.03%
12	სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია	26,165,321	2.08%	35.52%	0.26%
13	სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა	20,808,978	1.65%	3.96%	1.88%
14	სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი	12,042,067	0.96%	-55.85%	1.76%
15	სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი	11,796,034	0.94%	-3.05%	1.14%
16	სს სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი	11,539,015	0.92%	-763.60%	-8.45%
17	სს დაზღვევის კომპანია ქართუ	8,189,140	0.65%	16,09%	0.66%
18	სს სადაზღვევო კომპანია ტაო	3,826,858	0.30%	-18.29%	0.43%
19	სს გრინ დაზღვევა საქართველო	3,693,972	0.29%	-14.36%	0.40%
	სულ:	1,259,396,138	100%		

დიაგრამა 1. ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები კომპანიების მიხედვით (მლნ ლარი)



2024 წელს სადაზღვევო ბაზარმა ჯამში 759,689,607 ლარი დაფარა, რაც 23,67%-ით მეტია 2023 წელს ანაზღაურებულ ზარალის მოცულობასთან შედარებით. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობამ 2024 წელს უფრო მეტი ზარალი აანაზღაურა, ვიდრე წინა წელს. მხოლოდ 3 კომპანიაა, ვინც წინა წელთან შედარებით ნაკლები გადაიხდა. „ავტოგრაფმა“, რომელიც ძველი „არდის“ მეტკვიდრეა, 2024 წელს 29,091,908 ლარი დაფარა, როცა 2023-ში 74,384,625 ლარი აქვს ანაზღაურებული. „სადაზღვევო ჯგუფმა“ 9,967,936 ლარი დაფარა, როცა წინა წელს 10,942,178 ლარი აქვს გადახდილი. „გრინ დაზღვევამ“ 2024 წელს 479,610 ანაზღაურა, 2023 წელს კი 1,143,093 ლარი დაფარა.

ყველაზე მეტი ზარალი 2023 წლის მსგავსად კვლავ ბაზრის ლიდერმა „ჯიპაიამ“ აანაზღაურა – 121,931,520 ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 2.66%-ით მეტია.


მეორე ადგილზეა „ბი დაზღვევა“, დაფარული 114,521,061 ლარით, რაც წინა წლის მაჩვენებელს 202%-ით აღემატება.

მესამე პოზიციაზეა „თიბისი დაზღვევა“, დაფარული 96,903,056 ლარით, რაც წინა წელთან შედარებით 18.21%-ით მეტია. უფრო დეტალური სურათი ასახულია დიაგრამა 1-ზე.

როგორც წინა წლებში, 2023-შიც სადაზღვევო სექტორისთვის ყველაზე ზარალიანი სამედიცინო დაზღვევაა. საქართველოს სადაზღვევო სექტორის მიერ სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაში მოზიდული 533,833,000 ლარი ჯამური პრემიიდან დამდგარი ზარალების ოდენობამ 358,728,602 ლარი შეადგინა. გასულ წელს ზარალის ანაზღაურებით „ჯიპაია“

81,877,944 ლარით ლიდერობს. მეორეზეა „იმელი ელი“, რომელმაც 71,602,337 ლარი აანაზღაურა. მესამე ადგილს „არდი“ იკავებს, გადახდილი 33,498,499 ლარით.

დიაგრამა 2. 2024 წლის განმავლობაში სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით




რაც შეეხება პოპულარობით მეორე ადგილზე მყოფ ავტოდაზღვევას, გასულ წელს სულ მოზიდულია 256,254,566 ლარის პრემია, სადაზღვევო კომპანიებმა

კი 166,929,254 ლარი ანაზღაურეს. არსებული ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების დაახლოებით 7%-ია დაზღვეული. 2024 წელს სულ 138,219 პოლისია გაყიდული, რაც წინა წლის მაჩვენებელს 9.64%-ით აღემატება. გაყიდული პოლისებიდან კორპორაციული დაზღვევის წილად 57,951, საცალოს წილად 92,944, ხოლო სახელმწიფოს წილად 18,251 პოლისი მოდის.

ავტოდაზღვევის ბაზარზე ანაზღაურებული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიების ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება:

სადაზღვევო კომპანია	ანაზღაურებული ზარალი 2024 წელს	ანაზღაურებული ზარალი 2023 წელს	სხვაობა
„თიბისი დაზღვევა“	39,886,148	38,680,404	23.70%
„ალდაგი“	40,107,067	29,548,440	35.19%
„ჯიპიაი პოლდინგი“	20,914,301	15,960,031	-2.91%
„პსკ“	10,514,697	4,590,109	32.65%
„ირალ“	7,906,986	7,089,817	37.13%

დიაგრამა 3. 2024 წლის განმავლობაში სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სახეობაში მოზიდული პრემია და ბაზრის წილი კომპანიების მიხედვით




საქართველოს მოსახლეობის 20% სარგებლობს სამედიცინო დაზღვევით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების მხოლოდ 7%-ია დაზღვეული.

დაზღვევის კოპულარული სახეობები

წინა წლების მსგავსად ყველაზე მეტი სადაზღვევო პოლისი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის

დიაგრამა 4: მოქმედი პოლისების რაოდენობა სამედიცინო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის სახეობებში (2022–2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით)



ცხრილი 2. სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა დაზღვევის სახეობების მიხედვით 2023 წლის მონაცემებით (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობა)

№	დაზღვევის სახეობა	მოზიდული პრემია	წილი ბაზარზე	ანაზღაურებული ზარალი	წილი ბაზარზე
1	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	533,833,000	42.39%	314,008,741	51.12%
2	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	256,254,566	20.35%	136,350,227	22.20%
3	ქონების დაზღვევა	132,266,268	10.50%	41,143,480	6.70%
4	სიცოცხლის დაზღვევა	109,125,684	8.66%	26,748,751	4.35%
5	სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	81,853,831	6.50%	27,091,759	4.41%
6	სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	31,756,479	2.52%	4,072,482	0.66%
7	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	23,931,805	1.90%	34,362,900	5.59%
8	უბედური შემთხვევის დაზღვევა	17,299,039	1.37%	577,118	0.09%
9	ტვირთების დაზღვევა	16,706,789	1.33%	1,485,708	0.24%
10	საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა	15,824,652	1.26%	26,424,318	4.30%
11	სამოგზაურო დაზღვევა	15,112,075	1.20%	0	0.00%
12	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	14,454,360	1.15%	1,230,544	0.20%
13	დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან	7,271,580	0.58%	782,803	0.13%
14	მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა)	3,419,578	0.27%	7,000	0.00%
15	მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა	186,611	0.01%	0	0.00%
16	საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა	77,037	0.01%	0	0.00%
17	სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	22,784	0.00%	0	0.00%
18	იურიდიული ხარჯების დაზღვევა	0	0.00%	0	0.00%
	სულ	1,259,396,138	100%	614,285,830	100%

ნაწილშია გაყიდული. მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, სახელმწიფო კვლავ აქტიურია დაზღვევის ამ მიმართულებაზე. თუმცა, აღსანიშნავია რომ სახელმწიფო პროგრამებს თითქმის ორჯერ გადააჭარბა კორპორაციულმა დაზღვევამ. საანგარიშო პერიოდისთვის მოქმედი 741,174 სამედიცინო დაზღვევის პოლისიდან კორპორაციულის წილად მოდის 422,634 ერთეული, სახელმწიფოს წილად 250,404 ერთეული, ხოლო ინდივიდუალური საცალო დაზღვევის პოლისების რაოდენობამ 68,136 ერთეული შეადგინა. შესაბამისად,

ყველაზე მეტი პრემიაც სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ ერთობლივად გადახდილი, სამედიცინო დაზღვევაზე მოდის. პრინციპში, პოპულარულ სახეობებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები არც არის ხოლმე და დაზღვევის სახეობების მიხედვით მოზიდული პრემიების 2024 წლის რეიტინგში პირველი ცხრა ადგილი 2023 წლის მსგავსია. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 2-ში.

ყველაზე პოპულარულ, სამედიცინო დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ 533,833,000 ლარი

ცხრილი 3. ქართული სადაზღვევო კომპანიების გადაზღვევის პროცენტული მაჩვენებლები

№	კომპანიის დასახელება	მოზიდული ჯამური პრემია 2024 წელს	გადაზღვევის მაჩვენებელი	გადაზღვევის პროცენტული წილი 2024 წელს	გადაზღვევის პროცენტული წილი 2023 წელს
1	სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი	218,684,075	112,536,251	51.46%	54.79%
2	სს თიბისი დაზღვევა	212,027,414	27,938,359	13.18%	13.19%
3	სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი	192,516,844	51,786,619	26.90%	31.24%
4	სს სადაზღვევო კომპანია იმედი L	117,774,073	1,121,394	0.95%	1.12%
5	სს არდი დაზღვევა	109,085,776	5,187,503	4.76%	0.00%
6	სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო	83,298,153	20,222,714	24.28%	23.69%
7	სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია	58,180,395	11,985,537	20.60%	8.60%
8	სს პსპ დაზღვევა	54,035,135	9,248,013	17.11%	18.17%
9	სს სადაზღვევო კომპანია უნისონი	51,235,707	19,138,916	37.35%	54.14%
10	სს ბბ დაზღვევა	36,063,981	28,102,981	77.93%	72.19%
11	სს სადაზღვევო კომპანია ალფა	28,433,201	5,272,015	18.54%	21.90%
12	სს სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია	26,165,321	7,789,894	29.77%	34.30%
13	სს ნიუ ვიჟენ დაზღვევა	20,808,978	48,988	0.24%	0.00%
14	სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი	12,042,067	1,381,633	11.47%	7.97%
15	სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი	11,796,034	3,535,961	29.98%	25.05%
16	სს სადაზღვევო კომპანია ავტოგრაფი	11,539,015	2,523,544	21.87%	3.72%
17	სს დაზღვევის კომპანია ქართუ	8,189,140	1,896,948	23.16%	15.96%
18	სს სადაზღვევო კომპანია ტაო	3,826,858	-	0.00%	0%
19	სს გრინ დაზღვევა საქართველო	3,693,972	547,814	14.83%	0.00%
	სულ:	1,259,396,138	310,265,085	22.34%	20.32%

შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 19.46%-ით მეტია. ბაზრის ლიდერი ამ შემთხვევაშიც „ჯიპიაი ჰოლდინგია“ 125,194,018 ლარით. მეორე ადგილზეა „იმედი ელი“ 99,951,285 ლარით, ხოლო მესამეზე – „არდი დაზღვევა“ 90,600,730 ლარით.

ბაღაზღვევის მაჩვენებელი 2024 წელს

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რასაც სადაზღვევო შედეგების განხილვისას განვიხილავთ, მოზიდული ჯამური პრემიის გადაზღვევის მოცულობაა. აქედან ჩანს სადაზღვევო კომპანიების პოლიტიკა – რამდენად მეტ რისკს იტოვებენ თავად და მოზიდული პრემიიდან რა ნაწილის გადაზღვევას ამჯობინებენ. 2024 წელს წინა წელთან შედარებით გადაზღვევის მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს რომ სადაზღვევო ბაზარმა ჯამში მეტი რისკი გადააზღვია. 2023 წელს თუ კომპანიებმა მთლიანად მოზიდული ჯამური პრემიის 20.32% გადააზღვიეს, 2024 წელს გადაზღვევის პროცენტულმა მაჩვენებელმა 22,34% შეადგინა. გადაზღვევის მხრივ არსებული მდგომარეობა ასახულია ცხრილი 3-ში.

კომენტარები სადაზღვევო ბაზრის არასაკმარის ზრდაზე

სადაზღვევო კომპანია „არდიში“ აცხადებენ, რომ ბაზრის ზრდის ტემპი კვლავ არაა დაკმაყოფილებელია. როგორც გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჯაფარიძემ განაცხადა, მოზიდული პრემიის ზრდაში დიდი წილი სადაზღვევო პოლისების გაძვირებაზე მოდის და არა დაზღვეულთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაზე.

„გასულ წელს ბაზარი დაახლოებით 18%-ით გაიზარდა. შესაბამისად, დინამიკა კარგია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ არანაირი ტიპის სტიმულები ბაზარზე არ ყოფილა. ძირითადი სახეობა კვლავ სამედიცინო დაზღვევა, ავტო და ქონების დაზღვევებია. კომპანიების მარჯა და ფინანსური მომგებიანობა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა იმისგან, რომ ჩვენი ქვეყანა ამ მიმართულებით საინვესტიციოდ საინტერესო გახდეს. თუმცა ტრენდი უმჯობესდება და ეს ძალიან კარგია.“

ამ დროისთვის საქართველოში 138 ათასი ავტომობილია დაზღვეული, შედარებით მეტი ვიდრე გასულ წელს, თუმცა მაინც ძალიან მცირეა. ტრენდი ისეა, რომ ავტომობილების რაოდენობა ბევრად სწრაფად იზრდება ქვეყანაში, ვიდრე დაზღვეული ავტომობილების რაოდენობა. ავტოდაზღვევაში გასულ წელს მხოლოდ დაახლოებით 12 ათასი ახალი ავტომობილი დაემატა ბაზარს, რაც ძალიან ცოტაა. ასევე სამედიცინო დაზღვევაშიც. შარშანდელთან შედარებით ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა მხოლოდ 3%-ით, 20 ათასით გაიზარდა“, - განაცხადა ჯაფარიძემ.

მსგავსი პოზიცია აქვს „პსპ დაზღვევის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს – სოფო

ლუბანიძეს. როგორც მან გასული წლის დეკემბერში განაცხადა, სადაზღვევო სექტორის მიერ მოზიდული პრემიის ზრდა ძირითადად დაზღვევის გაძვირებითაა განპირობებული და არა დაზღვეულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდით.

„გასულ წელთან შედარებით ჯანმრთელობის დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა მხოლოდ 25 ათასითაა გაზრდილი. ეს სამი მონაცემი – მოზიდული პრემია, ანაზღაურებული ზარალები და დაზღვეულთა რაოდენობა, მივხვდებით იმას, რომ ინდუსტრია იზრდება არა დაზღვეულთა რაოდენობის ინტეგრაციით, არამედ ფასების კორექტირებით, რასაც შეგვიძლია გაძვირებაც დავარქვათ. დაზღვევა განსაკუთრებით იმ ფონზე ძვირდება, რომ უტილიზაცია და სამედიცინო სერვისებით სარგებლობა მთლიანად შეცვლილია.“

ცული ისაა, რომ მოტივაცია, ადამიანების რაოდენობა გაიზარდოს, ვისი რისკიც სადაზღვევო სექტორის მიერ იქნება მართული, არც აქამდე იყო და სამწუხაროდ, არც ახლა არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ მომავალშიც გვექნება ასეთი ნელი ტემპი, რომ სადაზღვევო ბიზნესი დაზღვეულთა რაოდენობის მიმართულებით გაიზარდოს“, - განაცხადა სოფო ლუბანიძემ.

ჯანდაცვის სექტორი ე.წ. შემავსებელი პაკეტების დაბრუნებას განიხილავს. „დაშენებული“ ანუ შემავსებელი სადაზღვევო პაკეტები ჯანდაცვის სამინისტრომ 2017 წელს გააუქმა. დაზღვევის კავშირის გენერალური მდივანი, ლაშა ნიკოლაძე „კომერსანტთან“ ამბობს, რომ 2017 წელს აღნიშნული პაკეტების გაუქმება სწორი გადაწყვეტილება იყო, თუმცა მას შემდეგ დრო გავიდა და სექტორს რეალური ცვლილებები სჭირდება.

სადაზღვევო სექტორი ინიციატივით გამოდის – დასაქმებულებისთვის შეიქმნას განსხვავებული, მიზნობრივი სადაზღვევო პაკეტები, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვასთან წინააღმდეგობაში არ მოვა და მოქალაქეებს სრულფასოვანი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს.

„თუ სახელმწიფო და კერძო დაზღვევა შეთანხმდებიან, რომ დასაქმებულებს განსხვავებულ პროდუქტს შესთავაზებენ და მეორე მხარე საყოველთაო ჯანდაცვას არ შეზღუდავს, ძალიან კარგი იქნება. ეს გამოიწვევს იმას, რომ დასაქმებულთა ნაწილი, რომელიც ისევ საყოველთაო დაზღვევას იყენებს, კერძო დაზღვევასაც შეიძენს და ჯანდაცვის სერვისებში მოქალაქეებს ნაკლები დაეხარჯებათ“, - აღნიშნა ლაშა ნიკოლაძემ.

გარდა ამ ინიციატივისა, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო დაზღვევის ერთობლივად ფლობის შესაძლებლობას უკავშირდება, სადაზღვევო სექტორს უკვე წლების ავტომობილების სავალდებულო დაზღვევის შემოღების იმედი აქვს. თუმცა ეს სავალდებულო დაზღვევა უკვე 6 წელია რაც განიხილება, მაგრამ ჯერ ისევ ინიციატივის დონეზე რჩება.

თემურ იობაშვილი

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის განცხადება


ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამალლობელის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამალლობელის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის განვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო. ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამალლობელს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან ვითხოვთ სხვა მართლაც მძიმე დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, როგორცაა: „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ნიღბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სხვა შემთხვევები.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

სტუმარი

სტუმარი – ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.

ინტერვიუ სს „მიკრობანკი კრისტალის“ გენერალურ დირექტორთან, ილია რევიასთან

ილია რევია – დაიბადა 1979 წლის 18 მაისს, ქ. სოხუმში.

განათლება და სერტიფიკატები

2006-2007 წ. – იენჩეპინგის უნივერსიტეტი (შვედეთი), საინფორმაციო ტექნოლოგიების და ბიზნესის განახლების მაგისტრი.

2009-2010 წ. – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, მაგისტრის სერტიფიკატი პროექტების მართვაში.

2010 წ. – BPS, საბანკო პროცესების მოდელირება.

2012 წ. – პროექტების მართვის ინსტიტუტი, პროექტების მართვის პროფესიონალი (PMP).

2012 წ. – მართვის აკადემია, დროის მართვა.

2013 წ. – მართვის აკადემია, IT მმართველობა.

2014 წ. – მართვის აკადემია, მართვის თანამედროვე მეთოდები.

2014 წ. – ტეხასის უნივერსიტეტი, კოკრელის ინჟინერიის სკოლა, პროგრამული ინჟინერიის სასერტიფიკატო პროგრამა.

2016 წ. – პროექტების მართვის ინსტიტუტი, ლიდერობა, მმართველობა და გადამწყვეტილების მიღება.

2022 წ. – Forward აკადემია, ადამიანების მენეჯმენტი.

2025 წ. – ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა, სტრატეგიული ლიდერობა ფინანსებში



სამუშაო გამოცდილება

2025.02 – სს მიკრობანკი „კრისტალი“, გენერალური დირექტორი.

2019.06-2025.02 – სს მისო „კრისტალი“, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი.

2013.05-2019.06 – „საქართველოს ბანკი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების უფროსი ოფიცრის მოადგილე IT მმართველობის მიმართულებით.

2012-2013 – „საქართველოს ბანკი“, IT ხარისხის და რისკების მართვის უფროსი.

2009 – 2012 – „საქართველოს ბანკი“, სტრატეგიული პროექტების უფროსი მენეჯერი.

2009.01-2009.07 – Tetrattech DPK, სან-ფრანცისკო, აშშ და თბილისი, პროგრამის ხელმძღვანელი.

2007.08-2009.02 – „თიბისი ბანკი“, IT პროექტების მენეჯერი.

2001.05-2006 – ალან კლაუსის საადვოკატო კომპანია, ნიუ-იორკი, IT მენეჯერი.

– ბატონო ილია, დიდი მადლობა, რომ დრო დაგვითმეთ. საზოგადოების დიდი ნაწილი თქვენ გიცნობთ გადაცემიდან „რა? სად? როდის?“, როგორც ძალიან გამოცდილ და საინტერესო მოაზროვნეს. ამასთანავე, თქვენი პროფესიული კარიერა უკავშირდება IT სექტორსა და პროექტების მართვას. მოგვიყევით უფრო მეტი თქვენ შესახებ.

– სოხუმში დავიბადე, მე-5 საჯარო სკოლაში ვსწავლობდი. 13 წლის ვიყავი, როდესაც აფხაზეთი დავტოვეთ და ცხოვრება თბილისში გავაგრძელეთ. დავამთავრე პირველი ექსპერიმენტული სკოლა და ჩავაბარე საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში, გამოყენებითი მათემატიკის განხრით. შემდეგ იყო დასავლეთი, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი – პროექტების მართვა, იენჩეპინგის უნივერსიტეტი ბიზნესი და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

- თქვენი პირველი სამსახური რა იყო?

– საქმიანობა IT (ინფორმაციული ტექნოლოგიები) მიმართულებით დაიწყო. მოგეხსენებათ, 90-იანების ბოლოს ეს შედარებით ახალი პროფესია იყო. თანაც იმ პერიოდში მათემატიკოსებს, რამის კეთებისთვის, დიდი არჩევანი არ ჰქონდათ, ამიტომ ამ პროფესიაში გადავერთე. პროგრამისტების ვებ-სტუდია იყო, ვებ-გვერდებს ვაკეთებდით. 2007 წელს საბანკო სფეროში გადავედი, თავიდან მუშაობა „თიბისი ბანკში“ დაიწყო, სადაც ასევე IT პროექტები იყო, ოღონდ ანგარიშგებების მიმართულებით. შესაბამისად, ფინანსები და საბანკო საქმე იქ ვისწავლე.

- 90-იან წლებში რა შესაძლებლობები იყო IT სექტორში ან რა სახის პროგრამებზე მუშაობდით?

– ბევრი არაფერი იყო, როგორც ვითხარით, თავიდან ვებ-დეველოპმენტს ვაკეთებდით. მაგალითად, 1998 წელს, ერთ-ერთი მსხვილი ქართული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ვებ-გვერდი ჩვენი ავტორობით შეიქმნა. მე და ჩემი მეგობრები ამ საქმით ვიყავით დაკავებული, პარალელურად – ვსწავლობდით. შემდეგ აშშ-ს კონგრესის სტიპენდიით აშშ-ში წავედი. იქ 1 წელი თან ვსწავლობდი, თან უნივერსიტეტში ვმუშაობდი. მოგვიანებით ისევ დავბრუნდი ამერიკაში, უკვე დიდი ხნით, 5 წლით.

- საბანკო-საფინანსო სფეროში რა მიმართულებით მუშაობდით?

– ეს იყო ანალიტიკა, 2007-2008 წლებში, სისტემური ბანკის რეპორტირების ავტომატიზაციის პროექტი მებარა, შემდგომ კი IT პროექტების მართვა მეორე სისტემურ ბანკში. საბანკო სფეროში თითქმის ყველა მიმართულება შევისწავლე, რაც ბიზნესს და ტექნოლოგიებს უკავშირდებოდა – ამოცანის დასმით დაწყებული, შემდეგ ამ ამოცანის შესრულების და ხარისხის კონტროლი, ანგარიშგება, IT უსაფრთხოება, IT რისკები და ა.შ.

- თქვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საკონსულტაციო და ტრენინგ-საქმიანობა, კონკრეტულად რა მიმართულებით ატარებთ ტრენინგებს?

– ძირითადად, პროექტის მართვის მიმართულებით. მსხვილ ორგანიზაციებში ეფექტურად როგორ ავაწყოთ პროექტების მართვის პროცესი. საკონსულტაციო პროექტები როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისთვის გამიკეთებია.

- საქართველოში რა არის ის გამოწვევები, რომელიც ბიზნესის წარმატებით კეთებას აფერხებს არაპროფესიონალი მენეჯმენტი, სახელმწიფო ბიუროკრატია, თუ რა?

– გამოწვევა ბევრია და ყველა ინდუსტრიას თუ კომპანიას უნიკალური აქვს. თუმცა ხშირად ეს არის ცოტა ზედმეტი ოპტიმიზმი ახალი წამოწყებების მიმართ, როდესაც ახალი საქმიანობა გამოუცდელია გამო საკმარისად კომპლექსური არ ჰგონიათ. მსმენია ფრაზები – „ეს ხომ მარტივია“, „დავიწყეთ და გზაში რაღაც იქნება“, ჯამში კომპლექსურობის და რისკების გაუთვალისწინებლობა. რთულ საქმიანობაში მუშაობისას ბევრი ფაქტორის გათვალისწინება გიწევს – კონკურენცია, ცვალებადი მაკრო გარემო, რეგულაციები, საკუთარი რესურსების თუ ორგანიზაციის მზაობა სიახლეებისთვის. საჭიროა ცოტა გრძელვადიანი დაგეგმარება რომელიც ამ ყველაფერს ითვალისწინებს. ჩვენთან უყვართ მხოლოდ ერთი ნაბიჯით დაგეგმარება ნაცვლად იმისა, რომ სურათი გრძელვადიანად დაინახონ. ვიტყვოდი, რომ ყველაზე მეტად მომავლის განჭვრეტის პრობლემებია.

საკანონმდებლო თვალსაზრისით, დიდ პრობლემას ვერ ვხედავ. საქართველო, მაინც ბიზნესის წარმოების მიმართ ლოიალური მიდგომებით გამოირჩევა. ბუნებრივია, ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისას რეგულაციები უფრო დაიხვეწა და გამკაცრდა, მაგრამ ეს ევოლუციური პროცესია და ყველა ევროპულმა სახელმწიფომ გაიარა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენთან მეტი ბიუროკრატიაა, ვიდრე ჩვენს სამეზობლოში. თუმცა, საქართველოს განვითარებადი ეკონომიკა აქვს და საინვესტიციო გარემო ყოველთვის დამოკიდებულია გლობალურ ტენდენციებზე. სამწუხაროდ, ვინაიდან არ არის ადგილობრივი ინვესტორების დიდი ბაზა, მაღალია საერთაშორისო ინვესტიციებზე დამოკიდებულება, რაც განვითარებას ანელებს. გამოწვევად რჩება კაპიტალის ბაზრის სიმწირე, ინვესტორების მოძიება, თუ შევედრებით ევროპას, შეერთებულ შტატებს ან აზიის იმ ქვეყნებს, სადაც კაპიტალის დიდი ბაზრებია.

- უკვე მრავალი წელია გვეხმის, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის გარკვეული რეფორმები მზადდება, როგორც ეკონომიკის სამინისტროს, ისე ეროვნული ბანკის მხრიდან. ასევე კეთდებოდა განცხადებები, რომ საპენსიო რეფორმა ხელს შეუწყობდა კაპიტალის ბაზრის გააქტიურებას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები არ გვაქვს...

- ვერ ვიტყვი, რომ პროცესი წინ არ მიდის. განვითარება არის, მაგრამ სწრაფ, დინამიკურ ეკონომიკებს უნდა ახასიათებდეს უფრო მაღალი ტემპი. მშპ საკმაოდ კარგად იზრდება, თუმცა სამწუნაროდ, შენახული ფული ბანკებში ილექება. შესაბამისად, ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ეს ფული გაასესხონ. კაპიტალის ტიპის ინსტრუმენტების მიმართ მეტი ნდობა უნდა შეიქმნას, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება ინვესტორებში, თუნდაც მცირე ინვესტორებში. გასულ წლებში იყო სპეციალური კაპიტალის ბაზრების განვითარების პროგრამები, ჩვენც (კრისტალი) ბენეფიციარები ვიყავით, რომლის საშუალებითაც ბევრ კომპანიას მიეცა საშუალება კაპიტალის ბაზარზე ობლიგაციების განთავსების. თუმცა ობლიგაციების გარდა პირველადი კაპიტალის მოზიდვა ძალიან ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც კომპანიები მსგავსი ტიპის ინვესტიციებით ვითარდება ეს უფრო მდგრადი მოდელია, ვიდრე უბრალოდ სესხზე დამოკიდებულება.

- თქვით, რომ უფრო მეტად ბანკების მიმართ არის ინტერესი, ქვეყანაში ორი უმსხვილესი ბანკია, რომელიც ფინანსური ბაზრის უდიდეს წილს აკონტროლებს. ეს პროცესი რამდენად აფერხებს ჯანსაღი კონკურენციის შექმნას, ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლას?

- რთულია კონკურენცია შენზე ბევრად უფრო დიდ კომპანიებთან, თუმცა თუ საკუთარ ნიშაში კარგად მუშაობ, მაშინ ყველაფერი რიგზეა. ჩვენ ამას იმით ვახერხებთ, რომ ვიცით ჩვენი კლიენტების საჭიროებები, ჩვენი პროდუქტებიც და პროცესებიც მორგებულია ამ სეგმენტზე. ბაზარზე მეტი კონკურენცია ბუნებრივია, ყოველთვის კარგია. ნებისმიერ ინდუსტრიაში როცა ნაკლები მოთამაშეა, უფრო რთულად და ნელა მიდის ამ ინდუსტრიის და შესაბამისად ეკონომიკის განვითარება.

- რა შესაძლებლობები მისცა სს „კრისტალს“ მიკრობანკის სტატუსის მიღებამ?

- პირველ რიგში, ეს არის არასაკრედიტო პროდუქტები. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ძირითადად, დაკრედიტებისკენ არიან ორიენტირებული. ახალი სტატუსი კი ქმნის შესაძლებლობას ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ ტრანზაქციული საბანკო მომსახურება – ანგარიშები, გადარიცხვები, ასევე შემნახველი პროდუქტები. გარდა ამისა, სტატუსი გვაძლევს საშუალებას შევიდეთ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში. ეს მნიშვნელოვანია როგორც ჩვენთვის, ისე ეკონომიკის მდგრადი ეკონომიკისთვის, რათა ამ სეგმენტში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და სერვისის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდოს.

- თქვენი მომხმარებელთა სეგმენტი თუ შეიცვალა?

- ასე არ ვიტყვით. ბუნებრივია, ვაგრძელებთ იმ სეგმენტში მუშაობას, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, დივერსიფიკაციაც გვინდა და ვხედავთ, რომ ჩვენი მომხმარებლებიც დაიხვეწნენ, მათი საჭიროებებიც გაიზარდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. უკვე არა მხოლოდ სესხი აინტერესებთ, სხვა პროდუქტის აუცილებლობაც გაუჩნდათ.

- ეკონომიკური დარგების მიხედვით ყველაზე მეტი მოთხოვნა სოფლის მეურნეობასა და გაჭრობაზე მოდის, დარგობრივ კრილში ეს სტრუქტურა თუ შეიცვალა? განსხვავებული ტიპის ბიზნესები თუ გამოჩნდნენ?

- ჩვენ დივერსიფიცირებული პორტფელი გვაქვს. დაახლოებით მეოთხედი ითვლის სოფლის მეურნეობას, მეორე მეოთხედი – ვაჭრობას და მომსახურებას. ბოლო წლებში გაიზარდა ტრანსპორტი, ლოჯისტიკა და მშენებლობის სექტორები. საკმაოდ იზრდება ლიზინგის მიმართ ინტერესი, საცალო სექტორშიც აქტიურად ვართ წარმოდგენილები.

- დეპოზიტების მოზიდვის მიმართულებით რა ტიპის აქტივობას გეგმათ? რატომ უნდა შეინახოს ადამიანი თქვენთან დანახოვი?

– ეს პროცესი უკვე დაწყებული გვაქვს. საინვესტიციო პროდუქტებს ვათავსებთ, ჯერჯერობით თამასუქის სახით, რომელიც ამ ბაზარზე ძალიან მიმზიდველად გამოიყურება, განსაკუთრებით სავალუტო საინვესტიციო პროდუქტები. ივნისის ბოლოს დაიწყებთ სადებოზიტო კამპანიას, რომელიც იქნება როგორც მცირე დებოზიტარებზე ორიენტირებული – მათთვის, ვისაც 30 ათას ლარამდე შეუძლიათ ანაბრის დაგროვება. ეს ანაბრები სრულიად დაზღვეული იქნება. შემდეგ უკვე მსხვილი დებოზიტარები, 100 ათას ლარს ზემოთ, ეს იქნება იურიდიული პირებისთვისაც. შეგვიძლია მათ ბევრად უკეთესი სარგებელი შევთავაზოთ, ვიდრე ტრადიციული ბანკები სთავაზობენ.

– ეკონომიკის გაციფრულების პროცესი ძალიან სწრაფად მიდის, შეიქმნა ციფრული ბანკები, ტრადიციული ბანკებიც, ეტაპობრივად, ციფრულ პროდუქტებს სთავაზობენ მომხმარებელს. თქვენ როგორ მიყვებით ამ პროცესს?

– ცხადია, ამ ყველაფერს ჩვენც ფუნს ვუწყობთ. მიკრობანკის ლიცენზიის მიღებამდე გვქონდა შესაძლებლობა, და ეს იყო ციფრული ონბორდინგი კლიენტებისათვის – სესხზე განაცხადის შეტანა, განაცხადის სტატუსის გაგება, გადახდის გრაფიკები და ასე შემდეგ. ამ ეტაპზე ჩვენ ამ არსს ვავითარებთ სულ ახლახან კლიენტების იდენტიფიკაცია და ვენერგეთ. ეს ყველაფერი გაგრძელდება მობილური ბანკინგით. გვაქვს პროდუქტების განვითარების გრძელვადიანი გეგმა, სადაც ყველა ეს პროდუქტი ჩაშლილია და ეტაპობრივად შევთავაზებთ ჩვენს კლიენტებს

– ეკონომიკის გაციფრულებამ, რომელიც განვითარების ბევრი შესაძლებლობა შექმნა, ასევე გააჩინა გამოწვევები კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით. მომხმარებელს ხშირად უჩნდება კითხვა, რამდენად კარგად არის დაცულია საფინანსო სექტორში მათი დანაზოგები. რა შეგიძლიათ უპასუხოთ მათ?

– ვფიქრობ, ამ მიმართულებით ქართული საბანკო სექტორი საკმაოდ კარგად არის დაცული. აქამდე არ გვსმენია ინფორმაცია მნიშვნელოვანი ინციდენტების შესახებ. ცხადია, ყოფილა შეტევის მცდელობები. ტექნოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ კარგი დაცულობაა კომერციულ სექტორში, ბევრი ტიპის სისტემაა დანერგილი, მაგალითად მონაცემთა გაფრთხილების საწინააღმდეგო სისტემები, უსაფრთხოების ინციდენტების მონიტორინგის სისტემები. უფრო მნიშვნელოვანი ხდება ხელოვნური ინტელექტის როლი კიბერუსაფრთხოებაში. ციფრული ტრანზაქციები როცა მრავლდება, შეტევების სურვილიც უფრო იზრდება. ვფიქრობ, ქართული საფინანსო სექტორი ამ გამოწვევებს მომზადებული ხვდება.

– ამ კითხვით ხშირად მივმართავ რესპონდენტებს: ბიზნესი ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კადრების სიმწირეს ასახელებს, ასევე ძალიან ბევრი კვალიფიციური ახალგაზრდა ტოვებს ქვეყანას და ცდილობს კარიერა უცხოეთში აიწყოს. თქვენ თუ ხედავთ ამ პრობლემებს და როგორ უმკლავდებით მას?

– ცხადია, გამოწვევა არსებობს და ეს გამოწვევა არამხოლოდ დიდ ქალაქებს ახასიათებს, არამედ რეგიონებსაც. ვფიქრობ, ეს პრობლემები არ არის ცალმხრივი. პოტენციურ და არსებულ თანამშრომლებს დამსაქმებლებმაც სწავლისა და განვითარების მეტი შესაძლებლობები უნდა შესთავაზონ. სამწუხაროდ, ქართული ეკონომიკა პატარაა. მას შემდეგ, რაც საზღვრები გაიხსნა, კადრებზე კონკურენცია ბუნებრივად გაიზარდა. ბევრი ადამიანია, რომელიც საქართველოდან უცხოეთში მუშაობს, მომსახურების ექსპორტს ეწევიან IT სფეროდან, საკონსულტაციო სფეროდან და საფინანსო სფეროდანაც. ამას ფეხი უნდა ავუწყოთ. მათ შორის, განათლების სისტემას აქვს დიდი როლი – მეტი პროფესიონალი გამოუშვან. ჩემი აზრით, სწავლის 4-წლიანი პერიოდი დღეს არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ სპეციალისტი გახდეს და მუშაობა დაიწყოს. აქტიურად ვიყენებთ სტაჟირების პროგრამებს. ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტებთან, რომ სტუდენტები ადრეულ პერიოდში მოვიზიდოთ, რათა საქმე პრაქტიკაში ისწავლონ. ეს პროცესი ახალგაზრდა თანამშრომლებში უფრო მეტ ლოიალობასაც ქმნის, თუნდაც ის, რომ ეს მათი პირველი სამსახურია. მათი კარიერული განვითარებაც სწრაფად მიდის. ბუნებრივია, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რა ანაზღაურების შეთავაზება შეუძლიათ კომპანიებს. საქართველო საკმაოდ კონკურენტული ბაზარია, განსაკუთრებით ფინანსურ სექტორში. ამ ტენდენციებს ვცდილობთ ფეხი ავუწყოთ სხვადასხვა მეთოდებით და შედეგად თანამშრომლების გადინების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი გვაქვს, რასაც ვაღწევთ ლოიალობით, გარემოთი, თანამშრომლობაზე და განვითარებაზე ორიენტირებით.

– თქვენ ახსენეთ, რომ სტატისტიკა მშპ-ის მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს. საინტერესოა, წინა პერიოდებთან შედარებით, დაკრედიტებაზე მოთხოვნა როგორია? რთული პოლიტიკური ვითარების

გამო, ეკონომისტთა ნაწილი ეკონომიკური აქტიურობის შენელებას ელოდებოდა.

– შარშან, ჩვენი საკრედიტო პორტფელი 17%-ით გაიზარდა, წელსაც იგივე ზრდა გვაქვს დაგეგმილი. მოთხოვნის შემცირება არ შეგვიძინებია, პირიქით გვიჭირდა მოთხოვნის დაკმაყოფილება. განსაკუთრებით მოთხოვნაა აგროსფეროში დაკრედიტებაზე, მიკრო და მცირე მეწარმეებში.

– გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი როგორია?

– ჩვენთან ძალიან კარგი გადახდისუნარიანობაა, ფაქტობრივად, ცვლილება არ გვიგრძნია. პირიქით, შარშან და შარშანწინ ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა. ეს კოვიდის შემდეგ ნორმალური პროცესია, რადგან კორონავირუსი პრობლემა იყო ყველასთვის. მიკრომეწარმეები გარე შოკების მიმართ მოწყვლადობით არ ხასიათდებიან, მარტივად ადაპტირდებიან. ამასთანავე, სესხი ეროვნულ ვალუტაში აქვთ და მათზე სავალუტო რისკები არ მოქმედებს. ჰეჯირების რისკებს მთლიანად კომპანია იღებს. ამ მიდგომებმა კოვიდის დროსაც პოზიტიურად იმოქმედა.

– ბიზნესი ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად ფინანსური რესურსის სიჭირბედიას ასახელებს. რატომ არის საქართველოში სესხი ასე ძვირი?

– მიზეზი ბევრია, უპირველესად საკრედიტო რესურსების მოზიდვისას დივერსიფიკაციის ნაკლებობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თუ საიდან მოდის ჩვენი ეკონომიკის დაკრედიტების რესურსი. ქვეყანა დიდ წილად უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საკრედიტო რესურსებზე არის დამოკიდებული, რომელსაც სჭირდება ცალკე ჰეჯირება, რომელიც ამ რესურსს აძვირებს. სანამ ფული საბოლოო მომხმარებელამდე მივა, ფინანსური შუამავლების (ფინანსური ორგანიზაციების) მომსახურების თვითღირებულებაც უნდა გავითვალისწინოთ.

– რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობაში რამე დისონანსი ხომ არ შეიტანა?

– კითხვებს მეტს სვამდნენ, რაც ლოგიკურია. ჩვენ 20-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტთან ვმუშაობთ, მათ შორის ისეთ მსხვილ ორგანიზაციებთან, როგორცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ჰოლანდიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა.შ. მოგეხსენებათ კითხვები არის არამხოლოდ საქართველოს მიმართ, არამედ გლობალურ ბაზარზეც არ არის მარტივი სიტუაცია, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის განცხადებებმა ბევრი რამ არაპროგნოზირებადი გახადა. თუმცა, მაინც გრძელდება ჩვენი დაფინანსებები, მეტსაც გეტყვით, შარშან, დაახლოებით, 90 მილიონი დოლარის საკრედიტო რესურსი მოვიზიდეთ, წელს ვგეგმავთ 100 მილიონზე მეტი საკრედიტო რესურსის მოზიდვას.

– არსებულმა ვითარებამ, ეს რესურსი ხომ არ გააციფრდა?

– დროებით ჰეჯირება გაძვირდა, ვინაიდან ლარის მერყეობა აღინიშნებოდა, განსაკუთრებით წლის ბოლოს. ამ ეტაპზე ჩვეულებრივ ფასთა დიაპაზონი დაბრუნდა.

– კომპანიის განვითარების გეგმები როგორია?

– ახლა რაზეც ვმუშაობთ, ეს არის პორტფელის გამსხვილება და კლიენტების რაოდენობის ზრდა. ვგეგმავთ, რომ 3 წელიწადში ორგანიზაციის ზომა გაორმაგდეს. პორტფელის ნაწილში ნახევარ მილიარდს ავცდით, 2028 წლისთვის კი მილიარდიანი გეგმა გვაქვს. ამ გეგმის შესრულება შესაძლებელია იმის გათვალისწინებითაც, რომ მიკრობანკის სტატუსით მცირე ბიზნესში შესვლისა და მათი დაკრედიტების საშუალება გვეძლევა.

– გარდა პროფესიული საქმიანობისა, კიდევ რაში იხარჯება თქვენი დრო? თუ გაქვთ ჰობი?

– ჩემთვის „რა, სად, როდის“ თამაში – დასვენებაა. ახლო მეგობრები ვიკრიბებით და ვთამაშობთ, არამხოლოდ სატელევიზიო ფორმატში. გარდა ამისა, მიყვარს სამთო ველოსპორტი და მთაში ლაშქრობა. ცხადია, დიდ დროს ვატარებ ოჯახთან ერთად.

ესაუბრა მაკა ხარაზიშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეცებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

„გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები დაჩქარებული წესით შეიტანეს

ქვეყნის „არაკეთილსინდისიერი გარე ძალებისგან“ დაცვა თუ დემოკრატიისგან უკუხვლა?!

უცხოეთიდან გრანტების მიღება მთავრობის ნებართვის გარეშე აიკრძალა. უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი აი ასე „მარტივად გადაწყდა“. ვინც კანონს დაარღვევს და უცხოურ ფულს მთავრობის თანხმობის გარეშე მიიღებს, სოლიდური თანხით დაჯარიმდება. კანონი განსაზღვრავს გამონაკლისებს – მთავრობის სავალდებულო თანხმობის წესი არ ვრცელდება საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციის და კომიტეტის მიერ გრანტის გაცემაზე, საქართველოს საზღვრებს გარეთ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისთვის და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ სტიპენდიასზე, ასევე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გრანტის მიღებაზე.

„სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, ერთი მხრივ, თავად განახორციელოს იმგვარი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას, სტაბილურ განვითარებას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და, მეორე მხრივ, შექმნას სათანადო ნიადაგი ჰუმანური, სავანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა ანდა სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის (მათ შორის, პირის მიერ გრანტის გაცემის/მიღების ფარგლებში), რომლის პირობებშიც სრულად იქნება დაცული კონსტიტუციური საწყისები – სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ქვეყნის საშინაო ანდა საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, – ამ ტექსტით იწყება „გრანტების შესახებ“ კანონის განმარტებითი ბარათი, რომელიც პარლამენტმა 2025 წლის 16 აპრილს დაჩქარებული წესით მიიღო. კანონპროექტს მხარი 85-მა პარლამენტმა დაუჭირა. ბუნებრივია, წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

კანონი თავდაპირველი სახით ჯერ კიდევ 1996 წლის 28 ივნისს მიიღეს. მისი ახალდაწესებული მოთხოვნები არ გავრცელდება აქამდე გაცემულ თუ მიღებულ გრანტებზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გრანტის ხელშეკრულება

შეიცვლება. ცვლილებების მიხედვით, გრანტის გაცემისთვის აუცილებელია მთავრობის ან მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის, ორგანოს თანხმობა, ამ შემთხვევაში ეს ორგანო ანტიკორუფციული ბიუროა. პასუხისთვის განსაზღვრულია 10-დღიანი ვადა. ამასთანავე, გასაჩივრება მთავრობის გადაწყვეტილებას არ აჩერებს. თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება აკრძალულია, უნებართვო გრანტისთვის სასჯელი კი ეკისრება გრანტის მიმღებს. „გრანტის თანხმობის გარეშე მიღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა“ გაწერილია კანონის 6⁴ მუხლში:

„1. გრანტის მიმღების მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღება –

გამოიწვევს გრანტის მიმღების დაჯარიმებას აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით.

2. ფიზიკური პირის ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოკითხვისას ან ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე ფიზიკური პირის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვისას აღნიშნული პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდება – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა – გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას ამ მუხლის სათანადო პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

4. სამართალდამრღვევს ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ქმედების ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში“.

ასევე მონიტორინგის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია: გამოკითხოს ფიზიკური პირი ამ კანონით დადგენილი წესით, დაკითხოს ფიზიკური პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, საჯარო დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან, იურიდიული პირისგან (მათ შორის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისგან), სხვა სუბიექტისგან გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი,

სხვა პერსონალური მონაცემის და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია.

კანონპროექტი ადგენს აკრძალული გრანტის მიღებასთან დაკავშირებით პირის გამოკითხვის წესსაც. კერძოდ: ფიზიკური პირი, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ აკრძალული გრანტის მიღების მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია, შეიძლება ნებაყოფლობით გამოჰკითხოს ანტიკორუფციულმა ბიურომ. ამასთანავე, კანონით იკრძალება პირის იძულება მტკიცებულების წარდგენის ანდა ინფორმაციის გაცემისთვის. ასევე გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, არ გასცეს ინფორმაცია საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ. კანონი ასევე ადგენს ახლო ნათესავის დეფინიციას. ახლო ნათესავად მიიჩნევა – მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

პრემიერ-მინისტრის ირაკლი კობახიძის განცხადებით, გრანტებისა და „ენჯელების“ მეშვეობით, საქართველოში საბჭოთა მეთოდებით ცდილობენ სიძულვილის დათესვას, ამიტომ ეს კანონი, შესაბამისად, უპირისპირდება არა გრანტს, არამედ სიძულვილს.

„საქართველოს მთავრობა გადაამოწმებს ყველა გრანტის მიზნობრიობას და ამის მიხედვით გასცემს თანხმობას გრანტთან დაკავშირებით. ვერავის მიგცემთ იმის საშუალებას, რომ გრანტებისა და „ენჯელების“ მეშვეობით, საქართველოში ხელოვნურად დათესონ სიძულვილი და ხელოვნურად გახლიჩონ საზოგადოება. ეს კანონი არის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იმისათვის, რომ ჩვენ წინ აღვუდგეთ სიძულვილის ხელოვნურად დათესვას ჩვენს საზოგადოებაში“, – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, კობახიძე ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და გარე გაუმჭვირვალე დაფინანსება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გახდეს ქვეყნის არევის ინსტრუმენტი. „ჩვენ მოვისმინეთ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ხელისუფლების აღიარება წინა ადმინისტრაციის ქმედებებთან დაკავშირებით. ახალმა ადმინისტრაციამ პირდაპირ განაცხადა, რომ USAID-ის, NED-ის თანხები ხმარდებოდა სხვა სახელმწიფოებში რევოლუციურ პროცესებს, ქვეყნის არევას. ეს არის პირდაპირი აღიარება, ახლა უკვე ჩვენ ვხედავთ აღიარებას ევროპული სტრუქტურებიდან. ყველაფერი დღესავით ნათელია. თქვენ ხედავთ, ვინ აფინანსებს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში არიან რადიკალიზმის გაღვივებით და სიძულვილის დათესვით დაკავებული. ეს არის ყველაზე მდიდარი NGO-ები. პოლიტიკური პარტიებიც კი, რომლებსაც კონსტიტუციის დარღვევით აფინანსებდნენ კონკრეტული ფონდები. ყველაფერი ხელის გულზე დევს ისედაც, მაგრამ ჩვენ ბოლომდე გამჭვირვალე უნდა გავხადოთ ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ბოლომდე იყოს მტკიცედ დაცული საქართველოს უსაფრთხოება“, – განაცხადა კობახიძემ

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით კი, ყველა კეთილსინდისიერი დონორი, ვისაც სურვილი აქვს, ქართველი ხალხის ინტერესებში იმოქმედოს, დასამალი არაფერი აქვს. პარლამენტის თავმჯდომარე ასევე აღნიშნავს, რომ ყველა კეთილსინდისიერი წამოწყება მთავრობის მიერ მხარდაჭერილი იქნება.

„შემოდის გრანტის დონორის მხრიდან მთავრობასთან გრანტის გაცემის შეთანხმება. ეს არ ეხება „ენჯელების“ მხრიდან გრანტის მიღებას და თანხმობას, არამედ გრანტის გაცემაზე თანხმობას. შეგახსენებთ, არჩევნების წინ რამდენიმე „ენჯეოს“ გავლით უცხო ქვეყნები და პოლიტიკური ჯგუფები ერეოდნენ საარჩევნო კამპანიაში ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს არაერთი ფაქტით და განცხადებით დადასტურდა, რომელიც ჩვენ მაშინ გვესმოდა სხვადასხვა პირისგან. მათ შორის, შეგახსენებთ, 20 ოქტომბერს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თავისუფლების მოედანზე გაიმართა საბოლოო საარჩევნო შეკრება, რომელიც, პირველად ისტორიაში, მოაწყო არა ოპოზიციამ, ანუ იმ სუბიექტმა, რომელიც მონაწილეობდა არჩევნებში, არამედ მოაწვევს „ენჯელებმა“, დაფინანსეს უცხოური ფულით. ასე რომ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, ის არაკეთილსინდისიერი წამოწყებები, რომლებიც ემსახურება სიძულვილის გაღვივებას, ზიზღის დათესვას, შიდა პოლიტიკაში არაჯეროვან და არასათანადო ჩარევას, ასეთი პროექტები იყოს დანახული, ვის აქვს ამის სურვილი“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

თბილისის მერის, კახა კალაძის განცხადებით, კანონი „გრანტების შესახებ“, რომელიც უკვე მიღებულია, მკაცრად გააკონტროლებს თანხების გამოყოფის საკითხს და ცხადი გახდება, თუ რა პროექტებში იხარჯება უცხოური დაფინანსება.

„ვიცი, როგორ ხდებოდა რადიკალური ძალების დაფინანსება, ვინ იყო მთავარი დამფინანსებელი და საიდან მოდიოდა ეს თანხები. სიახლე ამ კუთხით ნამდვილად არ არის, თუმცა სამწუხაროა, რომ კითხვებზე არანაირი პასუხი არ არსებობს. კანონი, რომელიც უკვე მიღებულია, მკაცრად გააკონტროლებს ამ ტიპის ქმედებებს და ცხადი იქნება, თუ სად მიემართება ეს თანხები, რა პროექტებში იხარჯება. რა თქმა უნდა, მავანს არ სურს, გააცხადოს, თუ რა პროექტებს ხმარდება ეს დაფინანსება. ძირითადად, ის მიემართებოდა რევოლუციური სცენარების მოწყობისკენ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა და საზოგადოების გახლეჩა-დაპირისპირებისკენ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციები კანონის მიღებას სამოქალაქო საზოგადოების განადგურებისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აფასებენ. ამასთანავე, ამ ცვლილებებს მწვავე კრიტიკული გამოხმაურებები მოჰყვა საერთაშორისო არენაზე. ხელისუფლება დემოკრატიული პროცესების უკუსვლაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. კერძოდ ის, რომ „გრანტების შესახებ“ კანონი სამოქალაქო საზოგადოებას ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მოაქცევს და მის დამოუკიდებლობას

შეზღუდავს. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ნორვეგია ღრმად შემოფოთებულია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით, რაც მას სახელმწიფო კონტროლის მექანიზმად აქცევს და ძირს გამოუთხრის ქართული სამოქალაქო საზოგადოების ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას. ჩვენ მოვუწოდებთ ამ გადაწყვეტილების გაუქმებისკენ“.

კანონის მიღებას სოციალურ ქსელ „იქსზე“ პოსტი მიუძღვნა სენატორმა ჯინ შაჰინმა – „ქართული ოცნების“ მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩასახშობად კიდევ ერთი კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღება არის კიდევ ერთი ნაბიჯით უკან დახევა დემოკრატიული მომავლისგან, რომელიც ქართველ ხალხს სურს. პოლიტიკურ ლიდერებს არ უნდა ეშინოდეთ ქართველი ხალხის. ქართული სამოქალაქო საზოგადოება მკვეთრად დამოუკიდებელი აქტორები არიან“.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგუს ცაჰკნა ასევე აღნიშნავს, რომ კანონში ცვლილებები საქართველოს ევროპას კიდევ უფრო მეტად აშორებს. „საქართველოში ნაჩქარევად მიღებული ცვლილებები მოითხოვს, რომ დონორებმა სამოქალაქო საზოგადოების მხარდამჭერი პროექტების დასაფინანსებლად მთავრობის თანხმობა მიიღონ. ეს საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლად ფუნქციონირებას და საქართველოს ევროპას კიდევ უფრო მეტად აშორებს“.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარია სტენერგარდი სოციალურ ქსელ X-ში წერს, რომ ცვლილებები ფუნდამენტურად შეუთავსებელია ევროკავშირის ღირებულებებთან და ძირითად დემოკრატიულ პრინციპებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა „გრანტების კანონისა“, თანმდევნი ცვლილებები შევიდა კიდევ რამდენიმე კანონში. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების“ შესახებ კანონში შესული ცვლილებებით, იკრძალება პოლიტიკური პარტიის მიერ შემოწირულების მიღება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირისგან, საქართველოში ან საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირისგან ან პირთა სხვა სახის გაერთიანებისგან, გარდა ლექციის, სემინარის ან სხვა, მსგავსი საჯარო ღონისძიების უსასყიდლოდ მოწყობისა, ასევე სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტისგან. აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება იმ პირზეც, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ამ ცვლილებების მიღების შემდეგ დარეგულირდება საქართველოში ან საქართველოს ფარგლების გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირისგან შემოწირულების მიღების საკითხი.

მთავრობა ამბობს, რომ საზოგადოებისთვის საჭირო გრანტებს თავად გასცემს. ამისთვის 22 აპრილის ბრძანებით შეიქმნა სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო,

რომლის თავმჯდომარედ თამარ ზოდელავა დაინიშნა. სააგენტოს საქმიანობის მიზანია სახელმწიფო გრანტის გაცემის გზით საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. წელს სააგენტოს ბიუჯეტი 20 მლნ ლარი იქნება.

„გრანტის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები, სააგენტოს მიზანია განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გრანტების გაცემა; სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად გრანტების გაცემა; სამეცნიერო გრანტების გაცემა; ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემა; ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემა; დასაქმების ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემა; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებისადმი დაქვემდებარებულ ოჯახთა (ეკომიგრანტთა) სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით მათთვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გრანტების გაცემა; საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის მიზნით და საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების უზრუნველსაყოფად გრანტების გაცემა; საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია და საერთაშორისო საზოგადოებაში მათი დამკვიდრების ხელშეწყობა; საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისთვის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების სფეროებში, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების შედეგების აღმოფხვრებაში დახმარების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება; საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით გრანტების გაცემა.

ერთი სიტყვით, ქვეყანაში საკმაოდ მძიმე და გაუგებარი პროცესები მიდის. უცნაურია ნამდვილად, რომ განვითარების იმ ეტაპზე მყოფი ქვეყანა, როგორც საქართველოა, საზღვარგარეთიდან გრანტების მიღებაზე შეზღუდვებს აწესებდეს. საკარაულოდ, უცხოურ დაფინანსებაზე მყოფი ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო დაფინანსებას დაკარგავს, რომლებიც საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა კუთხით მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებდნენ. ამასთანავე, ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი სამსახურის გარეშე დარჩება. საქართველოში ამჟამად რამდენიმე ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული.

მაკა ხარაზიშვილი

„ბაყინული“ ჰესები – რატომ ეწინააღმდეგება მოსახლეობა ჰიდროსადგურების მშენებლობას და როგორ უნდა მსაუბროს მათ სახელმწიფო?

მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების გარეშე პროტესტი არ ჩაცხრება

საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. სახელმწიფო წლებია ენერგოდამოუკიდებლობის უზრუნველყოფას ცდილობს, რისთვისაც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაა საჭირო. ქვეყნის მიმართ ინვესტორების ინტერესიც არსებობს, თუმცა პროცესი მაინც ფერხდება.

ენერგეტიკული სექტორის განვითარებას ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მოსახლეობის პროტესტი აფერხებს. მათ წინააღმდეგობრივ მოძრაობას, ხშირ შემთხვევაში, გარემოსდამცველებიც მხარს უჭერენ. განწყობა იმდენად გადაძვება, რომ მსხვილ პროექტებთან ერთად, პროტესტი საშუალო და მცირე ჰესებისკენაც არის მიმართული. თითქმის ყველა შემთხვევაში, არსებობს თუ არა გარემოზე ზემოქმედების რისკი, წინააღმდეგობა მაინც სახეზეა. განსაკუთრებით, როცა საქმე კაშხლიან ჰესებს ეხება.

ამ დროს ენერგეტიკოსები ღიად აცხადებენ, რომ ქვეყნის ელექტროსისტემის სტაბილურობისთვის სამი მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის: „ხულონის“, „ნამახვანის“ და „ნენსკრას“ აშენება მნიშვნელოვანია. ხულონჰესის მშენებლობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იგეგმებოდა, მაგრამ, ძირითადად, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესმა, ასევე ხულონჰესის მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილში არსებულმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ, ეს პროექტი ჩაშალა, ყოველ შემთხვევაში მისი განხორციელება გაურკვეველი დროით გადადო.

იმისთვის, რომ პროტესტი ჩაცხრეს, მნიშვნელოვანი გარემოებაა მოსახლეობის ინტერესები იყოს გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული, დაიდოს გარემოზე ზემოქმედების შეფასება და დეტალურად გაიწეროს, კონკრეტული პროექტისგან რა სარგებელი შეიძლება მიიღოს ხალხმა. სწორედ ამ პირობების საფუძველზე აშენდა თავის დროზე „ენგურჰესი“, რომელიც უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურია საქართველოში. მისი დადგმული სიმძლავრეც 1300 მეგავატს შეადგენს. ენგურის სისტემის ნაწილია „ვარდნილჰესების კასკადიც“, რომლის დადგმული სიმძლავრეც 340 მეგავატია.

ენერგეტიკოსი ანზორ ჭითანავა თავის დროზე „ენგურჰესის“ მშენებლობის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა და დღემდე კარგად ახსოვს, რა გარემოებების გამო დაეთანხმა მოსახლეობა

გრანდიოზული პროექტის მშენებლობას, რამაც საბოლოოდ გაამართლა და სარგებელი როგორც ქვეყანამ, ასევე მოქალაქეებმაც მიიღეს.

ამიტომ მნიშვნელოვანია, მთავრობამ გამონახოს საერთო ენა და გახდეს შუამავალი, რომ არ დაზარალებს, ერთი მხრივ, დარგი და მეორე მხრივ, მოსახლეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები გარდაუვალია, რადგან ვხედავთ, რომ ეკონომიკა იზრდება და ამ პროცესს ენერგეტიკის განვითარება ფეხს ვერ უწყობს.

ენერგეტიკოსის შეფასებით, პროტესტი თუ გაგრძელდება, სექტორს მოუწევს ღიდწილად იმპორტზე გადართვა, რაც ენერგოდამოკიდებულებას გაზრდის და სამომხმარებლო ტარიფზეც იმოქმედებს.

„ლოკალურ უბნებზე მოსახლეობის მხრიდან გაცილებით მწვავე პროტესტია. შეიძლება იმიტომაც, რომ ყველა მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია და სიტუაციას კარგად იცნობს. ამიტომ იქ ადამიანებთან რაც შეიძლება მეტი კომუნიკაციაა საჭირო, მეტი შეღავათის მიცემის ხარჯზე. სოციალური შეღავათები და გარანტიები უნდა გახდეს პროექტის შემადგენელი ნაწილი, სხვა შემთხვევაში მას მხარდაჭერა არ ექნება. შედარებისთვის, ანაკლიის პორტის მშენებლობას წინააღმდეგობა ოდნავადაც არ შექმნია, რადგან იქ ადგილობრივი მოსახლეობის და გარკვეული ფენების ინტერესები იქნა გათვალისწინებული. ინფორმაცია კი გავრცელდა, რომ 20 მილიონერი გაჩნდა ანაკლიაში კერძო მიწების გაყიდვის შედეგად, ანუ ხალხმა მაქსიმალური სარგებელი მიიღო.

თუკი ასეთი მიდგომა არ იქნა ენერგეტიკაშიც, ვერც ერთი მსხვილი და საშუალო ზომის პროექტი მხარდაჭერას ვერ მიიღებს. ავიღოთ ხულონჰესის საკითხი, თითქოს არასწორად იყო დაგეგმილი, ამას ხინჯებს და ვნებს ეკონომიკასო. ამ ობიექტთან დაკავშირებით არაერთი ცრუ ინფორმაცია ვრცელდებოდა წლების განმავლობაში. მშენებლობის დასაწყისში მოხდა მოსახლეობასთან გარიგება და მათი ინტერესების შესწავლა. მაშინ თბილისის ჰიდროპროექტის ინსტიტუტის დირექტორი გახლდით და პროექტს პირადად ვხელმძღვანელობდი.

სახელმწიფომ მოსახლეობის ქონების ზუსტი აღრიცხვა მოახდინა, გაკეთდა ობიექტური შეფასება და ხალხს სხვადასხვა სახით შესთავაზეს კომპენსაცია: ზოგმა ფული მოითხოვა, ზოგმაც ბინა ქუთაისში,

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“



ცოდნა წარმატების საწინდარია!

- ფინანსური ანალიზი და დიაგნოსტიკა
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მონესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუტოსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

თბილისში ან სხვა დიდ ქალაქში. მივალწიეთ შეთანხმებას და მოსახლეობის 90% პროექტის განხორციელებას დათანხმდა. 1978 წელს დავიწყეთ ხულონპესის მშენებლობა, რომელიც 1989 წლამდე გრძელდებოდა. მისი საერთო მოცულობიდან 2/3 გაკეთებულია. ცხადია, ეს მოსახლეობის თანხმობით მოხდა. შემდეგ, განვითარებული მოვლენების გამო, პროექტის დასრულება ვერ მოხერხდა და დღესაც კატასტროფული ვითარებაა იმის გამო, რომ კონსერვირებული არ არის ობიექტი, რაც რეალურად ბევრად საშიშია, ვიდრე ექსპლუატაციაში გაშვებული ჰქნის. არანაირი მონიტორინგი არ მიმდინარეობს, გარდა ნგრევის და ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებისა“, – აღნიშნა ანზორ ჭითანავამ ჩვენთან საუბრისას.

როგორც ენერგეტიკოსმა განაცხადა, გარკვეული ბენეფიტების მიღების სანაცვლოდ დათანხმდა ადგილობრივი მოსახლეობა თავის დროზე „ენგურჰესისა“ და „ჟინვალჰესის“ მშენებლობას, სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებით კი მიდგომამ ორივე შემთხვევაში გაამართლა.

„ენგურჰესის“ მშენებლობით 4440 კმ გზა გაკეთდა, 30 000 კვ/მ საბინაო ფონდი აშენდა დაბა ჯვარში, 89 000 კვ/მ ფართი – ქუთაისში, თბილისში, ვალში და სხვა ქალაქებში საცხოვრებელი ბინების სახით მოსახლეობისთვის, სასწავლებლები და ადგილობრივი მრეწველობისთვის სხვადასხვა ტიპის ქარხნები და საწარმოები, რაც ხალხისთვის შეიქმნა. სოციალური გარანტიების ნუსხა ყველა პროექტს უნდა ახლდეს, რადგან პროტესტიც დიდწილად ამის გამოა.

ანალოგიური შედეგათები მიიღო ხალხმა „ჟინვალჰესის“ მშენებლობის დროსაც. თბილისის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის შექმნა სწორედ ამ ჰესის სახელს უკავშირდება. არაერთი საკითხი არის მოგვარებული პროექტის მშენებლობის პერიოდში. ესაა ყველაზე კლასიკური მაგალითი, როგორ გადაწყვიტა ჟინვალმა ელექტროენერჯის წყალმომარაგების, მელიორაციის და ეკოლოგიის საკითხები, რაც პროექტის შემადგენელი ნაწილი იყო. სხვა ჰესებთან დაკავშირებით მსგავსი დეტალები არ

განხილულა და პროტესტს ამანაც უბიძგა. ყველაფერს თავისი ნორმატიული მოთხოვნა და საზღვრები აქვს. ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ პროექტის შედგენისას, რასაც სახელმწიფო დონეზე უნდა გაეწიოს კონტროლი და მერე მხარდაჭერაც ექნება“, – განაცხადა ანზორ ჭითანავამ.

სულ ახლახან ვანის მუნიციპალიტეტში სოფელ სულორში, მდინარე სულორზე 4.8 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის – „სულორი ჰესის“ მშენებლობა გააპროტესტა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ ჰესის აშენების შემდეგ სოფელი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, მოსახლეობა კი იძულებული გახდება სოფლები დატოვოს.

რამდენიმე წლის წინ კი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა დაპირისპირება პანკისში „ხადორი 3 ჰესის“ მშენებლობის გამო. სოფელ ძიბახევში, შპს „ალაზანი ენერჯიმ“ „ხადორი 3 ჰესის“ სამშენებლო სამუშაოები, 2019 წლის 21 აპრილს, დილის 7 საათზე, ათობით პოლიციელის დაცვით განაახლა. ჰესის მშენებლობა, მოსახლეობის პროტესტის გამოისობით, 2018 წლის ივნისიდან იყო შეწყვეტილი. ადგილობრივები პროცესს ეკოლოგიური და საცხოვრებელი მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესების მიზეზით ეწინააღმდეგებოდნენ.

სამშენებლო სამუშაოების განახლებას პანკისის ხეობაში სამართალდამცავებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის შეტაკება მოჰყვა. დაპირისპირების შედეგად 55 ადამიანი დაშავდა – 38 პოლიციელი და 17 ადგილობრივი.

ასეთი პროტესტისა და დაძაბულობის ფონზე, თავისი შეფასებები აქვთ გარემოს დამცველებს. მათი მტკიცებით, ჰესების მშენებლობისას მკაფიოდ ვერ ასაბუთებენ, რა სარგებლობას მოუტანს ქვეყანას ესა თუ ის ობიექტი. უფრო ზუსტად, აჭარბებს თუ არა ეს სარგებელი იმ ზიანს, რასაც ჰიდროელექტროსადგური გარემოს მიაყენებს.

თუკი გათვლებით დადასტურდება, რომ სარგებელი ზიანს აღემატება, მაშინ ჰესი უნდა აშენდეს, წინააღმდეგ

შემთხვევაში – არა! ასეთი არგუმენტი აქვს ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელს დავით ჭიპაშვილს, რომელიც ჰესების მშენებლობის წინააღმდეგია.

„მცირე ჰესიც მნიშვნელოვანი ზიანის მოტანია, რადგან შენდება პატარა მდინარეზე, რაც ეკოლოგიურად გარკვეულ პრობლემას ქმნის. სანამ მშენებლობამდე მივალთ, უნდა დასაბუთდეს ჰიდროელექტროსადგურის აუცილებლობა. ჩვენი გენერაციის 75% ისედაც ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის. შეიძლება ალტერნატიული წყაროების განვითარებაზე ვიმსჯელოთ და არა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, რომლებიც ზამთარში, პრაქტიკულად, გაჩერებული არიან ან მცირე მოდინებაზე მუშაობენ. უნდა განისაზღვროს, ხორციელდება თუ არა ენერგოეფექტურობის ღონისძიებები, მოთხოვნა იზრდება თუ არა რეალურად და რა განაპირობებს ამას. თუკი მოთხოვნა მატულობს კრიპტოვალუტის მაინინგიდან გამომდინარე, რატომ უნდა ვაშენოთ ჰიდროელექტროსადგურები ქვეყანაში და ეკოლოგიას საფრთხე შევუქმნათ? იმისთვის, რომ კრიპტოვალუტაზე გაზრდილი მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ, როცა სუბიექტები ამის გამო ელექტროენერჯის რეალურ ტარიფსაც არ იხდიან?“

ამიტომ, როცა ენერგოსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ამ კითხვებს გაეცეს პასუხი და მერე ვიდავოთ ჰესების მშენებლობასა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე. პროექტის საჭიროება თუ დასაბუთდება სოციალურ-ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ ჭრილში, შეიძლება, ჩვენი პოზიციაც შეიცვალოს“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისას დავით ჭიპაშვილმა.

ჰესის მიერ გამოიწვევებული მეგავატების მიხედვით გარემოსთვის მიყენებული ზარალის შეფასება საკმაოდ პირობითია. მაგალითად, როგორც გარემოსდამცველი განმარტავს, თუ მდინარე მტკვარზე აშენდება ნ-მეგავატიანი ჰესი, ასეთი მცირე ჰიდროელექტროსადგური გარემოს ძალიან არ დააზიანებს, მაგრამ პატარა მდინარეზე აშენებული ასეთივე სიმძლავრის ჰესი შესაძლოა, გარემოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდეს.

ჰიდროელექტროსადგურების აკვარგეიანობაზე მსჯელობისას, რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. უნდა ვიცოდეთ, როგორია ჰესის მშენებლობის თაობაზე ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების პირობები, რამდენად სასარგებლოა ქვეყნისთვის ამ პირობებით ჰესის აშენება და რაც მთავარია – არსებობს თუ არა ამა თუ იმ ჰიდროელექტროსადგურის აშენების საჭიროება.

რაც შეეხება ინვესტიციებს, არსებული ინფორმაციით, მცირე და საშუალო პროექტებში ძირითადი მონაწილეები ადგილობრივი ბიზნესია, ხოლო მსხვილი პროექტებით უცხოელები ინტერესდებიან.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ინვესტიციები დარგში კლებადია, რაზეც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას სწორედ მოსახლეობის პროტესტი ახდენს.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, დავით მირცხულავას ინფორმაციით, დარგში ინვესტიციები მცირდება, რაც მოსახლეობის დამოკიდებულებასთან ერთად, დაბალი მედიანური ტარიფებით არის გამოწვეული. კერძოდ, ენერგოპროექტებზე პირდაპირი კონტრაქტებით სარგებლობის ვადა 28 თებერვალს ამოიწურა, როგორც ბაზრის მონაწილეები ამბობენ, აქტიურობა არცთუ ისე მაღალი იყო. ეკონომიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აქამდე არსებული CFD აუქციონი სწორედ პირდაპირმა კონტრაქტებმა ჩაანაცვლა.

„მოდინებაზე მომუშავე ჰესებისთვის დღეს 6.5 ცენტია დაწესებული, აღნიშნული ტარიფი ნებისმიერი გათვლით არასაკმარისია, მოდინებაზე მომუშავე მცირე და თუნდაც საშუალო ჰესის ასაშენებლად. ძალიან გაზრდილია ჰესებისთვის განკუთვნილი საშუალო მასალებისა და ავრეგატების ღირებულება, ზოგადად, მშენებლობის ღირებულება ჯამურად გაზრდილია და ეს ტარიფი, რომელიც დადგენილია ჰესებისთვის, ნამდვილად არ არის საკმარისი. ტარიფი 7 ცენტზე უფრო მაღალი უნდა იყოს, რათა დეველოპერმა ხარისხიანი მასალებით აავოს ჰესი და მაღალი სტანდარტები ავრეგატები დაამონტაჟოს“, – აღნიშნა დავით მირცხულავამ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მომზადებული ათწლიანი გეგმის თანახმად, 2021-2031 წლებში საქართველოში 123 ახალი ჰიდროელექტროსადგურის აშენება განიხილება. დოკუმენტის მიხედვით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, პესიმისტური სცენარით, ელექტროენერჯის მოხმარების ყოველწლიური ზრდა 3% იქნება, ზომიერ სცენარში – 5%, ოპტიმისტურში კი – 7%. შესაბამისად, ქვეყნის ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა 17,21 ანდა 26 მილიარდ კილოვატამდე გაიზრდება.

ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, იმპორტის გარდა, ქვეყანას ადგილობრივი წარმოების განვითარებაც მოუწევს. კერძოდ, გეგმით გათვალისწინებულია, რომ ჰიდროენერგეტიკის დადგმული სიმძლავრე 2031 წელს 7.2 გეგავატს მიაღწევს, რაც 2.7 გეგავატით მეტია ამჟამინდელ მაჩვენებელზე. სიმძლავრისა და ადგილობრივი გენერაციის ზრდა ახალი ჰესების მშენებლობით და არსებულთა გაუმჯობესებით იგეგმება. სამომავლოდ ასაშენებელი 123 ახალი ჰესიდან უმრავლესობა მცირე, ნაწილი კი საშუალო და დიდი ზომისაა.

ფაქტია, რომ დღესდღეობით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და ყველა მასშტაბური პროექტის განხორციელებას მოსახლეობის პროტესტი აფერხებს. ყველაზე მეტად ამის მიზეზად ეკოლოგიური ფაქტორი სახელდება, თუმცა სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ სოციალურ გარანტიებზეც, რაც ნაკლებად ჩანს პროექტებში. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მთავრობის მხრიდან მოსახლეობასთან დიალოგი, რაც ჰესების მშენებლობის მიმართ დადებით ინტერესს გამოიწვევს.

ლევან ნატროშვილი

სამსახურის (SARAS) ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილება

ცვლილება შეეხება აუდიტირებული ანგარიშგების სამსახურში გადაგზავნის წესს, სუბიექტი ანგარიშგებას უგზავნის აუდიტორს, რომელიც ადასტურებს ანგარიშგებას შესაბამისი ტექნიკური საშუალებით. აუდიტორის მიერ დადასტურების შემდგომ, ანგარიშგება სუბიექტის მიერ სამსახურში წარდგენილად ჩაითვლება.

კანონქვემდებარე აქტში, ასევე, ზუსტდება, რომ სამსახურისთვის ანგარიშგების/ანგარიშგებების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარდგენაზე პასუხისმგებელია სუბიექტი.

წარმოდგენილი ბრძანების პროექტის შემუშავება განპირობებულია კანონქვემდებარე აქტში საკანონმდებლო ნორმის დაზუსტების საჭიროებით და სამსახურის მიზნით, გამოკვეთოს ანგარიშგების წარდგენის პროცესში სუბიექტის როლი და პასუხისმგებლობა ანგარიშგების წარდგენის პროცესის კონტროლზე.

ცვლილება ასევე განხორციელდა „ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის იძულებითი აღსრულების წესისა და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 28 ოქტომბრის №6-12 ბრძანებაში.

სუბიექტების ინტერესისა და სამსახურის მხრიდან სამართალდარღვევებზე სამართლებრივად სწორად რეაგირების მიზნებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა, რომ სამსახურის მხრიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში უზრუნველყოფილი იქნას სააღსრულებო ფურცლის შედგენისა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაგზავნის ვალდებულება – სამსახურის ხედვით აღნიშნული ვადა გონივრულია, რათა მოესწროს პირის მიერ გასაჩივრება და საბჭოს მიერ სხდომის ჩანიშვნა/საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, ცვლილება განპირობებულია იმ მიზნით, რომ ნორმატიულ აქტში არსებული ფორმულირებები ჩამოყალიბდეს სწორი სამართლებრივი ტექნიკით.

აზიის განვითარების ბანკი საქართველოში დაფინანსებას გააფართოებს

აზიის განვითარების ბანკი (ADB) მზად არის გააგრძელოს და კიდევ უფრო გაფართოოს დაფინანსება, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის პროექტებში, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა ADB-ის პრეზიდენტ მასატო კანდასთან შეხვედრის შემდეგ.

„აზიის განვითარების ბანკს საქართველოსთან ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობა აკავშირებს. ბანკს, დაახლოებით, 5.1 მილიარდი აშშ დოლარის პორტფელი აქვს საქართველოში და ამ მიმართულებით სამომავლო გეგმები ამბიციურია იმისთვის, რომ უფრო მეტი ინვესტიცია განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში, უფრო მეტად შეეწყოს ხელი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ბანკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა.

მანამდე ცნობილი გახდა, რომ ADB-ის და საქართველოსა შორის ხელი მოეწერა „ენერჯის შემნახველი და მწვანე წყალბადის აირის განვითარების პროექტის“ სასესხო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის დაახლოებით 98 მილიონი ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას.

დავით ხიდაშელმა „რიყის დოქები“ გაყიდა

დავით ხიდაშელმა რიყის დოქები გაყიდა. სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, ახალი მფლობელი 2025 წლის 25 აპრილს რეგისტრირებული კომპანიაა „რიყე დომ“-ი.

კომპანიის წილის 100%-ს შპს ნ.გ.ბ. ფლობს, რომელიც თავის მხრივ თორნიკე კოპალიანს ეკუთვნის. დირექტორი კი მიხეილ ტყეშელაშვილია.

ტყეშელაშვილი თავად ფლობს და თავადაა დირექტორი შპს ბუფალოში. ასევე, დირექტორია შემდეგ კომპანიებში: შპს ფონიჭალა ვუდსში, შპს ზაჰესი ლენდსში, შპს ორთაჭალ ოილში, შპს პორტრეტ თბილისში, შპს დი ვიჟენ გრუპში და შპს მაქრო ფროფერთიში.

რაც შეეხება მფლობელ თორნიკე კოპალიანს, სამეწარმეო რეესტრის მიხედვით ფლობს, შპს ბამბუ გარდენის წილის 10%-ს და თავადაა დირექტორი, შპს ჰფ-ის 100%-ს, შპს თბ კომპანის 100%-ს, მელვინეობა ხვამლის 100%-ს. მისი თანასაკუთრებაა კოოპერატივი უდაბნო-ლახირიც.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „რიყის დოქები“ დავით ხიდაშელმა 2022 წლის მარტში 10 მილიონ ლარად შეიძინა. მას შექენიდან 36 თვის ვადაში არანაკლებ 20 მლნ ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა და ტერიტორიაზე ღვინის, ციფრული ხელოვნების და ტექნოლოგიების მუზეუმი, ასევე საგამოფენო და საკონფერენციო სივრცეები მოეწყო.

აღსანიშნავია, 12 მილიონი ლარის ინვესტიციის შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფომ დავით ხიდაშელს უკვე ჩამოართვა კურორტი ახტალა, რომელიც 2018 წლის ივნისში 3.76 მილიონ ლარად შეიძინა და ტერიტორიაზე 120 ნომრიანი სასტუმრო-კომპლექსი უნდა აეშენებინა, რაშიც არანაკლებ, 12 000 000 ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა.

მიმდინარე წლის 20 მარტს ცნობილი გახდა, რომ დავით ხიდაშელის კომპანიას ასევე ჩამოერთვა კურორტი „ლიბანი“ და 499,500 ლარის პირგასამტეხლო დაეკისრა. „ლიბანი“ ხიდაშელმა 2021 წლის მარტში შეიძინა და 8 მილიონი ლარის ინვესტიციით 70 ნომრიანი სასტუმრო უნდა მოეწყო, თუმცა საინვესტიციო პირობები არ

შესრულებულა.

ამასთან, 2023 წელს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რაჭაში სამონადირეო მეურნეობის ლიცენზია ძალადაკარგულად გამოაცხადა. ხიდაშელთან დაკავშირებულმა კომპანია HG Capra Caucasica-მ რაჭაში სამონადირეო მეურნეობის განვითარების ლიცენზია 2022 წლის 23 მარტს, აუქციონში გამარჯვების საფუძველზე მიიღო, მაგრამ ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა.

მარტ-აპრილში სებ-მა \$200 მილიონზე მეტი შეისყიდა – ოთარ ნადარაია

„თიბისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტი ოთარ ნადარაია მიიჩნევს, რომ სებ-მა აპრილში რეზერვების შევსება განაგრძო და ჯამურად, მარტ-აპრილში 200 მლნ დოლარზე მეტია შესყიდული.

იანვარ-თებერვალში Bmatch-ით წმინდა შესყიდვა არ განხორციელებულა, ხოლო მარტში სებ-მა საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 101.7 მლნ აშშ დოლარით შეავსო.

ნადარაიას თქმით, ამ ეტაპზე სავალუტო შემოდინებები ძლიერია და ამასთან, გლობალურ ბაზარზე დოლარის დასუსტება დამატებით ეხმარება ლარის კურსს.

„როგორც იცით, ლარის შემთხვევაში გვექონდა საკმაოდ ოპტიმისტური მოლოდინები. მიმდინარე მოვლენებზეც მათ შორის, დეკემბერშიც გვექონდა აზრი, რომ ეს არაა ლარის შოკი, იმიტომ რომ ძირითად სავალუტო შემოდინებებზე არ მოქმედებს, აქ იგულისხმება როგორც გზავნილები, ასევე ტურიზმი და სხვა შემოდინებები. პირიქით, იმპორტი შემცირდა კიდევ და ამან გამოიწვია ლარის გამყარება. მიმდინარე პერიოდში ბაზარზე დოლარის წარბი მიწოდებაა, რაც ეროვნულ ბანკს საშუალებას აძლევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ოდენობით შეავსოს რეზერვები, მარტში დაახლოებით 102 მლნ დოლარის შემდეგ, ჩვენი შეფასებით, ვფიქრობთ, აპრილში, ჯამურად, 200 მილიონ დოლარზე მეტი შეისყიდა ეროვნულმა ბანკმა“, – ამბობს „თიბისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტი. მისი თქმით, ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი დოლარი იყიდა სებ-მა, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

რეფინანსირების განაკვეთი 8% დარჩა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2025 წლის 7 მაისის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეფინანსირების განაკვეთი) უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტს შეადგენს.

„ინფლაცია მიზნობრივ 3 პროცენტიან მაჩვენებელთან ახლოს ნარჩუნდება. აპრილის მდგომარეობით წლიურმა ინფლაციამ 3.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლებისა და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, 2.3 პროცენტი იყო. მიმდინარე წელს ინფლაციის დინამიკას, ერთი მხრივ, საერთაშორისო სურსათის ფასების მზარდი ტენდენცია განაპირობებს, რასაც, მიმდინარე ეტაპზე, გლობალურად დოლარის შესუსტების შედეგად, ლარის გაცვლითი კურსის შედარებით მყარი პოზიცია ამსუბუქებს. მეორე მხრივ, საერთაშორისოსთან ერთად სურსათის ინფლაციის ზრდა, 2025 წლის მარტიდან, ადგილობრივ ბაზარზე პურის ფასის ერთჯერადმა გაძვირებამ გამოიწვია. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ეკონომიკური ფუნდამენტური ფაქტორები კვლავ ფასების სტაბილურობის ხელშემწყობია. კერძოდ, ძლიერი ერთობლივი მოთხოვნის ფასებზე გავლენას წარმოების პოტენციალის გაუმჯობესება გარკვეულწილად ანეიტრალებს. ამის პარალელურად, გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინები სტაბილურია, რაზეც ადგილობრივი (პურის ფასის ეფექტის გამოირიცხვით) და მომსახურების ინფლაციების ინდიკატორების მიზნობრივ, 3 პროცენტიან მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნება მიუთითებს“, – აღნიშნულია სებ-ის გავრცელებულ ინფორმაციაში.

გლობალურად არსებული ეკონომიკური გაურკვეველობის ფონზე, ინფლაციაზე როგორც ზრდის, ისე კლების მიმართულებით მოქმედი რისკები გამოიკვეთა, – აღნიშნავენ სებ-ში და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სამომავლოდ შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

„მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება რისკების ანალიზსა და მასზე დაფუძნებით განახლებულ მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარებზე. საქართველოს ეროვნული ბანკი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 18 ივნისს ჩატარდება“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პოლიტიკური ფაქტორები საქართველოში საფრთხეს უქმნის ინვესტიციებსა და ექსპორტს – EBRD

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკური მიმოხილვა განაახლა. დოკუმენტის თანახმად, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უცვლელად, 6%-ზე არის შენარჩუნებული, თუმცა ხაზგასმულია ის რისკები, რომლებსაც ქვეყნის ეკონომიკაზე აქვთ გავლენა. აღნიშნული რისკები ძირითადად პოლიტიკურია და მათ შორის მთავარი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გაურკვეველობა და ევროკავშირში განვითარების პროცესის შეჩერებაა. EBRD მიუთითებს, რომ აღნიშნულს ქვეყნის ექსპორტსა და

ინვესტიციებზე ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია.

„2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.4 პროცენტით გაიზარდა, მოლოდინს გადააჭარბა და 2023 წლის 7.8 პროცენტთან შრდის შემდეგ დაჩქარდა.

ამ ზრდას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, განათლების, საჯარო ადმინისტრირების, ვაჭრობისა და მშენებლობის სექტორები განაპირობებდა. მიუხედავად ომთან დაკავშირებული შემოსავლების შემცირებისა და რუსეთიდან მიგრანტების ნაკადის კლებისა, შიდა მოხმარება კვლავ ძლიერი რჩებოდა, რასაც სესხების ზრდა და ხელფასების მატება უწყობდა ხელს.

ამასობაში, 2024 წელს ინფლაცია დაბალ დონეზე შენარჩუნდა, საშუალოდ 1.1 პროცენტი, რაც 2023 წლის 2.5 პროცენტზე ნაკლებია. მან ზრდა 2024 წლის ოქტომბერში დაიწყო, საკვებ პროდუქტებზე ფასების მატების გამო, და 2025 წლის მარტში წლიურად 3.5 პროცენტს მიაღწია, რაც ოდნავ აღემატება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) 3-პროცენტთან სამიზნე მაჩვენებელს.

სებ-მა 2024 წლის მაისიდან პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზე შეინარჩუნა, მას შემდეგ რაც 2024 წლის დასაწყისში ის ჯამურად 150 საბაზისო პუნქტით შეამცირა. სებ-ის მონეტარული პოლიტიკა კვლავ ფრთხილია, აბალანსებს რა ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერასა და საგარეო რისკების შემცირებას.

მაღალი რეალური საპროცენტო განაკვეთი მიუთითებს ინფლაციური მოლოდინების დასტაბილურების მიზანმიმართულ მცდელობაზე. მოსალოდნელია, რომ რეალური მშპ-ის ზრდა 2025 წელს 2024 წელს არსებული 9.4%-დან 6 პროცენტამდე, ხოლო 2026 წელს 5 პროცენტამდე შენელებს, რაც პოტენციური ზრდის ტემპთან ახლოსაა. ამას ხელს შეუწყობს საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტები და მთავრობის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები, განსაკუთრებით ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორებში.

ამასთან, პოლიტიკურმა გაურკვევლობამ და ევროკავშირში განვერიანების პროცესის შეჩერებამ შესაძლოა შეაფერხოს ექსპორტის ზრდა და ინვესტიციები, რადგან რუსეთიდან მიგრაციის ერთჯერადი ეფექტი მცირდება. ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედი რისკები მოიცავს საგარეო ბალანსებისა და სხვა ქვეყნებიდან მოთხოვნის შესუსტებას, პოტენციურად გაზრდილი სავაჭრო ტარიფებისა და გაუარესებული ბიზნესგარემოს გამო, ასევე სესხების ზრდის შენელებას“, – ნათქვამია EBRD-ის მიმოხილვაში.

აპრილში საქართველომ ტურიზმიდან \$300 მლნ მიიღო – Galt & Taggart

Galt & Taggart-ის შეფასებით, აპრილში საქართველომ ტურიზმიდან 300 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო. საინვესტიციო ბანკის ინფორმაციით, 2025 წლის იანვარ-აპრილში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ჯამურად 1.1 მლრდ დოლარს გაუტოლდა (უცვლელი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით). Galt & Taggart-ის პროგნოზით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წელს 4.5 მლრდ დოლარს მიაღწევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2025 წლის პირველ კვარტალში საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან 826 მლნ დოლარი მიიღო, წლიურად ტურიზმის შემოსავლები 2%-ით იყო გაზრდილი. რაც შეეხება 2024 წლის მაჩვენებელს, ქვეყანამ ტურიზმიდან ჯამში 4.4 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც რეკორდული შემოსავალია.

საქართველოს ოქროს ექსპორტით შემოსავალი \$27.8 მლნ-მდე გაეზარდა

2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოდან დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქროს ექსპორტი 29.3%-ით გაიზარდა და ქვეყანამ საქონლის გაყიდვით 27,798 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო.

შესაბამისად, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ოქრო უმსხვილესი ექსპორტირებული საქონლის რეიტინგში 2%-ით მეათე ადგილზეა. ჯამში ქვეყნიდან ექსპორტზე 640 კგ გავიდა. გასულ წელს იგივე პერიოდში 690 კგ-ის ოქროს ღირებულება 21,5 მლნ დოლარი იყო.

აქედან გამომდინარე, 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ნახევრად დამუშავებული ან დაუმუშავებელი ოქროს საშუალო ფასი 1 კგ-ზე 31 157 დოლარი იყო, 2025 წლის იანვარ-მარტში კი ამ დასახელების საქონლის საშუალო ფასი 43 435 დოლარამდე გაიზარდა.

საქართველოსთვის დაუმუშავებელი ოქროს ტრადიციული სარეალიზაციო ბაზარი შვეიცარიაა, სადაც წლის ამ პერიოდში 25,003 მლნ დოლარის 590 კგ ოქრო გაყიდეთ. ამასთან, 1.8 მლნ დოლარის ღირებულების 30 კგ ოქრო თურქეთში, 686 ათასი დოლარის ღირებულების 10 კგ ოქრო კი არაბთა გაერთიანებულ საამიროებშია გატანილი.

საქართველოში ყოველ მეორე ადამიანს სესხი აქვს – რამდენია „შავ სიაში“

საქართველოში ყოველ მეორე ადამიანს სესხი აქვს, ყოველ მეხუთე მსესხებელს კი კრედიტზე 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება უფიქსირდება, – ასეთია „კრედიტინფო საქართველოს“ 2025 წლის აპრილის სტატისტიკა. უფრო კონკრეტულად, გასული თვის მონაცემებით საფინანსო სექტორის ვალი 1 944 818 ადამიანს აქვს (მოსახლეობის რაოდენობა 3 704 506 – წყარო „საქსტატი“), ვალს კი 365 409 მსესხებელი ვერ იხდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში იმ ფიზიკური პირების რაოდენობა, რომლებიც კრედიტს ვერ იხდიან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 4 ათასზე მეტით შემცირდა, მცირედი კლება ფიქსირდება გასულ თვესთან შედარებითაც. უფრო კონკრეტულად, „კრედიტინფოს“ 2025 წლის აპრილის სტატისტიკის მიხედვით, ფიზიკური პირები, რომლებსაც 30 დღიდან ვადაგადაცილება უფიქსირდებათ, 365 409-ს შეადგენს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ე.წ. შავ სიაში 365 455 პირი იყო, 2025 წლის მარტში კი 369 776 ადამიანი.

ამასთან, 2025 წლის აპრილის მდგომარეობით, 369 311 ფიზიკური პირიდან, რომლებიც სესხს ვერ იხდის, 98 028 კომერციული ბანკების კლიენტია, 295 537 – სეზ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო, სესხის გამცემი სუბიექტი) კრედიტორი, 3 706 კი სალიზინგო, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიის.

რაც შეეხება თანხას, ფიზიკური პირების მიერ კომერციული ბანკების დავალიანება ჯამში (გადაუხდელი კრედიტები 30 დღიდან) – 1.238 მლრდ ლარს შეადგენს, სეზ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების – 1.494 მლრდ ლარს, სალიზინგოების – 29.048 მლნ ლარს. ჯამში, 30 დღიდან ვადაგადაცილება 2.762 მლრდ ლარს აჭარბებს, რაც საფინანსო სექტორის მიერ გაცემული მთლიანი სესხების 4.1%-ია.

საერთო ჯამში, 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში საფინანსო სექტორის ვალი 1 944 818 ადამიანს აქვს, ჯამში 67.160 მლრდ ლარის მოცულობის.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, მსესხებლების 83.2% საბანკო სექტორზე მოდის, კერძოდ, აპრილის მდგომარეობით, ბანკებიდან 62.986 მლრდ ლარის მოცულობის კრედიტი სულ 1 618 445 მსესხებელს აქვს აღებული. ამასთან, სეზ-ის მიერ სხვა რეგულირებადი საფინანსო ინსტიტუტების (მიკროსაფინანსო, სესხის გამცემი სუბიექტი) კრედიტორი 700 990 ადამიანია, გაცემული სესხების მოცულობა კი 3.570 მლრდ ლარს შეადგენს. კიდევ 16 780 ადამიანს კი, ჯამში 603.8 მლნ ლარის სესხი აღებული აქვს სალიზინგო, სამშენებლო და სხვა ტიპის კომპანიისგან.

ეროვნულმა ბანკმა 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5-დან 6.7%-მდე გაზარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყნის 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5-დან 6.7%-მდე გაზარდა, – აღნიშნულია მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებაში.

„საქართველოში, ფასების სტაბილურობის შენარჩუნების პარალელურად, კვლავ ძლიერია ეკონომიკური აქტივობა. კერძოდ, 2025 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდამ, საშუალოდ 9.3 პროცენტი შეადგინა. აღნიშნულს დიდწილად ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები განაპირობებს, რაც მშპ-ის ზრდაში პროდუქტიული სექტორების კვლავ მაღალი წვლილით დასტურდება. თუმცა ამასთან, ძლიერი შიდა მოთხოვნაც მაღალი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობია. ეს კი მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლას საყურადღებო ფაქტორად ტოვებს.

გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის, ადგილობრივი ტენდენციებისა და ფინანსურ ბაზარზე არსებული მოლოდინების გათვალისწინებით შემუშავებული სეზ-ის ცენტრალური სცენარის მიხედვით, 2025 წელს ინფლაცია დროებით გადააჭარბებს მიზნობრივ მაჩვენებელს და საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტის გარშემო დასტაბილურდება. ეკონომიკაში ფუნდამენტური ფაქტორების შედარებით ნელი ნორმალიზებისა და მიმდინარე ძლიერი ეკონომიკური ზრდის საფუძველზე, ცენტრალურ სცენარში, წინა სცენართან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდა 2025 წელს 5-დან 6.7 პროცენტამდე გადაიხედა. გრძელვადიან პერიოდში კი, მოსალოდნელია მისი პოტენციური დონის, 5 პროცენტის, ფარგლებში დასტაბილურება“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ბანკებში არარეზიდენტების დეპოზიტების 37% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის

ქართულ ბანკებში არარეზიდენტების დეპოზიტების 37% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის, – ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის 2024 წლის ანგარიშშია აღნიშნული. ამავე ანგარიშის მიხედვით, 11%-იანი წილით მეორე ადგილზე ისრაელის მოქალაქეები არიან, ხოლო სამეულს 6%-ით უკრაინელები ხურავენ.

„წარმოშობის მიხედვით, არარეზიდენტების მთლიან დეპოზიტებში რუსეთის რეზიდენტების წილი 37 პროცენტს შეადგენს. ამავდროულად, ჯამურად ეს დეპოზიტები კვლავ დივერსიფიცირებულია, როგორც ქვეყნების, ისე დეპოზიტების ტიპების მიხედვით, რაც რისკიანობის კუთხით დადებითი ფაქტორია.

ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს“, – წერია სეზ-ის ანგარიშში.


ამავე ანგარიშის მიხედვით, არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2024 წლის განმავლობაში 0.4%-ით გაიზარდა და დეკემბრის ბოლოსთვის 18.3% შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, ჯამურად, 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქართულ ბანკებში სულ განთავსებული იყო დაახლოებით 58.258 მლრდ ლარის დეპოზიტები, აქედან არარეზიდენტებზე მოდიოდა 10.661 მლრდ ლარის ანაზარი. თუ გავითვალისწინებთ არარეზიდენტებში რუსეთის მოქალაქეების 37%-იან წილს, გამოდის, რომ 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით რუსები ქართულ ბანკებში დაახლოებით 4 მლრდ ლარს ინახავდნენ.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მორ ებისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

კითხვა-პასუხი

კითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „კითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ მ კ ი თ ხ ვ ა

„კითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.

(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს დირექტორის მოადგილე საგადასახადო აუდიტისა და კონსალტინგის დარგში ლევან ასანიძე.

კითხვა: შვილობილი კომპანიის (შპს-ის) კაპიტალში შესატანი ქონების შეფასება საჭიროებს ექსპერტის/შემფასებლის დასკვნას თუ მხოლოდ ჩვენ მიერ მომზადებული შეფასების აქტი საკმარისია?

პასუხი: რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ეს საკითხი, გარდა სააქციო საზოგადოებებისა, მკაფიოდ არ არის განმარტებული. ამ კანონში წერია მხოლოდ (მის 25-ე მუხლში), რომ „1. არაფულადი შენატანის ღირებულების შენატანის ოდენობასთან შესაბამისობის შეფასებას... უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე ორგანო“, მაგრამ შეფასება ვინ უნდა გააკეთოს, არ არის აღნიშნული. გამოდის, რომ ამ შეფასების გაკეთება თავად საზოგადოების მენეჯმენტის მიერ არ იკრძალება, სააქციო საზოგადოებების გარდა, რადგან მათთვის არაფულადი შენატანის შეფასების დადასტურება დამოუკიდებელი აუდიტორის მხრიდან, პირდაპირ არის მოთხოვნილი კანონის 152-ე მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით).

თუმცა, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოებებისთვისაც პრაქტიკა ისე ჩამოყალიბდა,

რომ, როგორც წესი, არაფულად შენატანს აფასებს დამოუკიდებელი შეფასებელი ან აუდიტორი და საზოგადოება ხელმძღვანელობს მისი გაცემული საშემფასებლო დოკუმენტი. ამის გარეშე, საზოგადოების საკუთარი ძალებით განსაზღვრული არაფულადი შენატანის სიდიდის მართებულობა შეიძლება სადავო გახდეს არსებული ან სამომავლო პარტნიორების, ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების ან სხვა დაინტერესებული პირების მხრიდან.

პიიხვპა: როდესაც კომპანია იყენებს ფასს 16-ს და გაწია იჯარით აღებულ ქონებაზე კაპიტალიზებადი ხარჯები, ამ შემთხვევაში ამ ხარჯებს ფინანსურ ანგარიშგებაში როგორ აფასნავთ? საგადასახადო კუთხით ქონების გადასახადს გარიცხავთ და ფინანსურად ხარჯში განიგენებთ, თუ აქტივად ვალიარებთ?

პასუხი: ფასს 16-ის „იჯარა“ 22-ე, 23-ე, მუხლების თანახმად:

„22. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ უნდა აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი და საიჯარო ვალდებულება“.

„აქტივის გამოყენების უფლების თავდაპირველი შეფასება

23. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს“.

„აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასება

29. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეაფასოს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, თუ საწარმო არ იყენებს 34-ე და 35-ე პუნქტებში აღწერილ რომელიმე შეფასების მოდელს“.

„თვითღირებულების მოდელი

30. თვითღირებულების მოდელის გამოსაყენებლად მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეაფასოს თვითღირებულებით: ა) რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი; და ბ) დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით, რომელიც აღწერილია 36(გ) პუნქტში“.

ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ იჯარით აღებული აქტივის შემდგომი გაუმჯობესება მოიჯარის მიერ არ გაითვალისწინება მის თვითღირებულებაში, ვინაიდან ასეთი რამ ფასს 16-ის არც ამ და არც სხვა მუხლებით არ არის მოთხოვნილი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით აღებული ქონების გარემონტებამ/გაუმჯობესებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საიჯარო აქტივის ფასზე, ბუღალტრულად ის არ აისახება მის თვითღირებულებაში, არამედ, იჯარით აღებული აქტივის რემონტის/გაუმჯობესების ხარჯები უნდა აღიარდეს ცალკე ძირითად საშუალებად (ძირითადი საშუალებების აღიარების ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით). როგორც წესი, ამისთვის გამოიყენება 2190 ანგარიში. მას უნდა დაერიცხოს ცვეთა ისე, როგორც მატერიალურ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს ძირითადი საშუალება დაიბეგრება ქონების გადასახადით, რადგან მასზე არ გავრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 5 მაისის საჯარო გადაწყვეტილება №107, რომელმაც დაადგინა:

„საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც გადასახადის გადამხდელის (მოიჯარის) მიერ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად აღრიცხულია ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საშუალებების მუხლის შემადგენლობაში, ამ გადასახადის გადამხდელისთვის (მოიჯარისთვის) არ წარმოადგენს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“.

ცხადია, იჯარით აღებული აქტივის რემონტი/გაუმჯობესება საკუთარი ძალებით არ წარმოადგენს აქ აღნიშნულ „საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ აქტივს“.

პიიხვპა: მაინტერესებს, მედიკამენტების უსასყიდლო გადაცემა ფიზიკურ პირებზე (ექიმებზე, არა თანამშრომლებზე) რა ფასად დაფარიცხო და ბუღალტრულად როგორ გაფატარო? კომპანია მუშაობს მსს ფასს-ის მიხედვით.

პასუხი: პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, კომპანიას ფიზიკურ პირებზე მედიკამენტების უსასყიდლო დარიგებისთვის უნდა ჰქონდეს საცალო რეალიზაციის უფლება. ჩვენ ვიგულისხმებთ პასუხში, რომ ეს მოთხოვნა კომპანიას არ აქვს დარღვეული. ასევე, პასუხში ვიგულისხმებთ, რომ გადაცემული მედიკამენტები იმ სახის ფარმაცევტული პროდუქციაა, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-ისაგან (სსკ 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის ან 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჯ“ პუნქტის მიხედვით) და ასევე, ეს გადაცემა არ ხდება ურთიერთდამოკიდებულ პირებზე.

მედიკამენტების უსასყიდლო გადაცემა ექიმებზე გავრცელებული მარკეტინგული ქმედებაა, რომლის მიზანი ამ მედიკამენტის გამოყენების პოპულარიზაცია და ხელშეწყობაა. ამ ქმედებისთვის დამახასიათებელია ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, მედიკამენტი უფასოდ გადაეცემა არა იმ სამედიცინო დაწესებულებას, რომელშიც ექიმი

მუშაობს, არამედ უშუალოდ მას, როგორც ფიზიკურ პირს. ამ მიზეზის გამო, უმეტეს შემთხვევაში ვერ ხერხდება მედიკამენტების უსასყიდლოდ გადაცემის დოკუმენტირება, რაც დაადასტურებდა ამ მედიკამენტების გადაცემის სარეკლამო-მარკეტინგულ მიზანს.

თუ მედიკამენტების უსასყიდლოდ გადაცემის დოკუმენტირება ხერხდება (მნიშვნელოვანია, რომ ფიქსირდებოდეს, თუ ვინ იყო ამ მედიკამენტების უშუალოდ მიმღები პირი), ამ შემთხვევაში ის არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (რადგან მისი გადაცემის მიზანია არაპირდაპირი გზით მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება) და ბუღალტრულად გატარდება:

დ-ტი 7310 კ-ტი 1610 თვითღირებულებით.

თუმცა, ეს გადაცემა დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტის შესაბამისად, თუ თითოეულ ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ინდემწარმედ რეგისტრირებული, უსასყიდლოდ გადაეცა 1000 ლარის ან მეტი ღირებულების მედიკამენტი კალენდარული წლის მანძილზე. დარიცხული საშემოსავლო გადასახადი ასევე დაემატება სარეკლამო დანახარჯების ანგარიშს – 7310 ბუღალტრულ ანგარიშს, ამ ფიზიკური პირის მაიდენტიფიცირებელი ანგარიშის ტრანზიტულად გავლით.

თუ დოკუმენტირება ვერ ხერხდება, და როგორც აღვნიშნეთ, უმეტესწილად ეს სწორედ ასეა, მაშინ ამგვარი გადაცემა უნდა დაიბეგროს ან საშემოსავლო, ან მოგების გადასახადით. თუ რომელი გადასახადით ამ ორიდან, ეს დამოკიდებულია იმაზე, მოხერხდება თუ არა იმის დამტკიცება, რომ არცერთ ფიზიკურ პირს, გარდა ინდემწარმედ რეგისტრირებული პირებისა, კალენდარული წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონება კომპანიიდან არ მიუღია. თუ ეს ვერ მტკიცდება, მაშინ დასაბეგრია საშემოსავლო გადასახადით, სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტის შესაბამისად (როგორც წესი, ასეთ დროს საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა ხორციელდება ჯამურად, სარეალიზაციო ფასიდან, ხოლო დეკლარირება ხდება კომპანიის დირექტორის სახელზე), ხოლო თუ მტკიცდება, მაშინ დაიბეგრება მოგების გადასახადით, სსკ 98² მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით:

„1. ამ მუხლის მიზნებისათვის ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება:

ა) ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, თუ ეს ვალდებულება დადგენილია ამ კოდექსის შესაბამისად“.

ამ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილ ბუღალტრულ გატარებას – დ-ტი 7310 კ-ტი 1610, დაემატება ახალი გატარება:

დ-ტი 7310 კ-ტი 3310 X, სადაც $X=(\text{მედიკამენტის სარეალიზაციო ფასი}/0.85)*15\%$.

ბიბის ვა: დღგ-ის გადამხდელი ქართული კომპანია ეწევა სასტუმრო და სარესტორნე მომსახურებას. თანამშრომლებისთვის დადგენილი აქვს 15% -იანი ფასდაკლება.

მოგეხსენებათ, სსკ მე-18 და ფინანსთა მინისტრის #996 ბრძანების 29-ე მუხლები ერთობლივად ადგენენ იმგვარ შემთხვევებს, როდესაც ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს გარიგების შედეგებზე. მათ შორის არის პირობა, რომ თუკი შესაძლებელია ანალოგიური საქონელი შეიძინო სხვა დამოუკიდებელი პირისგან იმ ფასად, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს შორის გარიგების ფასს 10% -ით არ აჭარბებს, მაშინ ამ შემთხვევაში დამოკიდებულ მხარეებს შორის გარიგების ფასი არ კორექტირდება საბაზრო ფასამდე (დაბეგვრის მიზნებისათვის).

ამ პირობებში:

1) გრცელდება თუ არა სსკ მე-18 მუხლისა და №996 ბრძანების 29-ე მუხლის დებულებები სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილზე? ანუ, დღგ-ის მიზნებისთვისაც შეგვიძლია ეს 10% -იანი დიაპაზონი გამოვიყენოთ?

2) შესაძლებელია თუ არა, რომ თანამშრომლისთვის 15% -იანი ფასდაკლების შემთხვევაში, მხოლოდ 6% -ის (დაახლოებით) ტოლი ფასდაკლება დაგვებგროთ როგორც მისი სარგებელი? მაგალითად, თუკი ანალოგიური მომსახურება სხვაგან ღირს 100 ლარი, ხოლო ჩემს თანამშრომელს გავწვდი ამ პროდუქტს 85 ლარად, ასეთ დროს გამოდის, რომ თუკი თანამშრომელს მივყიდდი ამ სერვისს 91 ლარად, მაშინ გარიგება ჩაითვლებოდა საბაზრო პრინციპებით შესრულებულად (რადგან $91*10\% = 9,1$ და $9 < 9,1$), შესაბამისად საშემოსავლოთი და დღგ-ით დამატებით შემიძლია დაგვებგრო მხოლოდ $91-85=6$ ლარი?

3) როგორ უნდა განვსაზღვრო სხვა არადამოკიდებელი პირის ანალოგიურ პროდუქტზე გასაყიდი ფასი? უნდა არსებობდეს კონკრეტული შესადარისი მონაცემი (მაგალითად, სხვა რესტორნის ფრაისლისტი), თუ შესაძლებელია, რომ ასეთ ცვლადად მივიჩნიო კვალიფიციური დასკვნით გაანგარიშებული ამა თუ იმ პროდუქტის საბაზრო ფასი?

პასუხი: 1) სსკ 164-ე მუხლის მე-7 ნაწილი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც „ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის დროს დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის/

მომსახურების საბაზრო ფასი, დღ-ის გარეშე“.

თუმცა, იმავდროულად არსებობს ჩანაწერი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლში „შემთხვევები, როდესაც პირების ურთიერთდამოკიდებულება გავლენას არ ახდენს მათ შორის გარიგების შედეგებზე“, რომლის მიხედვით:

„1. პირებს შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის ან საქართველოს საბაზრო კოდექსის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ურთიერთდამოკიდებულების არსებობა მათ შორის არსებულ გარიგების შედეგებზე გავლენას არ ახდენს, თუ საქონლის/მომსახურების მიმღები პირის მიერ შესაძლებელია ანალოგიური საქონელი/მომსახურება სხვა არაურთიერთდამოკიდებული პირისგან შეიძინოს იმ ფასად, რომელიც ურთიერთდამოკიდებულ პირთან განხორციელებული გარიგების ფასს არ აღემატება 10%-ით...“.

რაც მნიშვნელოვანია, ამ მუხლს თან ახლავს ასეთი საყურადღებო შენიშვნა:

„შენიშვნა: აღნიშნული მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ საშემოსავლო და მოგების გადასახადის მიზნებისათვის“.

გფიქრობთ, ამკარაა, რომ ეს შენიშვნა სწორად რომ ასე უნდა იქნეს გაგებული, რომ მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს დღ-ით დაბეგვრის დებულებებზე.

2) არა, ეს დაუშვებელია. თუ საბაზრო ფასს და ფაქტობრივ ფასს შორის სხვაობა 10%-ის აღემატება, მაშინ, ზემოაღნიშნული 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლი უბრალოდ არ მოქმედებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ტექსტი სხვაგვარად იქნებოდა ჩამოყალიბებული.

3) ზემოაღნიშნული 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, „ანალოგიური საქონელი/მომსახურება“ გულისხმობს იმგვარ საქონელს/მომსახურებას, რომლის მიწოდება ხდება შესადარის პირობებში. შესადარისობის განსაზღვრისათვის უნდა მოხდეს ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა მიწოდებული საქონლის/მომსახურების ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია, სეზონურობა, რაოდენობა/მოცულობა, გადახდის პირობები და სხვა გონივრული პირობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გარიგების ფასზე“.

თუმცა, აქ არ არის აღნიშნული, თუ რა ფორმით უნდა იქნეს მოძიებული ეს ინფორმაცია. იმავდროულად, სსკ მე-18 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად განსაზღვრულია:

„7. საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადახედვითა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია“.

ამგვარად, ფასი საბაზროა თუ არა, ამას საბოლოოდ გადაწყვეტს საგადასახადო ორგანო, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამიტომ, რაც მეტი ინფორმაცია გექნებათ ხელთ თქვენ მიერ საბაზროდ მიჩნეული ფასის გასამყარებლად (მათ შორის, სხვა რესტორნის ფრაისლისტებიც, საექსპერტო დასკვნებიც, ბრძანება თქვენი ფასდაკლებების პოლიტიკის შესახებ და სხვა), მით უკეთესი იქნება და გაზრდის იმის ალბათობას, რომ საგადასახადო ორგანომ თქვენი შეფასება გაიზიაროს.

კითხვა: ენერგეტიკის სფეროში მომუშავე კომპანია (დღ-ის გადამხდელია) აპირებს რამდენიმე სხვა კომპანიის წარმომადგენლებს, რომლებთანაც თანამშრომლობს, სარგამართო საჩუქრად გაუგზავნოს ყვავილების თაიგულები. მიმღები ფიზიკური პირები არ არიან იდენტიფიცირებული. დირექტორზე დაგბეგროთ ეს თანხა, როგორც სახელფასო განაცემი, თუ როგორ დაგბეგროთ?

პასუხი: პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ყვავილების თაიგულების საჩუქრად გადაცემა კომპანიამ უნდა დაბეგროს დღ-ით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ყვავილების შეძენაზე დღე აქვს ჩათვლილი. ეს გამომდინარეობს სსკ 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტიდან:

„3. ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება:

ა) დასაბეგრი პირის მიერ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღე სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. ამასთანავე, საქონლის გადაცემა/გამოყენება ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის სახით, არ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ყვავილების თაიგულების გადაცემას ჩვენ არ განვიხილავთ მცირე ღირებულების საჩუქრად, რადგან დღ-ით დაბეგვრის მიზნებისთვის, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს გადაცემა სარეკლამო-მარკეტინგული დანიშნულებისაა, ვინაიდან ატარებს ორგანიზებულ ხასიათს.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ თუ ყვავილები წარმოებულია საქართველოში, ის საერთოდ არ დაიბეგრება დღ-ით, რადგან როგორც საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი, გათავისუფლებულია დღ-ისაგან

სსკ 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „უ“ პუნქტის თანახმად. ის, რომ ყვავილების მიწოდება თაიგულის ფორმით ხდება, არ შეცვლის ამ შეღავათით სარგებლობის უფლებას, რადგან მას მხოლოდ შეფუთვის ფორმად განვიხილავთ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეფუთვა არსებითი ღირებულებითი კომპონენტია).

სხვა გადასახადების თვალსაზრისით, ზოგადად, დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი კომპანიის მიერ სარეკლამო-მარკეტინგული მიზნით მატერიალური ფასეულობების გაცემა არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს იმ შემთხვევაში, თუ ამ ფასეულობების გაცემის სარეკლამო-მარკეტინგული მიზანი ნათელია, ხოლო თავად გაცემის ფაქტები დოკუმენტირებულია საგადასახადო-სააღრიცხვო მოთხოვნების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში, თუ ყვავილების დარიგება მოხდა საკურიერო სამსახურის/კურიერების მეშვეობით, არსებობს ობიექტების მისამართების სია და ისინი ეკუთვნიან კომპანიასთან დაკავშირებულ პირებს და ასევე, ცნობილია იმ ქალბატონების ვინაობა, ვისაც თაიგულები გადაეცათ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზემოაღნიშნული ორი პირობა დაკმაყოფილებულია და ყვავილების თაიგულების დარიგება არ დაიბეგრება არც მოგების და არც საშემოსავლო გადასახადით. აღნიშნულიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ამ თაიგულებზე გაწეული ხარჯი (საკურიერო მომსახურების ღირებულების გარეშე) თითოეული მიმღები ფიზიკური პირისთვის 1000 ლარი ან უფრო მეტია. ამ შემთხვევაში, მოხდება დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტის შესაბამისად. ვინაიდან საჩუქრის მიმღებ პირთა პირადი ნომრები, როგორც წესი, ცნობილი არაა, ამიტომ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, ასეთ სიტუაციაში საშემოსავლო გადასახადს ადეკლარირებენ კომპანიის ღირებულებით.

კითხვა: საქართველოს შპს X-ს და დანიის შპს Y-ს ჰყავთ ერთი დამფუძნებელი - დანიის რეზიდენტი ფიზიკური პირი. აღნიშნულ ფიზიკურ პირს სურს მისი ქართული შპს X-დან გასცეს სესხი თავისივე Y კომპანიაზე. არსებობს თუ არა საქართველოს კანონმდებლობით რამე რეგულაცია, რომელიც შეეხება ქართული კომპანიის მიერ უცხოეთში მდებარე კომპანიისთვის სესხის გაცემას, თუ ეს ხდება ორ კომპანიას შორის, რომლებსაც ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს? თუმცა უშუალოდ ამ კომპანიებს შორის ფორმალური, იურიდიული ან პირდაპირი ურთიერთობა არ არსებობს.

პასუხი: რამე რეგულაცია, რომელიც კრძალავს საქართველოს რეზიდენტი კომპანიის მიერ არარეზიდენტ კომპანიაზე (მათ შორის, ურთიერთდამოკიდებულ პირზე) სესხის გაცემას, ჩვენთვის უცნობია. გასათვალისწინებელია მხოლოდ დაბეგვრის საკითხი. გაცემული სესხი ქართულმა კომპანიამ, თუ ის არ არის საფინანსო დაწესებულება, უნდა დაბეგროს მოგების გადასახადით სსკ 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ პუნქტის თანახმად:

„3. მოგების გადასახადით იბეგრება:

ზ) ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შეძენისა). ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე“.

როდესაც სესხი დაბრუნდება, მოგების გადასახადი დაუბრუნდება ქართულ კომპანიას, ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად:

„8. თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამომანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა“.

ცალკე განხილვის საგანია ამ სესხზე დარიცხული პროცენტის დაბეგვრის საკითხი. რადგან მხარეები ურთიერთდამოკიდებული პირები არიან, ეს არის ე.წ. „კონტროლირებული ოპერაცია“ და ამ სესხზე დარიცხული პროცენტი და სხვა პირობები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო პირობებსა და პრინციპებს. თუ შეესაბამება, მაშინ საქართველოს საწარმოს – შპს X-ის მიერ არარეზიდენტი Y კომპანიისგან მიღებული პროცენტი დამატებით დაბეგვრას არ ექვემდებარება. ეს პროცენტი დაემატება შპს X-ის მოგებას და დაიბეგრება მოგების გადასახადით მისი განაწილების შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება დაბეგვრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი პირებისთვის. თუ არ შეესაბამება საბაზრო პირობებს, მაშინ შესაძლებელია 2 ქვეშემთხვევა:

1) შპს X-ის მიერ გაცემული სესხის პროცენტი საბაზროზე მეტია. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ოპერაცია კონტროლირებულია, დასაბეგრი მოგება არ კორექტირდება და დამატებით დასაბეგრი თანხა არ წარმოიშობა;

2) შპს X-ის მიერ გაცემული სესხის პროცენტი საბაზროზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში, რადგან საერთაშორისო ოპერაცია კონტროლირებულია, შპს X-ის დასაბეგრი მოგება კორექტირდება – გაიზრდება იმ სხვაობის თანხით, რაც არის საბაზრო და ფაქტობრივი პროცენტების თანხებს შორის და ამ სხვაობიდან შპს X დაიბეგრება მოგების

გადასახადით, სსკ 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

კითხვა: დღგ-ის გადამხდელმა შპს-მ, ასევე დღგ-ის გადამხდელი შპს-ისგან, თანამშრომლებისათვის შეიძინა სპეცტანსაცმელი, რომელიც თანამშრომლებს გადაეცემათ უსასყიდლოდ. რა საგადასახადო ვალდებულებები წარმოეშვა შპს-ს? გთხოვთ მოგვწეროთ შესაძლო ბუღალტრული გატარებები.

პასუხი: დასაზუსტებელია, თუ რას გულისხმობთ ფრაზაში „გადაეცემა უსასყიდლოდ“. თუ თქვენ შეიძინეთ სამუშაო დანიშნულების სპეცტანსაცმელი, რომელიც თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ სამუშაო/საწარმოო პროცესში და მხოლოდ ამ მიზნით დაურიგდეთ მათ, მაშინ ეს არის თქვენი საწარმოს საკუთრება და არ იბეგრება არც დღგ-ით და არც საშემოსავლო გადასახადით. ის აღიარდება მცირეფასიან ძირითად საშუალებად, თუ მისი სასარგებლო სამსახურის ვადა 1 წელზე ანუ 12 კალენდარულ თვეზე მეტია, ხოლო თუ ნაკლებია 1 წელზე, მაშინ შესყიდვისას აღიარდება „სხვა მარაგად“ და ჩამოიწერა ხარჯში ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბუღალტრულ გატარებებს ექნება მარტივი სახე:

დ-ტი 1690 კ-ტი 3110, დ-ტი 3340 კ-ტი 3110;

დ-ტი 71** კ-ტი 1690.

თუ სპეციალური დანიშნულების ტანსაცმელი ისეთია, რომ თანამშრომელს შეუძლია ის სამუშაოს გარეთაც გამოიყენოს და თქვენ ეს ტანსაცმელი სამუშაოზე გამოსაყენებლად კი არ დაურიგეთ, არამედ უბრალოდ აჩუქეთ ის მათ ან ან სახელფასო ანაზღაურების სახით გადაეცეთ, მაშინ ეს დაიბეგრება როგორც დღგ-ით, ასევე საშემოსავლო გადასახადით. ჩუქების შემთხვევაში, კალენდარული წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ჩუქების საგადასახადო შეღავათი (სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „მ“ პუნქტი) არ იმოქმედებს, რადგან სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით, თანამშრომლისთვის ქონების ჩუქება ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად ითვლება. ამავე მიზეზით, თანამშრომლისთვის ქონების ჩუქება არ განიხილება უსასყიდლოდ მიწოდებად დღგ-ით დაბეგრის მიზნებისათვის და იბეგრება დღგ-ით. სპეცტანსაცმლის შესყიდვისას გადახდილ დღგ-ს კი ჩაითვლით ჩვეულებრივი წესით. ამ შემთხვევაში, ბუღალტრულ გატარებებს ექნება სახე:

დ-ტი 6190 კ-ტი 1690 X;

დ-ტი 6190 კ-ტი X*18%;

დ-ტი 3130 კ-ტი 6190 X+X*18% (აქ ვგულისხმობთ, რომ სპეცტანსაცმლის შესყიდვის ფასი მის საბაზრო ფასს ემთხვევა);

დ-ტი 7120 ან 7410 კ-ტი 3130 Y=(X+X*18%)/0.784;

დ-ტი 3130 კ-ტი 3140 Y*2%;

დ-ტი 3130 კ-ტი 3320 (Y-Y*2%)*20%;

დ-ტი 7130 ან 7415 კ-ტი 3140 Y*2%;

ბოლო გატარებებში ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ თანამშრომელი, ვისაც სპეცტანსაცმელი აჩუქეთ, დაგროვებითი სავალდებულო საპენსიო სქემის მონაწილეა.

კითხვა: მრავალწლიან ნარგავებს, დეკორატიულ მცენარეებს, მსხმოიარე ნარგავებს, საერთოდ არ ვწერთ ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, თუ ვწერთ, მაგრამ დაბეგრისაგან გათავისუფლებაში ვუთითებთ?

პასუხი: ბიოლოგიური აქტივები გათავისუფლებული არიან ქონების გადასახადისაგან სსკ 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ც“ პუნქტის თანახმად. ამიტომ, წესით, ის ბიოლოგიური აქტივები, რომლებიც საწარმოთა ძირითად საშუალებებს წარმოადგენენ, უნდა აისახოს ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ქონების გადასახადით დაბეგრისაგან გათავისუფლების შესაბამისი მუხლის მითითებით.

თუმცა, თუ ასე არ გააკეთებთ და ბიოლოგიურ აქტივებს საერთოდ არ ასახავთ ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ამით შედეგი არ შეიცვლება.

კითხვა: სასტუმრო კომპლექსის მშენებლობისას, მისი მიმდებარე ტერიტორია სრულად შეიცვალა. სასტუმროს შენობის მიმდებარე გორაკზე გაიჭრა გზა. გზა აკაფშირებს კომპლექსის სხვადასხვა ინფრასტრუქტურას. გზის გაჭრა მიმდინარეობდა პერიოდულად, 2 წლის მანძილზე, რადგან გამონთავისუფლებული მიწით ვაგსებდით ადგილებს, სადაც ტერასის გაკეთება იყო შესაფერისი. ვანდენდით ამ სამუშაოზე გაწეული ხარჯების აღრიცხვას, რაც ჯამში დაახლოებით 170 ათასი ლარის ფარგლებში დაგროვდა.

2024 წელს გზა უკვე არსებობდა და მას უკვე ვიყენებთ დანიშნულების მიხედვით, თუმცა ჯერ საფარი არ აქვს. არ ვიცით, როდის მოხდება ან ახფალტის დაგება ან ბეტონით მოპირკეთება.

შეიძლება რომ უკვე მივიღოთ ექსპლუატაციაში? ცვეთა თუ დაერიცხება და რამდენი პროცენტი შეიძლება გამოვიყენოთ ცვეთისთვის? დაიბეგრება თუ არა ქონების გადასახადით?

პასუხი: აშკარაა, რომ თქვენ მიერ გაწეული ხარჯები გრძელვადიანი გამოყენებისთვის არის გამიზნული, ამიტომ ეს ხარჯები დაკაპიტალიზდება და უნდა აღიაროთ ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებად – „გზა შიდა მოხმარებისთვის“. მისი აღრიცხვისთვის, მაგალითად, შეგიძლიათ 2125 ანგარიშის გამოყენება. ექსპლუატაციაში შესულ გზას ცვეთა აუცილებლად უნდა დაერიცხოს, თუმცა რა პროცენტით, ამის შეფასებას თქვენ უკეთ შეძლებთ, გზის მოსალოდნელი სასარგებლო სამსახურის ვადიდან გამომდინარე, რომელიც, ალბათ, საკმაოდ ხანგრძლივი უნდა იყოს. გზის სასარგებლო სამსახურის ვადის საიმედოდ შესაფასებლად, სპეციალური ცოდნა საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, როგორც გვწერთ, გზის გაყვანისას მოჭრილი მიწა ტერიტორიის სხვა ნაწილზე დატერასებისათვის არის გამოყენებული, ამიტომ გაწეული ხარჯის ნაწილი (კონკრეტულად, რა ნაწილი, ამის თქმა ჩვენთვის ძნელია და პროფესიული განსჯის გზით უნდა დადგინდეს) ტერასების თვითღირებულებას უნდა მიეკუთვნოს.

აღვნიშნავთ ასევე, რომ ეს ძირითადი საშუალება – „გზა შიდა მოხმარებისათვის“ შეიძლება იყოს ისეთი „მიმოსვლის გზა“, რომელზეც ქონების გადასახადში შეღავათია დაწესებული სსკ 206-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის მიხედვით. მიმოსვლის გზებზე ქონების გადასახადში შეღავათით სარგებლობისათვის, ის უნდა აკმაყოფილებდეს საავტომობილო გზის განმარტებას: „ხაზობრივი ნაგებობა, რომლის დანიშნულებაცაა უზრუნველყოს ავტოტრანსპორტისა და სხვა თვითმავალი საშუალებების უსაფრთხო და მოხერხებული მოძრაობა დადგენილი ნორმატიული სიჩქარეებით, ღერძული დატვირთებით და გაბარიტებით და დატანილი იქნება საკადასტრო ნახაზებზე ან რეგისტრირებული იქნება უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში“. ამის თაობაზე არსებობს შემოსავლების სამსახურის 24.08.2012 წ. განმარტება „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე – მიმოსვლის გზების, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზების ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება“.

თუ ეს გზა არ არის დარეგისტრირებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, მაშინ მასზე შეღავათი არ გავრცელდება და დაიბეგრება ქონების გადასახადით.

პითხვა: გვაქვს შენობა 2000 კვ.მ ფართობით, რომელსაც ვიყენებთ ჩემი კომერციული საქმიანობისთვის, ჩემს 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე. ამ შენობის ქონების გადასახადის გაანგარიშებისათვის უნდა გამოვითვალოთ ქონების გადასახადი შენობის ღირებულებიდან მიწის ღირებულებასთან ერთად თუ მხოლოდ შენობის ღირებულებიდან მიწის ღირებულების გარეშე?

პასუხი: თუ უძრავი ქონების მფლობელი საწარმო ან ორგანიზაციაა (ჩვენ ასე ვიგულისხმებთ პასუხში), მაშინ მისთვის დაბეგვრის ობიექტი“ განისაზღვრება სსკ 201-ე მუხლის თანახმად:

- „1. ქონების გადასახადის გადამხდელია:
 - ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია:
 - ა.ა) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ღირებუთა გაცემულ ქონებაზე“.

ამასთან, აღნიშნული არ ეხება მიწას, რადგან სსკ 203-ე მუხლის მიხედვით, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი და დაბეგვრის ობიექტი განსაზღვრულია ცალკე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საწარმო ფლობს მიწის ნაკვეთს და მასზე მდგარ შენობა-ნაგებობებს, მან როგორც აღრიცხვის მიზნით, ასევე ქონების გადასახადის მიზნითაც, ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს მიწისა და შენობა-ნაგებობების ღირებულებები. ეს პირდაპირ არის აღნიშნული ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ 58-ე მუხლში:

- „58. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღრიცხება ცალ-ცალკე, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი“.
- იგივეა აღნიშნული მსს ფასს-ის 17.8 მუხლში: „მიწა და შენობა-ნაგებობები განცალკევებადი აქტივებია, ამიტომ საწარმომ ისინი ცალ-ცალკე უნდა აღრიცხოს მაშინაც კი, თუ ისინი ერთად არის შეძენილი“.

ანალოგიურ ღებულებას შეიცავს მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის 7.5 მუხლიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების (გარდა მიწისა) გადასახადით დაიბეგრება შენობა-ნაგებობების ღირებულება მიწის გარეშე, ხოლო მიწა დაიბეგრება მისი ფართობის მიხედვით.

კითხვა: ჩვენი საწარმო ერთი ჩინური კომპანიიდან ყიდულობს საქონელს და ამ საქონლის მოძიებაში გვეხმარება მეორე ჩინური კომპანია. ორივე ამ კომპანიას – ერთს საქონლისთვის და მეორეს მომსახურებისთვის ხელშეკრულების საფუძველზე გურიცხავთ ჩინეთში თანხას. კითხვა მდგომარეობს შემდეგში: მეორე კომპანიის მიერ ჩინეთში გაწეული მომსახურება რა გადასახადით დაიბეგრება საქართველოში?

პასუხი: დასმული საკითხი განსახილველია როგორც დღ-ით, ასევე არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის კუთხით.

ვინაიდან „საქონლის მოძიებაში დახმარება“ სხვა არაფერია, თუ არა საკონსულტაციო მომსახურების ერთ-ერთი სახე, მომსახურების მიმღები კი საქართველოს საწარმოა, ამიტომ დღ-ით დაბეგრის მიზნით ეს მომსახურება ჩაითვლება საქართველოში გაწეულად და ამიტომ უნდა დაიბეგროს საქართველოს საწარმოს მიერ დღ-ით უკუდაბეგრის წესით. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ 162¹ მუხლის „მომსახურების გაწევის ადგილი“ მე-3 ნაწილიდან:

„3. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი:

ა) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, თუ მომსახურების მიმღები არის დასაბეგრი პირი“.

რაც შეეხება არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადს, კითხვის მოცემულობიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ეს მეორე ჩინური კომპანია ამ მომსახურებას, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე გაიწევა, საქართველოს საწარმოს უწევს ისე, რომ მომსახურება არ ხორციელდება საქართველოში მისი მუდმივი დაწესებულების, დაქირავებულის მეშვეობით ან სხვაგვარად. ამ შემთხვევაში, ამ მომსახურების საზღაური, საქართველოს საწარმოს მიერ ჩინური კომპანიისთვის გადახდილი, სსკ 104-ე მუხლის მიხედვით არ წარმოადგენს ამ ჩინური კომპანიისათვის საქართველო არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს და ამიტომ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება.

კითხვა: კომპანიის კუთვნილი ბარათით ხდება ანგარიშსწორება იურიდიულ პირებთან, არ გვაქვს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები. გთხოვთ მიზანსახით, როგორ დაგვბეგროთ (რა შემთხვევაში დაგვბეგრო საშემოსავლო გადასახადით და რა შემთხვევაში – მოგების გადასახადით), როგორ გავატაროთ ბუღალტრულად დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი?

პასუხი: გარემოებების მიხედვით, ასეთ ხარჯები შეიძლება იბეგრობოდეს მოგების ან საშემოსავლო გადასახადით. ერთი მხრივ, სსკ 98² მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, „ა მუხლის მიზნებისათვის ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის“, მიეკუთვნება და მოგების გადასახადით (დაბეგრის „ესტონურ მოდელზე“ მყოფი პირებისათვის) იბეგრება:

„ა) ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, თუ ეს ვალდებულება დადგენილია ამ კოდექსის შესაბამისად“.

მეორე მხრივ კი, ასეთი ხარჯი შეიძლება შეფასდეს როგორც ანგარიშვალდებული პირის (ანუ, საწარმოს თანამშრომლის) მიერ საკუთარ ინტერესებში განხარჯული თანხა, ვინაიდან, როგორც წესი, კომპანიის კუთვნილ საანგარიშსწორებო ბარათს მისი რომელიმე თანამშრომელი განკარგავს. ასეთი ხარჯები კი დაიბეგრება არა მოგების, არამედ საშემოსავლო გადასახადით, როგორც ხელფასთან გათანაბრებული სარგებელი, სსკ 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტის თანახმად:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისათვის სარგებლის ღირებულებად ითვლება ქვემოთ მითითებული თანხა, რომელიც მცირდება დაქირავებულის მიერ ამ სარგებლის მიღებისას დამქირავებლისათვის გადახდილი თანხით:...

გ) დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის ხარჯების ანაზღაურებისას – ანაზღაურების თანხა“.

ამასთან, ხელფასთან გათანაბრებული სარგებელი ასევე დაიბეგრება სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანებითაც, თუ ანგარიშვალდებული პირი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეა.

ზუსტი „რეცეპტი“, თუ რომელ შემთხვევაში მოგების გადასახადით უნდა დაიბეგროს და რომელ შემთხვევაში – საშემოსავლო გადასახადით, არ არსებობს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს გაწეული ხარჯის ანალიზი, მისი რაობიდან და თანხის მიმღებიდან გამომდინარე, საწარმოს ინტერესებშია გაწეული ის თუ ფიზიკური პირის (თანამშრომლის) ინტერესებში. ჩვენი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ ბარათით გადახდილი თანხაზე კომპანიას ხარჯის დამადასტურებელი სხვა საბუთი, გარდა გადახდისა, არ აქვს, უფრო ხშირად ეს წარმოადგენს ფიზიკური პირების (თანამშრომლების) მიერ პირად ინტერესებში კომპანიის კუთვნილი ბარათის გამოყენების შემთხვევებს.

რაც შეეხება ბუღალტრულ გატარებებს, თუ საქმე გვაქვს ხარჯის გაწევის ისეთ არადოკუმენტირებულ

შემთხვევასთან, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება, მაშინ შინაარსის მიხედვით უნდა დადგინდეს, თუ რა სახის საოპერაციო ან არასაოპერაციო ხარჯს ჰქონდა ადგილი და შერჩეულ ანგარიშზე (7*** ან 8*** ბუღალტრული ანგარიშებიდან) დადებულდება გადახდილი თანხა Z ლარი, ხოლო მოგების გადასახადის დარიცხვა უნდა გატარდეს იმავე ბუღალტრულ ანგარიშზე, რაზეც თავად ეს ხარჯი გატარდა:

დ-ტი 7*** ან 8*** კ-ტი 3310 (Z/0.85)*15%.

იმ შემთხვევაში კი, თუ არადოკუმენტირებული ხარჯი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება, როგორც თანამშრომლისთვის გაწეული, მაშინ ბუღალტრულად გატარდება (გატარებები მოყვანილია დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული პირისთვის):

დ-ტი 3130 კ-ტი 1210 Z ლარი;

დ-ტი 7410 კ-ტი 3130 X, სადაც $X=Z/0.784$ ლარი;

დ-ტი 3130 კ-ტი 3140 2%*X;

დ-ტი 3130 კ-ტი 3320 $(X-2\%*X)*20\%$;

დ-ტი 7415 კ-ტი 3140 2%*X.

კითხვა: 2007 წელს თბილისის მერიამ უკანონოდ დაანგრია ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული კომერციული ფართი. ზიანის ანაზღაურებაზე სასამართლო დაგვა დასრულდა ახლა, 2025 წლის აპრილში და სასამართლომ (კერძოდ, თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ჯერ კიდევ 2009 წელში, თუმცა მოხდა გასაჩივრებები და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დადგა ახლა) დადასტურებულად ცნო ფართის უკანონო დანგრევა და ზიანის ანაზღაურების სახით თბილისის მერიას ამ ფიზიკური პირის სასარგებლოდ დააკისრა თანხის გადახდა. ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ხაზინის მიერ თანხა ჩაირიცხა როგორც ზიანის ანაზღაურება. ამ ფიზიკურ პირზე ზიანის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხა დაიბეგრება? თუ დაიბეგრება, ვინ უნდა დაბეგროს და როგორ?

პასუხი: უპირველესად, უნდა შევაფასოთ, რა სახის შემოსავალია ეს ამ ფიზიკური პირისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური პირი ფლობდა კომერციულ ფართს და დიდი ალბათობით, იყენებდა მას თავის ეკონომიკურ საქმიანობაში, შესაძლოა მიღებული ანაზღაურება შეფასდეს სსკ 102-ე მუხლის „ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების“ მიხედვით როგორც ან „ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის... შედეგად მიღებული შემოსავლები“, ან „ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები“, ან „კომპენსირებული გამოქვითვები ამ კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით“, ან „სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი“ (აღნიშნული 102-ე მუხლის „გ“, „დ“, „ე“, „ლ“ პუნქტები შესაბამისად).

ამ მოსაზრებით, ფიზიკურმა პირმა თავის ანგარიშზე ხაზინის მიერ ჩარიცხული ზიანის ანაზღაურება დაბეგრვის მიზნით უნდა ჩართოს თავის ერთობლივ შემოსავალში იმ წელს, როდესაც ის მიიღო, ანუ 2025 წელს.

სხვა საკითხია, თუ რა იქნება საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი თანხა, ანუ – მიღებულ თანხასა და ნებადართულ გამოქვითვებს შორის სხვაობა. შევნიშნავთ, რომ მერიის მიერ უკანონოდ დანგრეული კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება, რაც სავარაუდოდ იყო სასარჩელო მოთხოვნა მერიის მიმართ, არ წარმოადგენს ნებადართული გამოქვითვის თანხას. ძირითადი საშუალებების/საინვესტიციო ქონების (რაც იყო, სავარაუდოდ, ეს ფართი ამ ფიზიკური პირისთვის) გამოქვითვა ხდება ან სსკ 111-ე მუხლის მიხედვით, საამორტიზაციო ანარცხების დარიცხვის გზით, ან, შესაძლოა, უკვე არის კიდევაც გამოქვითული, თუ ფიზიკურმა პირმა ამ ფართის ექსპლუატაციის შესვლის წელს გამოიყენა სსკ 112-ე მუხლი „ძირითად საშუალებათა მიხედვით საამორტიზაციო ანარცხების სრულად გამოქვითვა“ (ცხადია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში – გამოსაქვითი 2025 წელს აღარაფერია).

სსკ 149-ე მუხლი „მოგების ან ზარალის აულიარებლობა“, რომლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით, „1. დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ ხდება... გ) აქტივის არანებაყოფლობითი განადგურება/ჩამორთმევა და განადგურების/ჩამორთმევის წლის მომდევნო 2 წლის დასრულებამდე“, მხედველობაში ვერ იქნება მიღებული, რადგან კომერციული ფართის დანგრევიდან 2 წელზე მეტია გასული.

თუ წავაღოთ იმ მსჯელობის გზით, რომ მიღებული ანაზღაურება ფიზიკური პირისთვის სსკ 102-ე კი არა, არამედ 103-ე მუხლის („შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან“) მიხედვით განსაზღვრული შემოსავალია, დაბეგრვის თვალსაზრისით არაფერი შეიცვლება, რადგან სსკ 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირისთვის „1. შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი“, გარდა „ა“-„გ“ პუნქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულ შემთხვევას არ შეესაბამება.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafcapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის / თბილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალო. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახსრებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

არასასარბიელო მემკვიდრეობა რომის ახალი პაპისთვის

ვატიკანის საპენსიო ფონდში თითქმის ორმილიარდიანი დეფიციტია

რომის პაპი ფრანცისკეს გარდაცვალების შემდეგ, 2025 წლის 8 მაისს, რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალთა კონკლავმა ახალი პაპი აირჩია – ლეო XIV. პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიის (მისი მრევლი 1,4 მილიარდს აჭარბებს) ისტორიაში პირველად, ეს უმაღლესი თანამდებობა ამერიკელმა კარდინალმა რობერტ ფრენსის პრევიომ დაიკავა. როგორც მედიასაშუალებებმა მოიკვლიეს, 69 წლის ჩიკაგოელი კარდინალი არჩევამდე პოლიტიკურად აქტიური იყო – იგი აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის პრაიმერიზებში და თავად არჩევნებშიც ხშირად მონაწილეობდა.

კონკლავის მიერ არჩეულმა ლეო XIV-მ ფინანსურად არასტაბილური მემკვიდრეობა მიიღო. ახალი პონტიფიკოსი იძულებული იქნება ვატიკანის საბიუჯეტო დეფიციტის საკითხები გადაჭრას. 2024 წლის ზაფხულში წარდგენილი ბოლო ფინანსური ანგარიშის მიხედვით, ე.წ. „გარდევვა“ 83 მილიონი ევრო იყო. ჯერ კიდევ 2022 წელს გახდა ცნობილი, რომ კათოლიკური ეკლესიის მთავარი დაწესებულების საპენსიო ფონდს 631 მილიონი ევროს ნაკლებობა ჰქონდა, დღეისათვის კი ეს თანხა სამჯერ მეტი გახდა.

ვატიკანის სახელმწიფოდ კურთხევის მოკლე ისტორია

ვატიკანი იტალიის დედაქალაქ რომის ტერიტორიაზე, მონტევატიკანოს ბორცვზე მდებარეობს და მხოლოდ 0,44 კვ. კმ უკავია. რომისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მას ასევე სამი ტაძარი, სასახლეები და ვილები ეკუთვნის საერთო ფართობით 0,7 კვ. კმ. 1929 წლამდე, ვატიკანის არემარე რომაული რაიონის ბორგოს ნაწილი იყო. იგი მდინარე ტიბრის დასავლეთ სანაპიროზეა, რაც მას რომისგან ბუნებრივად გამოყოფს.

1150 წელს პაპმა ევგენი III-მ, მდინარის სანაპიროზე სასახლე ააშენებინა, რომელიც 1377 წლიდან რომის პაპების რეზიდენციად იქცა. იტალიის გაერთიანების შემდეგ, 1870 წლიდან პაპის საერო ხელისუფლად ხსენება აღარ ხდება – მან არ სცნო იტალიის სახელმწიფო მმართველი და თავი ვატიკანის ტყვედ გამოაცხადა.

„რომის საკითხის“ მოგვარების შესახებ მოლაპარაკებები, იტალიის მთავრობასა და წმინდა ეპარქიას შორის დაიწყო 1926 წელს. მხარეებმა



შეთანხმებას 1929 წელს მიაღწიეს, როცა ხელი ლატერანის ხელშეკრულებას მოეწერა. ამ პროცესში, იტალიის მეფე ვიქტორ ემანუელ III-ს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბენიტო მუსოლინი, ხოლო პაპი პიუს XI-ს – ვატიკანის სახელმწიფო მდივანი პიეტრო გასპარი წარმოადგენდნენ. ლატერანის სასახლეში ხელმოწერილი ხელშეკრულება ძალაში იმავე წლის 7 ივნისიდან შევიდა.

ასე შეიქმნა ვატიკანის სახელმწიფო – საბოლოოდ დადგინდა მისი საზღვრები და აღიარებულ იქნა სუვერენიტეტი. სხვათა შორის, პლანეტის ამ ყველაზე პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი 1947 წლიდან იტალიის კონსტიტუციითაა დადასტურებული.

საერთაშორისო სამართალში ვატიკანის სტატუსი ასეთია – წმინდა საყდრის დამხმარე სუვერენული

ტერიტორია, რომის კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო ხელმძღვანელების რეზიდენცია. უცხოური ქვეყნების დიპლომატიური მისიები აკრედიტაციას წმინდა საყდრის წარმომადგენლობასთან გადიან და არა ქალაქ-სახელმწიფოსთან. ვატიკანის მცირე ტერიტორიის გამო, ქვეყნის საელჩოები (თვით იტალიის საელჩოც კი) და წარმომადგენლები რომშია განთავსებული.

შემოწირობები, ტურიზმი და „სხვა“ შემოსავლები – ვატიკანის მკონომიკის მთავარი წყარო

ვინაიდან მრავალი საუკუნის განმავლობაში თითქმის არ ქვეყნდებოდა ინფორმაცია ვატიკანის ფინანსებსა და ინვესტიციებზე, უმრავლესობამ არ იცის, როგორ ფორმირდება ამ ქალაქ-სახელმწიფოს ბიუჯეტი. ზოგიერთ წერილში გასარკვევად, საჭიროა სხვაობის გაგება ვატიკანსა და წმინდა საყდარს შორის: ვატიკანი ესაა ტერიტორია, სადაც წმინდა საყდარი მდებარეობს; წმინდა საყდარი არის ქვეყნისა და რომის კათოლიკური ეკლესიის მმართველო ორგანო. ეპარქია ფულს მეტწილად შეწირულობებით იღებს, რომლის ნაწილსაც აბანდებს აქციებში, ობლიგაციებში, კერძო კომპანიებსა და უძრავ ქონებაში. ვატიკანი შემოსავლებს მუზეუმებში შესასვლელი ბილეთების, სამახსოვრო მონეტებისა და მარკების გაყიდვით იღებს.

მართალია, პაპი ფრანცისკე და მისი წინამორბედი პაპი ბენედიქტე XVI ცდილობდნენ ქვეყნის ეკონომიკა უფრო გამჭვირვალე გაეხადათ, მაგრამ იგი დღემდე ამოუხსნელ ამოცანად ითვლება. ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებთან დაკავშირებული რიცხვების უმეტესობა მხოლოდ ვარაუდებზე და ემპირიულ მოდლებზე თუ ისტორიულ მონაცემებზე მიღებულ ანგარიშებზეა დაფუძნებული.

ზემოთ ნახსენები „რომის საკითხის“ მოლაპარაკებისას, იტალიის მთავრობას წმინდა საყდრისთვის მიყენებული ზარალისთვის, კომპენსაციის სახით გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა. პაპმა პიუს XI-მ კონტრიბუციის სახით 1750 მილიონი ლირა მიიღო – ნაწილი ნაღდი ფულით, წარმდგენზე ობლიგაციებით. ლატერანის პაქტების ხელმოწერიდან 2 თვის შემდეგ და მათ რატიფიკაციამდე 1 თვით ადრე, პაპი დაუკავშირდა იტალიური კომერციული ბანკის მმართველ ინჟინერ ბერნარდინო ნოგარას. მას ამ საშუალებების მართვა დაევალა.

ნოგარამ ვატიკანში აქციების ფლობის კონცეფცია დანერგა. მას სამოციქულო ეკლესიის ქონების მართვის სპეციალური განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალა. იგი „დიდი დეპრესიის“ ეპოქაში (1929) ეპარქიის ფულით აქციებს ყიდულობდა და ამ გზით უამრავი აქციის მფლობელობასთან ერთად, უამრავი იტალიური კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრიც გახდა. სწორედ ამ პერიოდში ნოგარამ 2 კომპანია შექმნა – Grolux და შვეიცარიული Profima. მიზანი წმინდა საყდრის ინვესტიციების დივერსიფიცირება გახლდათ,

ძირითადი ყურადღების კონცენტრირებით ოქროსა და აგურზე.

პაპი პიუს XI-ის გარდაცვალების მეორე დღეს (1939 წლის 10 თებერვალი), კარდინალმა ეუჯენიო პაჩელიმ, რომელიც მომავალ კონკლავზე პაპი უნდა გამხდარიყო, ბრძანება გასცა გაეხსნათ სპეცანგარიში და მასზე განსვენებული პაპის მაგიდის უჯრაში ნაპოვნი ლირები და დოლარები დაედოთ. სწორედ ეს ანგარიში გახდა ვატიკანის თანამედროვე ფინანსების ისტორიის საწყისი. მისი, შემდეგ კი რელიგიური საქმეების ინსტიტუტის (ე.წ. ვატიკანის ბანკი) სრული ავტონომიის წყალობით, რომის პაპს იქ აკუმულირებული თანხების განკარგვა საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო. რელიგიური საქმეების ინსტიტუტი (იტალ. Istituto per le Opere di Religione – IOR) კერძო ბანკია, რომელიც სინამდვილეში სატრასტო ფონდს წარმოადგენდა. IOR-ი ეუჯენიო პაჩელიმ, პაპი პიუს XII-ის სახელით 1942 წელს დააფუძნა.

ვატიკანის ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები 4 ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. რადგან აწვარდაცვლილი პაპი ფრანცისკეს მცდელობის მიუხედავად, წლების მიხედვით რეგულარულად მაინც არ ხდებოდა მონაცემთა საჯაროდ გამოქვეყნება, ჩვენც მხოლოდ 2022 წლის მაჩვენებლებით დავკმაყოფილდებით:

1. კომერციული ინვესტიციები, უძრავი ქონების მართვა და მომსახურების სფერო (უნივერსიტეტები, საავადმყოფოები და ა.შ.);

– ეს ვატიკანის შემოსავლების საკმაოდ დიდი ნაწილია. სრული შემოსავლების 887 მილიონი დოლარიდან ეს მუხლი 65%-ს შეადგენდა.

წმინდა საყდარი ძირითადად იტალიის მრეწველობაში აბანდებს თანხებს. თან ისე, რომ საკუთარი პორტფელი აქციებსა და ობლიგაციებს შორის გადაანგარიშებით, კომპანიებში კუთვნილი წილი 6%-ს არ ასცდენოდა.

2. პერსონალური შემოწირულობები;

– ამ სახით განხორციელებული თანხები მხოლოდ კონკრეტულ საქმეს უნდა მოხმარებოდა. 2022 წელს ამ მუხლით შემოსული თანხის ხვედრითი წილი 24% იყო.

3. წმინდა პეტრეს დინარი;

– შემოწირულებათა განსაკუთრებული ფორმა. კათოლიკეები (კერძო პირებიდან ეპარქიებამდე), ყოველწლიურად ერთი და იმავე დროს ახორციელებენ შეწირულობას პირადად რომის პაპის სახელზე. „წმინდა პეტრეს დინარის“ პრაქტიკა VIII საუკუნიდან მოდის. წმინდა საყდარი მათ საგანგებო განყოფილების მეშვეობით აგროვებს. შემოსავლების ამ მუხლმა 2022 წელს 6% შეადგინა.

4. ტურიზმი და რელიგიური საქმეების ინსტიტუტი;

– აღნიშნულმა მუხლმა ვატიკანის ბიუჯეტი 5%-ით შეავსო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვატიკანის მუზეუმისა და პაპის ვილების სამუზეუმო ვილებიდან შემოსავლები. სიქსტის კაპელა, წმინდა პეტრეს ბაზილიკა და მუზეუმი ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს და რელიგიურ მომლოცველებს იზიდავს. ქალაქი იღებს შემოსავლებს მუზეუმში შესასვლელი ბილეთების, ექსკურსიების, მოთხოვნადი მარკებისა და მონეტების რეალიზაციის ხარჯზე.

როგორც ხედავთ, წმინდა საყდარი მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებს. თუმცა, საკუთრების მოვლა-პატრონობის, ადმინისტრაციის, ევანგელისტური მისიებისა და სხვა ხარჯებისთვის შემოსავალზე მეტი თანხები იხარჯება. მრავალმილიონიანი დეფიციტური ბიუჯეტი ვატიკანში მრავალი ათწლეულის განმავლობაშია შენარჩუნებული.

2012 წელს დეფიციტმა 18,4 მილიონი დოლარი შეადგინა. ჩინოვნიკებმა ამ უბედურების მთავარ მიზეზებად სუსტი ევროპული ეკონომიკა და 2832 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯული თანხა მოიყვანეს.

2019 წლის სექტემბერში, ვატიკანის ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელმა, გერმანელმა კარდინალმა რაინჰარდ მარქსმა განაცხადა, რომ მას პაპმა ფრანცისკემ ხარჯების შემცირება დაავალა. ამ მითითების დანიშნულება 70 მილიონ ევრომდე გაზრდილი დეფიციტის პროგნოზირებადი მაჩვენებლის შემცირება იყო. როგორც წესი, მონაცემთა ზუსტი ოდენობა ყოველთვის დისკუსიის საგანი იყო, რადგან ვატიკანს 2015 წლის შემდეგ ბიუჯეტის არცერთი ვარიანტი არ ჰქონდა გამოქვეყნებული.

2021 წელს ვატიკანის ეკონომიკის სამდივნოს პრეფექტმა განაცხადა, რომ 2019 წლის 79,2 მილიონი ევროდან ბიუჯეტის დეფიციტი 49,7 მილიონამდე შემცირდებოდა. თუ პანდემიამდე წელს ქვეყნის მუზეუმებში 8 მილიონამდე ბილეთი გაიყიდა, 2020-ში გაყიდვებმა 75%-ით იკლო. ტურისტების დეფიციტმა ვატიკანი აიძულა 10%-ით შეემცირებინა კარდინალებისა და მღვდლების ანაზღაურება, დროებით შეჩერდა დაქირავებულ თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანა.

რაც შეეხება 2022 წლის საბიუჯეტო გასავლის მუხლს (ეს წელი მხოლოდ 3-მილიონიანი დეფიციტით დასრულდა), 560 მილიონი დოლარი (63%) დაიხარჯა მომსახურებასა და ადმინისტრირებაზე. აქედან 436 მილიონი დოლარი რომის უძველესი (1896) საბავშვო საავადმყოფო Bambino Gesù-ს დაფინანსებას მოხმარდა. ბიუჯეტის 30% ე.წ. სამოციქულო მისიისთვის (ეკლესიების მხარდაჭერა, განათლება და მსოფლიოში დიპლომატიური წარმომადგენლობების მუშაობა) დაიხარჯა.

ვატიკანის ეკონომიკა უნიკალურია – იგი მსოფლიოს ერთადერთი არაკომერციული ეკონომიკაა. ქვეყანა იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის მსხვილი მიწათმფლობელია. ის აგრეთვე ფლობს ისეთი

კომპანიების მილიარდობით დოლარის ღირებულების აქციებს, როგორებიცაა: General Electric, Gulf Oil, Shell, Bethlehem Steel, International Business Machines და TWA.

2021 წელს, პაპი ფრანცისკეს ფინანსური გამჭვირვალობის რეფორმის ფარგლებში, სამოციქულო ეკლესიის ქონების მართვის სამმართველომ პირველად გამოაქვეყნა მონაცემები კუთვნილი უძრავი ქონების შესახებ. ამ ანგარიშის მიხედვით ვატიკანს იტალიაში ეკუთვნის 4051 ობიექტი, ხოლო მსოფლიოს სხვა ქვეყნებში 1120. ძირითადად ესაა ელიტური უძრავი ქონება ლონდონში, პარიზში, ჟენევასა და ლოზანაში. პარიზისა და ლონდონის პრესტიჟული ფართების იჯარით აკუმულირებული თანხებით ვატიკანის ქონების მართვის სამმართველოს წმინდა პეტრეს ტაძრიდან რამდენიმე მეტრში მდებარე ისეთი შენობის ქველმოქმედებისთვის სარგებლობა შეუძლია, როგორც Palazzo Migliori-ა. ეს 4-სართულიანი ნაგებობა 2019 წლიდან მთლიანად უსახლკართოა თავშესაფრად გამოიყენება.

„ქამრების მოჭმრა“ ვატიკანურად

ფინანსური მექვიდრეობა, რომელიც რომის ახალ პაპ ლეო XIV-ს ხვდება, სახარბიელო ვერაა. ფრანცისკეს 12-წლიანი პონტიფიკატის განმავლობაში ბიუჯეტის დეფიციტი გასამმაგდა. რაც შეეხება საპენსიო ფონდის ვალდებულებებს, იგი 2 მილიარდ ევროს გადასცდა და თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, შესაძლოა გადახდისუნარო გახდეს.

The Wall Street Journal-ი მიიჩნევს, რომ ვატიკანში ასეთი სიტუაცია საფინანსო გამჭვირვალობითაა განპირობებული. პაპი ფრანცისკე არაერთხელ ეცადა აუდიტის ჩატარებას და ხარჯების შემცირებას. მან 250-ზე მეტ კარდინალს ხელფასი 3-ჯერ „ჩამოაჭრა“, ჩინოვნიკებისთვის ვატიკანში „შეღავათიანად“ ცხოვრებასაც ბოლო მოუღო, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მიზეზი ზოგიერთი დეპარტამენტის სიჯიუტე გახდა.

ურჩებმა, „მისიის უსაფრთხოების“ მომიზეზებით, თანხების დამალვა დაიწყო. თანაც როგორ? „რწმენის ლოქტრინის კონგრეგაციის“ (წარსულში ინკვიზიციის სახელით იყო ცნობილი – ფ.კ.) კარდინალებმა ოფიციალური საბანკო ანგარიშებიდან თანხების გამოტანა დაიწყეს, ისინი მალულად ჩანთებით გადაჰქონდათ და პირად ანგარიშებზე შეჰქონდათ. შედეგად, 2023 წლის დეკემბერში ვატიკანის სისხლის სამართლის სასამართლომ, კარდინალ ჯოვანი ანჯელო ბერუს 5 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. ტრიბუნალის თავმჯდომარე ჯუზეპე პინიატონე განიხილავდა 2011-2018 წლებში სარდინიელი კარდინალის მიერ ლონდონში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში და 400 მილიონი დოლარის უკანონო ინვესტირებაში თაღლითურ მონაწილეობას.

ვატიკანის ბულატერიის აუდიტორული შემოწმება იმიტომაც არის შეუძლებელი, რომ იქაურ საქმისწარმოებაში ჯერ კიდევ „არქაული“ ხანის მიღწევებით სარგებლობენ – თითქმის ყველა ჩანაწერი ქალაქულ ფანქრითაა დატანილი. ამ და ზემოთ მოყვანილი ბარიერების გამო, „უთვალავი“ სიმდიდრის მიუხედავად, ვატიკანი უძღური აღმოჩნდა სახელმწიფოს ბაზისური ფუნქციები მუდმივი დეფიციტის გარეშე უზრუნველყო. შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს გარემოებასთან, რომ ქალაქი-სახელმწიფოს ბიუჯეტს ხაზინის ფუნქციონირების მექანიზმებში გაუთვითცნობიერებელი საეკლესიო მსახური მართავენ.

ვატიკანს ფინანსური სკანდალები არც წარსულში აკლდა, რაშიც გამორჩეული 1980-იანები იყო. ვატიკანის ბანკს (IOR) ბრალი Banco Ambrosiano-ს კრახშიც მიუძღვის. უდიდესი კერძო იტალიური ბანკის მმართველი რობერტო კალვი, ერთ-ერთი ლონდონური ხიდის ქვეშ ჯიბებში აგურებით იტალიელი მაფიოზების დავალებით ჩამომხრჩვალნი იპოვეს. ვატიკანს Banco Ambrosiano-ს კრედიტორებისთვის 250 მილიონი დოლარის გადახდა მაინც მოუწია. საკითხი – როგორ დაფინანსდეს თეოკრატიული სახელმწიფო გადასახადების აკრეფის გარეშე – კვლავ ღიად დარჩა.

ვატიკანის საგადასახადო სტატუსის თავისებურებები

ქვეყნის ეკონომიკა ისე იყო მოწყობილი, რომ აქ საგადასახადო სისტემა არ არსებობდა. იმპორტული პროდუქცია სპეციალური ნებართვებით შემოჰქონდათ, რაც სამოქალაქო და რელიგიური ყოფის საქონელზე რომზე გაცილებით დაბალ ფასებს განაპირობებდა. სტატუსის უკეთ გაგების სიიოლისთვის, ავიღოთ რომის პაპის ხელმძღვანელობით მოქმედი კათოლიკური ეკლესია (ვატიკანი ხომ რეალურად პაპის რეზიდენციას წარმოადგენს – ვ.კ.).

დარსების ისტორიიდან გამომდინარე, ვატიკანი მჭიდრო კავშირშია იტალიის რესპუბლიკასთან. ლატერანის კონკორდატის მე-5 მუხლში წერია, რომ ვატიკანი იტალიისგან დამოუკიდებელია, კერძოდ, ფინანსური ვალდებულების მხრივ. აქვე წერია: „იტალია ზრუნავს ვატიკანის ტერიტორიაზე, ჩაურევლად“. 1929 წლის შეთანხმება ითვალისწინებს წმინდა საყდრის ყოველმხრივ დამოუკიდებლობას, მათ შორის გადასახადების მხრივაც – კულტის მსახურნი, პაპის ჩინოვნიკები ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფლები ხდებოდნენ. შედეგად ვიღებთ ასეთ სიტუაციას: რომის კათოლიკური ეკლესია გადასახადებით დაბეგვრის მხრივ (არა მარტო) დამოუკიდებელი სუბიექტია, თუმცა იტალიის მთავრობისაგან ლატერანის პაქტებზე ხელმოწერიდან ორიოდე თვეში კონტრიბუციის სახით თითქმის 2 მილიარდი ლირის დაფინანსებას იღებს.

1984 წელს შეთანხმებაში მოხდა ცვლილება. ნორმატიული სამართლებრივი აქტის 47-ე მუხლის მიხედვით, კათოლიკური ეკლესია ფინანსდება იტალიის

მოქალაქეთა მიერ – წლიური შემოსავლის ყოველ 1000 ლირაზე 8% ვატიკანის ხაზინაში ირიცხება. თანაც, საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისას გადასახადის იტალიელ გადასმდელს არჩევანის უფლება აქვს – ეს თანხა წმინდა საყდრის, სხვა კონფესიის, თუ იტალიის სახელმწიფო ხაზინაში ჩაირიცხოს.

სტატისტიკური მონაცემებით, 2010 წელს დეკლარანტთა 85,01 პროცენტმა საკუთარი 8% კათოლიკურ ეკლესიას არგუნა, ხოლო 11,95% იტალიის რესპუბლიკის ერთგული დარჩა. 2017 წლის სტატისტიკით, წმინდა საყდარი 81,09 პროცენტმა აირჩია, იტალია – 14,28%-მა.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ ვატიკანი მისი მოქალაქეებისთვის საგადასახადო სამოთხეა. თუმცა ბოლო ათწლეულში ამ სახელმწიფოს ფინანსურმა სიტუაციამ განვითარების სხვა მიმართულება მიიღო. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის მთავრობამ ვატიკანისგან 2006-2011 წლებში გადაუხდელი გადასახადი მაინც უნდა მიიღოს. საუბარია უძრავი ქონების მუნიციპალურ გადასახადზე, რომლისგანაც იტალია ათავისუფლებდა საგანმანათლებლო ან რელიგიური საქმიანობით დაკავებულ არაკომერციულ ორგანიზაციებს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2012 წლის 1 იანვრიდან იტალიაში შემოღებულია ახალი ერთიანი მუნიციპალური გადასახადი (IMU), რომელიც არ ითვალისწინებს საერთო წესებიდან ვატიკანის გამორიცხვას. ამავე წლის დეკემბერში, ევროკომისიამ უკანონოდ მიიჩნია იტალიის მთავრობის მხრიდან უძრავი ქონების გადასახადისგან გათავისუფლებით ვატიკანის ფინანსური მხარდაჭერა. თუმცა, ამავე დროს დაასკვნა – რთული პროცედურებისა და ინფორმაციის უქმარისობის გამო, ვატიკანისგან ძველი გადაუხდელი გადასახადების ამოღება შეუძლებელია.

აღნიშნული გადაწყვეტილება ევროკავშირის საერთო სასამართლოში გაასაჩივრეს რომში მდებარე მარია მონტესორის დაწყებითი სკოლის დირექციამ და პოსტელის მფლობელმა პიეტრო ფერაჩიმ. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ ვერდიქტით ევროკომისია მათ ვატიკანის ანალოგიური პროფილის ობიექტებთან მიმართებაში არახელსაყრელ და წამგებიან სიტუაციაში აყენებს. საქმე ევროპის სასამართლომდე მიადგინა, სადაც ევროკომისიის დასკვნა დაუსაბუთებლად ჩათვალეს და ვატიკანი ზემოთ ნახსენები 5 წლის გადასახადების გადახდაში დაავალდებულეს.

ამ ისტორიის შედეგი დადგა 2016 წლის 14 ოქტომბერს, საიდანაც ამოქმედდა იტალიისა და ვატიკანს შორის საგადასახადო დაბეგვრის შეთანხმება. მხარეებმა ვალდებულება აიღეს:

- გაცვალონ ერთმანეთში საგადასახადო ინფორმაციები;
- ხელი შეუწყონ იტალიაში მცხოვრებ იმ პირთა და ორგანიზაციათა ფინანსური შემოსავლებისა და აქტივების გამარტივებულ დაბეგვრას, რომლებიც

ვატიკანში საქმიანობენ.

პრაქტიკულად ეს არის საშემოსავლო გადასახადი, რომლის დაანგარიშება იტალიის მოქალაქისაგან განსხვავებულად ხდება. ფიზიკური პირებისთვის, შეთანხმებით ანგარიშის ერთგვარი ალგორითმია შემოდებული, ხოლო იურიდიული პირებისთვის – ფიქსირებული განაკვეთი 26%.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვატიკანის საგადასახადო სამოთხედ „მონათლვა“ წარსულს ჩაბარდა. თუ მანამდე იგი მხოლოდ სხვა ქვეყნის მოქალაქეებისგან საგადასახადო შემოსავლების მიმღები იყო, ახლა თავადაც ვალდებულია გასცეს.

რომის ახალარჩეულ პაპს იგივე პრობლემების გადაჭრაზე ზრუნვა მოუწევს, რომელთა დაძლევა ფრანცისკემ ვერ შეძლო. ვატიკანის უმსხვილესი დონორი

ქვეყნების (აშშ და გერმანია) წარმომადგენლები 7 მაისის კონკლავამდე გაკეთებულ საჯარო განცხადებებში თავს არ იკავებდნენ ამ ქვეყნის პრობლემურ საფინანსო სიტუაციის ამსახველი მკვეთრი განცხადებებისაგან. კარდინალთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი თემები მეორეხარისხოვანია. სწორედ ამ კატეგორიის ამომრჩეველთა აზრი შეაჯამა ე.წ. ინკვიზიციის ყოფილმა პრეფექტმა გერჰარდ მიულერმა: „*იესომ დედამიწაზე ჯერ მოციქულები გამოგზავნა, მერე ეპისკოპოსები, რათა მათ ხსნის, გამოსყიდვისა და იმედის სახარება ეტარებინათ. სწორედ ეს არის ეკლესიის მთავარი საქმე. ვატიკანის ფინანსური მდგომარეობა კი, არსებითად არც ისე მნიშვნელოვანია.*“

ფრიდონ კერვალიშვილი

რამდენს მიიღებს რომის პაპი ლეო XIV ხელფასის სახით?

ამერიკული Sacred Heart University-ის პროფესორის, დანიელ რობერის ინფორმაციით, რომის პაპის თვიური ხელფასი €30,000-ის, ანუ \$33,800-ის ტოლია, რაც წელიწადში დაახლოებით \$405,600 გამოდის, ანუ რომის პაპი დაახლოებით იმდენივეს გამოიმუშავებს, რამდენსაც აშშ-ის პრეზიდენტი. თუმცა, ლეო XIV-მ, შესაძლოა, ხელფასზე უარი თქვას და ის ქველმოქმედებას შესწიროს, როგორც ეს მისმა წინამორბედმა, პაპმა ფრანცისკემ გააკეთა.

2025 წლის 8 მაისს, რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალთა კონკლავმა ახალი რომის პაპი აირჩია. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიის ისტორიაში პირველად, ამ საპასუხისმგებლო თანამდებობას ამერიკელი კარდინალი, რობერტ ფრენსის პრევი დაიკავებს, რომელიც ამიერიდან ლეო XIV-ის სახელით იქნება ცნობილი. ახალი რომის პაპის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, რადგან ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან ღვთისმსახურებას დაუთმო, რაც უმეტესწილად, არასაჯარო საქმიანობაა.

ქრისტიანულ სამყაროში რომის კათოლიკური ეკლესია უდიდესი დენომინაციაა, რომლის მოძღვრებას 1.4 მილიარდი ადამიანი იზიარებს, ანუ ქრისტიანების ნახევარზე მეტი და მსოფლიოს მოსახლეობის 17%. რომის ეკლესიის ცენტრი ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანია, მაგრამ თავად ეკლესია, რომელსაც 400,000-ზე მეტი მღვდელი წარმოადგენს, მთელ მსოფლიოში ოპერირებს. შესაბამისად, პაპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირია პლანეტაზე. ამიტომაც, ხელფასის გარდა, რომის ეკლესია პაპის ყველა ხარჯს ანაზღაურებს, მათ შორის გადაადგილებას, უსაფრთხოებას, ჯანდაცვას. პაპის ნაცვლად, ვატიკანი მის საპენსიო ფონდსაც შეავსებს.

აშშ-ში ინფლაცია მოსალოდნელზე მეტად შემცირდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში წლიური ინფლაციის დონე 2.3%-იან ნიშნულამდე შემცირდა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია და ანალიტიკოსების პროგნოზზე უკეთესი მაჩვენებელი.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას (CPI), რომელიც სურსათისა და ენერჯორესურსების ხარჯებს არ ითვალისწინებს, აღნიშნული მაჩვენებელი წლიურ ქრილში 2.8%-იან ნიშნულზეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი წინა თვესთან მცირედით ნაკლებია.

ინფლაციის ტემპის მოსალოდნელზე მეტად შენელება პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს და ის ფედერალურ რეზერვს მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებისაკენ უბიძგებს.

ტრამპი აშშ-ში წამლების გაიაფებას 30-80%-ით გეგმავს

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებით, ის გეგმავს, ხელი მოაწეროს აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით წამლების და მედიკამენტების გაიაფებას 30-80%-ით გამოიწვევს.

როგორც ტრამპი აღნიშნავს, განკარგულება ძალაში მყისიერად შევა და მის ეფექტს მომხმარებლები მომენტალურად იხილავენ.

მართალია, პრეზიდენტს არ განუმარტავს, თუ როგორ აპირებს ის წამლების მკვეთრად გაიაფებას, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის წამლების იმპორტზე ბარიერების შემცირებას და ფედერალური შესყიდვის პროგრამის შეჩერებას გეგმავს, რათა ზოგიერთ მედიკამენტზე ფასები არა სახელმწიფოს მიერ იყოს განსაზღვრული, არამედ – თავისუფალი ბაზრის მიერ, რომელიც, როგორც წესი, უკეთესს შედეგს იძლევა, ვიდრე სახელმწიფო პროგრამა.

ტრამპის ამ ამბიციური დაპირების მიუხედავად, სკეპტიკოსებს უჩნდებათ ეჭვი, რომ აღმასრულებელი ბრძანება დაპირებულივით ვერ იმუშავებს, რადგან აშშ-ში წამლების წარმოება, იმპორტირება და დისტრიბუცია ბუნებრივად ძვირია, ამიტომ ფასების 80%-ით შემცირება არარეალისტური იქნება.

ცნობისთვის გეტყვი, რომ აშშ-ში წამლების ფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში. ზოგიერთ შემთხვევაში, ამერიკელები თითქმის 3-ჯერ მეტს იხდიან მედიკამენტებში, ვიდრე ევროპელები, რაც ქვეყანაში არსებული ჯანდაცვა-დაზღვევის სისტემებით არის განპირობებული.

აშშ და ჩინეთი ტარიფებს ამცირებენ

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა ტარიფებთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს. უენევაში გამართული შეხვედრის შემდეგ აშშ-ის ხაზინის მდივანმა სკოტ ბესენტმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მხარეები 90 დღის განმავლობაში ერთმანეთზე დაწესებული ტარიფების შემცირებაზე შეთანხმდნენ. კერძოდ, აშშ ჩინური პროდუქციისთვის დაწესებულ ტარიფს 145%-დან 30%-მდე შეამცირებს, ხოლო ჩინეთი ამერიკული პროდუქციისთვის დაწესებულ გადასახადს – 125%-დან 10%-მდე. შეთანხმებამდე ჩინეთს ამერიკისთვის 125%-იანი ტარიფი, აშშ-ის კი ჩინურ პროდუქციაზე 145%-იანი ტარიფები ჰქონდა დაწესებული.

„ორივე ქვეყანამ საკუთარი ეროვნული ინტერესები კარგად წარმოაჩინა. ორივე ქვეყნის ინტერესშია დაბალანსებული ვაჭრობა. ამერიკა გააგრძელებს ამისკენ სვლას“, – უთხრა ჟურნალისტებს აშშ-ის ხაზინის მდივანმა.

უენევაში გამართული მოლაპარაკებები პირველი პირისპირ შეხვედრაა მსოფლიოს ორი უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, მას შემდეგ რაც აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ სავაჭრო ომები ოფიციალურად დაიწყო და ასეულობით ქვეყნის წინააღმდეგ საიმპორტო გადასახადები დააწესა. ჩინეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ტარიფებმა 100%-საც გადააჭარბა, ამას ჩინეთმა ასევე საპასუხო ზომებით უპასუხა და სატარიფო მარჟამ ჩინეთის შემთხვევაშიც ამერიკის წინააღმდეგ 100%-ს გადააჭარბა.

ჩინეთ-ამერიკის იმპორტის მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 2024 წელს ამერიკაში ჩინეთიდან იმპორტი დაახლოებით 440 მილიარდი დოლარი იყო, ჩინეთმა კი 145 მილიარდი დოლარის ამერიკული პროდუქცია იყიდა. შესაბამისად ამერიკას ჩინეთთან 295 მილიარდი დოლარის მოცულობის სავაჭრო დეფიციტი აქვს. დონალდ ტრამპისთვის სატარიფო პოლიტიკა განსაკუთრებით ჩინეთთან ახალი არ არის, მან პირველ ვადაშიც დაუწესა მთავარ მეტოქეს საიმპორტო გადასახადი, რომელიც ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამაც შეინარჩუნა. პირველი პრეზიდენტობის ვადაში დაწესებულ ტარიფებს შედეგით ჰქონდა და თუ 2016 წელს ჩინეთის წილი ამერიკის იმპორტში 21% იყო, შარშან მისი წილი 13%-მდე შემცირდა. ტრამპს მიაჩნია, რომ სატარიფო პოლიტიკის გამკაცრებით ამერიკულ წარმოებას დაიცავს, სავაჭრო დეფიციტს აღმოფხვრის, საბიუჯეტო შემოსავლებს გაზრდის და საბოლოოდ ამერიკის ეკონომიკას გაზრდის. ის სატარიფო პოლიტიკის გადახედვის სანაცვლოდ, ქვეყნებისგან მეტი ამერიკული პროდუქტის ყიდვას ითხოვს.

აშშ და დიდი ბრიტანეთი სავაჭრო პირობებზე შეთანხმდნენ

აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა სავაჭრო შეთანხმებას მიაღწიეს, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში გამოაცხადა.

მისი თქმით, შეთანხმება იმას ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთი „დაჩქარებულად გაატარებს“ ამერიკულ საქონელს თავის საბაჟო პროცედურებზე, მაგრამ მან ასევე აღნიშნა, რომ „შეგვიძლია ზოგიერთი დეტალის მოგვარების დასრულება“.

„ამ შეთანხმებით დიდი ბრიტანეთი აშშ-ს უერთდება იმის მტკიცებაში, რომ ორმხრივობა და სამართლიანობა საერთაშორისო ვაჭრობის არსებითი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპია. შეთანხმება მოიცავს მილიარდობით დოლარის გაზრდილ საბაზრო წვდომას ამერიკული ექსპორტისთვის, განსაკუთრებით აგროკულტურაში, ძალიან ზრდის წვდომას ამერიკული საქონლის ხორცისთვის, ეთანოლისთვისა და თეორიულად ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ჩვენი ფერმერები აწარმოებენ“, – განაცხადა ტრამპმა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, კირ სტარმერის თქმით, სავაჭრო შეთანხმების „ზოგიერთი დეტალის მოგვარების დასრულება“ შეიძლება, მაგრამ მხარეებმა „მომავლისთვის წარმოუდგენელი პლატფორმა ააშენეს“.

„ამ პრეზიდენტითა და ამ პრემიერ-მინისტრით იმის მიღწევა შეუძელით, რის მიღწევასაც ბევრი ადამიანი წლების განმავლობაში ცდილობდა“, – განაცხადა სტარმერმა და აღნიშნა, რომ ამას „აბსოლუტურად ისტორიული შეგრძნება აქვს“.

ევროპას შეუძლია აშშ-საგან იმპორტი €50 მილიარდით გაზარდოს

Financial Times-სთან ინტერვიუში, ევროკავშირის ვაჭრობის საკითხებში კომისარმა, მარომ შევჩოვიჩმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მზადაა აშშ-საგან იმპორტის მოცულობის €50 მილიარდით გაზარდოს, რათა სავაჭრო ურთიერთობაში არსებული სავაჭრო დეფიციტის „პრობლემა“ მოაგვაროს.

FT-სთან ინტერვიუში შევჩოვიჩმა მიანიშნა, რომ ევროკავშირი სამართლიან შეთანხმებაში თავის პროდუქციაზე აშშ-ის მხრიდან 10%-იანი ტარიფის შენარჩუნებას არ მიიღებს.

შევჩოვიჩმა ინტერვიუში თქვა, რომ შეთანხმების მიღწევის გზაზე ევროკავშირი გარკვეულ პროგრესს აღწევს. მისი თქმით, მთავარი არგუმენტი, რომელსაც ის აშშ-ის ვაჭრობის წარმომადგენელ ჯეიმისონ გრირსა და ვაჭრობის მდივან ჰოვარდ ლუტნიკს წარუდგენდა, იყო ის, რომ სავაჭრო დეფიციტის დათვლისას უნდა გათვალისწინებულიყო ამერიკული სერვისების ექსპორტი ევროკავშირში, რაც მთლიან დეფიციტს ევროპასთან დაახლოებით €50 მილიარდამდე შეამცირებდა.

„თუ იმ პრობლემას, რაც დეფიციტში არსებობს, 50 მილიარდ ევროდ ვაფასებთ, მჯერა, რომ ამ პრობლემის სწრაფად მოგვარება შეგვიძლია – თხევადი ბუნებრივი აირის შესყიდვით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის, როგორცაა სოიო, იმპორტით ან სხვა საშუალებებით“, – თქვა შევჩოვიჩმა.

შევჩოვიჩმა აღნიშნა, რომ ისეთი შეთანხმების მიღწევა „ძალიან რთული“ იქნება, რომელიც „ყველა ჩვენი წევრი სახელმწიფოებისა და ევროპარლამენტისთვის მისაღები იქნება“.

„ევროკავშირი ასევე მზადაა ითანამშრომლოს აშშ-თან ჩინეთის ექსპორტის ზრდის გავლენის შესარბილებლად, რაც სავაჭრო შეთანხმებისთვის დამატებით სტიმულად განიხილება“, – განაცხადა ვაჭრობის კომისარმა.

EU უკრაინას, სამხედრო დახმარების სახით, €1,9 მილიარდს გადასცემს

ევროკავშირი უკრაინას, სამხედრო დახმარების სახით, €1,9 მილიარდს გადასცემს. უკრაინის პრემიერ-მინისტრი, დენის შმიგალი ტელეგრამარხზე წერს, რომ €1.9 მილიარდი დახმარება უკრაინას რუსული აქტივებიდან მიღებული შემოსავლებიდან გადაეცემა.

დენის შმიგალის თქმით, ამ თანხიდან ერთი მილიარდი ევრო მიმართული იქნება ე.წ. დანიური მოდელით იარაღის შესყიდვაზე – უშუალოდ უკრაინელი მწარმოებლებისგან.

„ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა, რადგან უკრაინისთვის იარაღი შეძენილი იქნება გაყინული რუსული აქტივებიდან მიღებული შემოსავლებით, ევროპული სამშვიდობო ფონდის მეშვეობით. ჩვენ არა მხოლოდ ვაძლიერებთ ჩვენს თავდაცვის უნარს, არამედ ვასტიმულირებთ ეკონომიკასა და ინოვაციებს ჩვენს თავდაცვით-სამრეწველო კომპლექსში. განსაკუთრებული მადლობა დანიას, საფრანგეთს, ნიდერლანდებსა და იტალიას, რომლებიც განახორციელებენ უკრაინული იარაღის შესყიდვებს ერთი მილიარდი ევროს ოდენობით“, – წერს შმიგალი.

შესაბამის გადაწყვეტილებას, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად, ლვოვში ვიზიტისას ხელი მოაწერა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, კაია კალასმა.

ბიტკოინის ფასი 105,000 დოლარამდე გაიზარდა

საერთაშორისო კრიპტობირჟაზე აღმასვლის მკვეთრი ტენდენცია ფიქსირდება – ბიტკოინის ფასი 105 000 დოლარს აღწევს, რაც ერთ კვირაში 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

გამორჩეული შედეგი აქვს ეთერიუმსაც, რომელიც თითქმის 40%-ით გაძვირდა და ერთი მონეტის ფასი ამჟამად \$2 600-ს აღწევს.

საერთო ჯამში, ბაზრის კუმულაციური შეფასება \$3,36 ტრილიონის ფარგლებშია, ანუ ბოლო ორ კვირაში კაპიტალიზაცია თითქმის \$0.5 ტრილიონით გაიზარდა.

ბიტკოინის, ეთერიუმის და სხვა კრიპტოვალუტების მკვეთრი გაძვირება პირდაპირ კავშირშია ამერიკული საფონდო ინდექსების აღმასვლასთან, რაც, თავის მხრივ, გეოპოლიტიკური რისკების შემცირებით და აშშ-ჩინეთის შეთანხმებით არის განპირობებული, რომლებმაც სავაჭრო ტარიფები დროებით გააუქმეს.

ბიტკოინის ფასი წლების მიხედვით:

- 2010: \$0.05
- 2011: \$0.45
- 2012: \$7
- 2013: \$20
- 2014: \$900
- 2015: \$300
- 2016: \$500
- 2017: \$1,200
- 2018: \$15,000
- 2019: \$3,700
- 2020: \$9,500
- 2021: \$37,400
- 2022: \$50,000
- 2023: \$21,000
- 2024: \$46,200
- 2025: \$108,000.

უცხოური ვალუტის კურსები

აპრილის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=3,0894** ლარი

ვალუტა	აპრილი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1,5287	1,5260	1,5244	1,5629	1,5561	1,5561	1,5561	1,5459	1,5410	1,5410	1,5603	1,5993	1,5993	1,5993	1,6035
10 დანიური კრონი	4,0060	4,0003	3,9962	4,0969	4,0793	4,0793	4,0793	4,0506	4,0381	4,0381	4,0876	4,1860	4,1860	4,1860	4,1996
1 ევრო	2,9890	2,9848	2,9816	3,0569	3,0438	3,0438	3,0438	3,0232	3,0143	3,0143	3,0518	3,1259	3,1259	3,1259	3,1363
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,5757	3,5698	3,5736	3,6356	3,5909	3,5909	3,5909	3,5419	3,5179	3,5179	3,5594	3,6016	3,6016	3,6016	3,6318
100 ისლანდიური კრონი	2,0974	2,0799	2,0747	2,1124	2,1030	2,1030	2,1030	2,0837	2,0802	2,0802	2,1090	2,1428	2,1428	2,1428	2,1643
100 სერბიული დინარი	2,5502	2,5468	2,5440	2,6085	2,5968	2,5968	2,5968	2,5803	2,5722	2,5722	2,6043	2,6670	2,6670	2,6670	2,6753
10 ნორვეგიული კრონი	2,6168	2,6347	2,6437	2,6914	2,6198	2,6198	2,6198	2,5341	2,5157	2,5157	2,5464	2,5793	2,5793	2,5793	2,6136
10 პოლონური ზლოტი	7,1425	7,1342	7,1370	7,2903	7,1648	7,1648	7,1648	7,0427	7,0319	7,0319	7,1805	7,2772	7,2772	7,2772	7,3330
10 რუმინული ლეი	6,0050	5,9961	5,9894	6,1408	6,1158	6,1158	6,1158	6,0738	6,0559	6,0559	6,1306	6,2797	6,2797	6,2797	6,3002
100 უნგრული ფორინტი	0,7427	0,7414	0,7441	0,7618	0,7497	0,7497	0,7497	0,7421	0,7380	0,7380	0,7521	0,7631	0,7631	0,7631	0,7645
10 შვედური კრონი	2,7547	2,7586	2,7694	2,8555	2,7803	2,7803	2,7803	2,7294	2,7426	2,7426	2,7663	2,8103	2,8103	2,8103	2,8522
1 შვეიცარიული ფრანკი	3,1358	3,1315	3,1237	3,2006	3,2419	3,2419	3,2419	3,2265	3,2237	3,2237	3,2798	3,3620	3,3620	3,3620	3,3674
10 ჩეხური კრონა	1,1970	1,1956	1,1944	1,2224	1,2089	1,2089	1,2089	1,2013	1,1996	1,1996	1,2159	1,2428	1,2428	1,2428	1,2493
1 აშშ დოლარი	2,7648	2,7632	2,7623	2,7599	2,7576	2,7576	2,7576	2,7561	2,7563	2,7563	2,7573	2,7558	2,7558	2,7558	2,7545
1 კანადური დოლარი	1,9256	1,9210	1,9287	1,9536	1,9486	1,9486	1,9486	1,9353	1,9423	1,9423	1,9610	1,9802	1,9802	1,9802	1,9869
1 ავსტრალიური დოლარი	1,7272	1,7270	1,7408	1,7509	1,7009	1,7009	1,7009	1,6705	1,6678	1,6678	1,7046	1,7136	1,7136	1,7136	1,7403
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5468	0,5464	0,5463	0,5456	0,5451	0,5451	0,5451	0,5361	0,5375	0,5375	0,5376	0,5369	0,5369	0,5369	0,5402
1 თურქული ლირა	0,0729	0,0728	0,0728	0,0727	0,0725	0,0725	0,0725	0,0725	0,0725	0,0725	0,0727	0,0724	0,0724	0,0724	0,0724
100 იაპონური იენი	1,8512	1,8490	1,8488	1,8820	1,8994	1,8994	1,8994	1,8809	1,8755	1,8755	1,8931	1,9270	1,9270	1,9270	1,9245
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7,5274	7,5230	7,5208	7,5140	7,5076	7,5076	7,5076	7,5039	7,5042	7,5042	7,5071	7,5029	7,5029	7,5029	7,4993
10000 ირანული რიალი	0,6583	0,6579	0,6577	0,6571	0,6566	0,6566	0,6566	0,6562	0,6563	0,6563	0,6565	0,6561	0,6561	0,6561	0,6558
10 ისრაელის შეკელი	7,4357	7,4659	7,4645	7,4590	7,3946	7,3946	7,3946	7,3299	7,3210	7,3210	7,3414	7,4130	7,4130	7,4130	7,4743
1 სინგაპურული დოლარი	2,0590	2,0576	2,0560	2,0666	2,0641	2,0641	2,0641	2,0467	2,0416	2,0416	2,0629	2,0863	2,0863	2,0863	2,0934
1 ქუვეითური დინარი	8,9679	8,9656	8,9569	8,9695	8,9678	8,9678	8,9678	8,9542	8,9519	8,9519	8,9697	8,9941	8,9941	8,9941	8,9840
10 ჩინური იუანი	3,8115	3,8008	3,7990	3,7843	3,7867	3,7867	3,7867	3,7687	3,7557	3,7557	3,7662	3,7737	3,7737	3,7737	3,7664
10 ჰონკონგური დოლარი	3,5544	3,5512	3,5499	3,5482	3,5478	3,5478	3,5478	3,5482	3,5475	3,5475	3,5530	3,5535	3,5535	3,5535	3,5518
100 ინდური რუპია	3,2348	3,2329	3,2305	3,2302	3,2352	3,2352	3,2352	3,2107	3,1953	3,1953	3,1805	3,2026	3,2026	3,2026	3,2011
1 ახალზელანდიური დოლარი	1,5715	1,5681	1,5853	1,6038	1,5663	1,5663	1,5663	1,5429	1,5427	1,5427	1,5689	1,5951	1,5951	1,5951	1,6169
100 რუსული რუბლი	3,2460	3,2640	3,2758	3,2807	3,2697	3,2697	3,2697	3,2005	3,2162	3,2162	3,2415	3,2753	3,2753	3,2753	3,3460
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6264	1,6250	1,6246	1,6231	1,6221	1,6221	1,6221	1,6212	1,6210	1,6210	1,6216	1,6207	1,6207	1,6207	1,6199
1 ბელარუსული რუბლი	0,8465	0,8822	0,8822	0,8822	0,8821	0,8821	0,8821	0,8807	0,8740	0,8740	0,8714	0,8772	0,8772	0,8772	0,8861
10 თურქმენული მანათი	7,8994	7,8949	7,8923	7,8854	7,8789	7,8789	7,8789	7,8746	7,8751	7,8751	7,8780	7,8737	7,8737	7,8737	7,8700
10 მოლდოვური ლეი	1,5351	1,5381	1,5385	1,5427	1,5566	1,5566	1,5566	1,5523	1,5515	1,5515	1,5529	1,5768	1,5768	1,5768	1,5842
1000 სომხური დრამი	7,0561	7,0546	7,0550	7,0424	7,0430	7,0430	7,0430	7,0429	7,0765	7,0765	7,0411	7,0335	7,0335	7,0335	7,0331
10 ტაჯიკური სომონი	2,5347	2,5332	2,5318	2,5301	2,5223	2,5223	2,5223	2,5321	2,5303	2,5303	2,5255	2,5241	2,5241	2,5241	2,5311
1000 უზბეკური სუმი	0,2137	0,2138	0,2139	0,2137	0,2130	0,2130	0,2130	0,2127	0,2127	0,2127	0,2126	0,2124	0,2124	0,2124	0,2124
10 უკრაინული გრივნა	0,6675	0,6674	0,6688	0,6669	0,6692	0,6692	0,6692	0,6707	0,6693	0,6693	0,6656	0,6657	0,6657	0,6657	0,6667
100 ყაზახური ტენგე	0,5485	0,5493	0,5489	0,5505	0,5444	0,5444	0,5444	0,5252	0,5333	0,5333	0,5344	0,5335	0,5335	0,5335	0,5319
100 ყირგიზული სომი	3,1703	3,1683	3,1678	3,1657	3,1631	3,1631	3,1631	3,1617	3,1621	3,1621	3,1684	3,1667	3,1667	3,1667	3,1502
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,5081	1,5055	1,4786	1,4664	1,4502	1,4502	1,4502	1,4290	1,4184	1,4184	1,4198	1,4287	1,4287	1,4287	1,4555
1 ზრახილიური რიალი	0,4799	0,4843	0,4861	0,4877	0,4898	0,4898	0,4898	0,4717	0,4660	0,4660	0,4733	0,4682	0,4682	0,4682	0,4695
10 კატარული რიალი	7,5841	7,5798	7,5773	7,5707	7,5646	7,5646	7,5646	7,5603	7,5608	7,5608	7,5638	7,5595	7,5595	7,5595	7,5559
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,8752	1,8776	1,8873	1,8949	1,9034	1,9034	1,9034	1,8810	1,8620	1,8620	1,8934	1,9216	1,9216	1,9216	1,9381

უცხოური ვალუტის კურსები

აპრილის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2,7543** ლარი.

ვალუტა	აპრილი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1,5968	1,5991	1,5978	1,5978	1,5978	1,5978	1,5978	1,6164	1,6033	1,6001	1,5964	1,5964	1,5964	1,5965	1,6007	1,5248
10 დანიური კრონი	4,1836	4,1887	4,1849	4,1849	4,1849	4,1849	4,1849	4,2348	4,1996	4,1925	4,1828	4,1828	4,1828	4,1832	4,1941	3,9963
1 ევრო	3,1229	3,1274	3,1249	3,1249	3,1249	3,1249	3,1249	3,1614	3,1354	3,1300	3,1224	3,1224	3,1224	3,1227	3,1305	2,9818
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3,6477	3,6512	3,6389	3,6389	3,6389	3,6389	3,6389	3,6770	3,6589	3,6592	3,6597	3,6597	3,6597	3,6682	3,6827	3,5814
100 ისლანდიური კრონი	2,1462	2,1524	2,1541	2,1541	2,1541	2,1541	2,1541	2,1818	2,1638	2,1600	2,1579	2,1579	2,1579	2,1491	2,1398	2,0925
100 სერბიული დინარი	2,6631	2,6677	2,6656	2,6656	2,6656	2,6656	2,6656	2,6964	2,6740	2,6688	2,6632	2,6632	2,6632	2,6636	2,6703	2,5442
10 ნორვეგიული კრონი	2,6046	2,5892	2,6082	2,6082	2,6082	2,6082	2,6082	2,6574	2,6394	2,6438	2,6322	2,6322	2,6322	2,6398	2,6540	2,6349
10 პოლონური ზლოტი	7,2881	7,2743	7,2935	7,2935	7,2935	7,2935	7,2935	7,3820	7,3036	7,3125	7,3106	7,3106	7,3106	7,2976	7,3353	7,1363
10 რუმინული ლეი	6,2735	6,2828	6,2774	6,2774	6,2774	6,2774	6,2774	6,3516	6,2996	6,2879	6,2729	6,2729	6,2729	6,2730	6,2891	5,9906
100 უნგრული ფორინტი	0,7625	0,7662	0,7668	0,7668	0,7668	0,7668	0,7668	0,7726	0,7672	0,7683	0,7674	0,7674	0,7674	0,7701	0,7746	0,7403
10 შვედური კრონი	2,8223	2,8029	2,8298	2,8298	2,8298	2,8298	2,8298	2,8977	2,8680	2,8673	2,8328	2,8328	2,8328	2,8449	2,8557	2,7527
1 შვეიცარიული ფრანკი	3,3800	3,3684	3,3672	3,3672	3,3672	3,3672	3,3672	3,3875	3,3377	3,3328	3,3156	3,3156	3,3156	3,3144	3,3308	3,1350
10 ჩეხური კრონა	1,2459	1,2494	1,2480	1,2480	1,2480	1,2480	1,2480	1,2613	1,2530	1,2525	1,2508	1,2508	1,2508	1,2498	1,2563	1,1944
1 აშშ დოლარი	2,7544	2,7523	2,7503	2,7503	2,7503	2,7503	2,7503	2,7500	2,7496	2,7492	2,7496	2,7496	2,7496	2,7496	2,7516	2,7673
1 კანადური დოლარი	1,9869	1,9785	1,9791	1,9791	1,9791	1,9791	1,9791	1,9884	1,9902	1,9856	1,9806	1,9806	1,9806	1,9818	1,9870	1,9321
1 ავსტრალიური დოლარი	1,7512	1,7535	1,7475	1,7475	1,7475	1,7475	1,7475	1,7608	1,7619	1,7559	1,7545	1,7545	1,7545	1,7592	1,7627	1,7431
10 ეგვიპტური გირვანქა	0,5403	0,5389	0,5380	0,5380	0,5380	0,5380	0,5380	0,5388	0,5400	0,5395	0,5396	0,5396	0,5396	0,5410	0,5417	0,5472
1 თურქული ლირა	0,0723	0,0722	0,0721	0,0721	0,0721	0,0721	0,0721	0,0719	0,0718	0,0717	0,0716	0,0716	0,0716	0,0715	0,0716	0,0728
100 იაპონური იენი	1,9272	1,9287	1,9294	1,9294	1,9294	1,9294	1,9294	1,9601	1,9376	1,9305	1,9178	1,9178	1,9178	1,9170	1,9277	1,8367
10 არაბეთის გაერთიანებული სამედიტერანეის დირჰამი	7,4990	7,4933	7,4879	7,4879	7,4879	7,4879	7,4879	7,4871	7,4860	7,4849	7,4858	7,4858	7,4858	7,4858	7,4912	7,5342
10000 ირანული რიალი	0,6558	0,6553	0,6548	0,6548	0,6548	0,6548	0,6548	0,6548	0,6547	0,6546	0,6547	0,6547	0,6547	0,6547	0,6551	0,6589
10 ისრაელის შეკელი	7,4496	7,4693	7,4467	7,4467	7,4467	7,4467	7,4467	7,3897	7,4988	7,5345	7,5786	7,5786	7,5786	7,5740	7,5929	7,5223
1 სინგაპურული დოლარი	2,0924	2,0944	2,0951	2,0951	2,0951	2,0951	2,0951	2,1036	2,0970	2,0965	2,0917	2,0917	2,0917	2,0933	2,1006	2,0625
1 ქუვეითური დინარი	8,9808	8,9739	8,9703	8,9703	8,9703	8,9703	8,9703	8,9957	8,9798	8,9697	8,9651	8,9651	8,9651	8,9622	8,9775	8,9760
10 ჩინური იუანი	3,7648	3,7677	3,7678	3,7678	3,7678	3,7678	3,7678	3,7601	3,7724	3,7722	3,7729	3,7729	3,7729	3,7677	3,7833	3,8099
10 ჰონკონგური დოლარი	3,5506	3,5469	3,5428	3,5428	3,5428	3,5428	3,5428	3,5449	3,5437	3,5436	3,5448	3,5448	3,5448	3,5446	3,5467	3,5574
100 ინდური რუპია	3,2114	3,2121	3,2213	3,2213	3,2213	3,2213	3,2213	3,2279	3,2188	3,2242	3,2178	3,2178	3,2178	3,2335	3,2276	3,2377
1 ახალზელანდიური დოლარი	1,6306	1,6272	1,6318	1,6318	1,6318	1,6318	1,6318	1,6511	1,6465	1,6435	1,6377	1,6377	1,6377	1,6366	1,6389	1,5832
100 რუსული რუბლი	3,3528	3,3392	3,3429	3,3429	3,3429	3,3429	3,3429	3,3805	3,3338	3,3092	3,3301	3,3301	3,3301	3,3435	3,3672	3,2973
1 აზერბაიჯანული მანათი	1,6199	1,6186	1,6174	1,6174	1,6174	1,6174	1,6174	1,6173	1,6170	1,6168	1,6170	1,6170	1,6170	1,6170	1,6182	1,6282
1 ბელარუსული რუბლი	0,8927	0,8928	0,8916	0,8916	0,8916	0,8916	0,8916	0,9030	0,9089	0,9008	0,8964	0,8964	0,8964	0,8999	0,9018	0,8473
10 თურქმენული მანათი	7,8697	7,8637	7,8580	7,8580	7,8580	7,8580	7,8580	7,8571	7,8560	7,8549	7,8560	7,8560	7,8560	7,8560	7,8617	7,9066
10 მოლდოვური ლეი	1,5932	1,5945	1,5925	1,5925	1,5925	1,5925	1,5925	1,6035	1,5970	1,5919	1,5905	1,5905	1,5905	1,5947	1,5961	1,5327
1000 სომხური დრამი	7,0400	7,0355	7,0227	7,0227	7,0227	7,0227	7,0227	7,0280	7,0299	7,0289	7,0267	7,0267	7,0267	7,0524	7,0530	7,0625
10 ტაჯიკური სომონი	2,5306	2,5278	2,5318	2,5318	2,5318	2,5318	2,5318	2,5544	2,5499	2,5496	2,5547	2,5547	2,5547	2,5547	2,5592	2,5352
1000 უზბეკური სუმი	0,2121	0,2118	0,2121	0,2121	0,2121	0,2121	0,2121	0,2133	0,2133	0,2128	0,2121	0,2121	0,2121	0,2122	0,2127	0,2140
10 უკრაინული გრივნა	0,6689	0,6682	0,6642	0,6642	0,6642	0,6642	0,6642	0,6616	0,6585	0,6593	0,6579	0,6579	0,6579	0,6589	0,6623	0,6671
100 ყაზახური ტენგე	0,5326	0,5253	0,5257	0,5257	0,5257	0,5257	0,5257	0,5302	0,5299	0,5318	0,5342	0,5342	0,5342	0,5358	0,5375	0,5485
100 ყირგიზული სომი	3,1669	3,1645	3,1453	3,1453	3,1453	3,1453	3,1453	3,1684	3,1719	3,1715	3,1719	3,1719	3,1719	3,1641	3,1628	3,1734
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1,4588	1,4566	1,4585	1,4585	1,4585	1,4585	1,4585	1,4753	1,4807	1,4730	1,4552	1,4552	1,4552	1,4749	1,4832	1,5249
1 ბრაზილიური რიალი	0,4704	0,4676	0,4688	0,4688	0,4688	0,4688	0,4688	0,4736	0,4803	0,4815	0,4839	0,4839	0,4839	0,4838	0,4866	0,4817
10 კატარული რიალი	7,5554	7,5505	7,5454	7,5454	7,5454	7,5454	7,5454	7,5438	7,5424	7,5422	7,5441	7,5441	7,5441	7,5437	7,5486	7,5914
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1,9289	1,9404	1,9405	1,9405	1,9405	1,9405	1,9405	1,9304	1,9331	1,9155	1,9091	1,9091	1,9091	1,9055	1,9170	1,8857